რევაზ ბაქრაძე

საქართველოს მიღმა

- ლაზი – უძველესი ქართველი
- „მეზობელო ქარისაო“
- თურქეთი გუშინ და დღეს
- რეფორმები და თანამედროვე პოლიტიკა
- თარგმანები

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი–2003

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, რეჟან ბაქრაძე საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. 1994-1998 წლებში იგი დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა – მუშაობდა თურქეთში საქართველოს საელჩოს პოლიტიკურ განყოფილებაში პირველ მდივნად. ამავდროულად, აქვეყნებდა წერილებს ქართულ და თურქულ პრესაში, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას.

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც საინტერესოდაა გაშუქებული ლაზეთის თემა, აგრეთვე თურქეთთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. კრებულში შესულია თურქულიდან თარგმნილი რამდენიმე პუბლიცისტური წერილი და მხატვრული ნაწარმოები.

ვუიქრობთ, წიგნს სიამოვნებით მიიღებს ქართველი მკითხველი.

რედაქტორი – გუბაგ ვანილიმი

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა" – 2003

„ლაზეთი“

მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას წიგნის "ლაზეთის" თურქული ენაზე თარგმნისა და "ლაზების ისტორიის" სახელწოდებით 1992 წელს თურქეთში გამოცემის გამო

თურქეთში ითარგმნა და გამოიცა მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას 1964 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბული წიგნი „ლაზეთი“, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა თურქეთის საზოგადოებაში. მას მრავალი სტატია და კრიტიკული წერილი მიუძღვნეს თურქულმა ჟურნალ-გაზეთებმა. ზოგი დადებითად ეხმაურება ამ მოვლენას, ზოგიერთი სტატიის ავტორი კი აღშფოთებას ვერ ფარავს თურქეთში „ლაზების ისტორიის“ დაბეჭდვის გამო. თურქეთის ოფიციალური პროპაგანდა დიდი ხანია ამტკიცებს, რომ ლაზი თურქული მოდგმის ერთ-ერთი ტომია, რომელიც თურქ-სელჯუკებთან ერთად შუა აზიიდან მოვიდა მე-11 საუკუნეში, და რომ მას საკუთარი ისტორია არ გააჩნია. მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას წიგნის თურქულ ენაზე გამოცემის შემდეგ კი თურქეთის მკითხველმა გაიგო, რომ ლაზი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველური ტომი ყოფილა მდიდარი და შინაარსიანი წარსულით, რის შესახებაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე წერდნენ ბერძენი და სხვა უცხოელი მწერლები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ლაზეთი“ თბილისში ჯერ კიდევ 1964 წელს დაიბეჭდა, მაგრამ ქართველი საზოგადოებრიობა მას ნაკლებად იცნობს, ვინაიდან იგი დაისტამბა იმდროისათვის საკმაოდ მცირე ტირაჟით – სულ 1. 000 ცალი. მკითხველს რომ გარ-

კვეული აზრი შეექმნას, ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით ამ წიგნს, მის შინაარსს.

წიგნის რედაქტორია სერგი მაკალათია. იგი თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მუხამედ ვანილიშს და ალი თანდილავას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზეთი“ მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს ლაზეთის ისტორია და ეთნოგრაფია. ამდენად, ნარკვევი წარმოადგენს პირველ ცდას და იგი ქართულ საისტორიო მწერლობაში უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ამასთან მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ნარკვევის ავტორები ლაზები არიან.

წიგნი დაყოფილია თავებად. თავში „ისტორიული მიმოხილვა“ განხილულია შემდეგი საკითხები: 1. ლაზეთის სამეფოს წარმოშობა. 2. ლაზეთის სამეფოს დაშლა. 3. ლაზეთი ბიზანტიის, საბერძნეთის მფლობელობაში. 4. ლაზეთი ოსმალეთის მფლობელობაში.

თავში „ლაზეთის ეთნოგრაფია“ განხილულია ორი საკითხი: მეურნეობა და მატერიალური კულტურა და 2. ხალხური სიტყვიერება.

ავტორთა განცხადებით, „ლაზეთის ისტორიული წარსული მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი კოლხეთის ისტორიასთან. ძველი კოლხეთის სამეფოში ძირითადად მოსახლეობდა ქართველური მოდგმის ორი მონათესავე ტომი – ლაზ-ჭანები და მანრალ-მეგრელები (ეგრისელები), რომლებიც მეტყველებდნენ ზანურად წოდებულ ერთ ენაზე.“

წიგნის ავტორები განმარტავენ, რომ ჭანები ქართული ტომის ერთ-ერთი წარმომადგენლები არიან, სახელწოდება ჭანი შემდგომში ლაზით შეიცვალა, მაგრამ ჭანი მთლიანად არ გამქრალა.

ელინისტურ ხანაში (მეოთხე-პირველი საუკუნეები ძველი წელთაღრიცხვით) ჭან-ლაზებსა და მის მონათესავე მეგრელებს ეჭირათ შავი ზღვის სანაპიროს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ტრაპიზონიდან დაწყებული აბაზგიამდე (აფხაზეთი).

ენობრივი ერთიანობის მიუხედავად, ისინი თემებად იყვნენ დაყოფილნი: ჭან-ლაზებს ჭოროხის ხეობა ეჭირათ, მანრალ-მეგრელებს კი – რიონის ხეობა. მათ შორის საზღვარი კი, როგორც ავტორები წერენ, დღევანდელი გურია უნდა ყოფილიყო. ამ ორ თემში თავდაპირველად მანრალ-მეგრელები დაწინაურდნენ და საკმაოდ ძლიერი სამეფო შექმნეს, რომელთაც ბერძნები და რომაელები კოლხეთის სამეფოს უწოდებდნენ.

კოლხეთის სამეფო არსებობდა რომაელების შემოსევამდე (I საუკუნე ძველი წელთაღრიცხვით). რომაელების შემოსევების შემდეგ მათ პოლიტიკური ნდობა დაკარგეს რომის წინაშე და სამეფოს ხელისუფლება კოლხების მონათესავე ტომის – ლაზების ხელში გადავიდა. ისინი რომის ბატონობის პერიოდში დაწინაურდნენ და მეფეებსაც ამ ტომიდან ირჩევდნენ. ამიერიდან კოლხეთს ლაზიკა, ანუ ლაზიკე უწოდეს. ლაზებსა და მათ მესვეურებს არ აკლდათ პოლიტიკური ნიჭი, გამჭრიახობა და გულადობა, რაზეც მიუთითებს თვით რომაული წყაროები.

რომაელებსა და სპარსელებს განუწყვეტელი ომი ჰქონდათ ლაზიკაში ბატონობისათვის, შავი ზღვის სანაპიროების შემომტკიცებისათვის. სპარსეთი აქ საკუთარი რელიგიის – მაზდეანობის გავრცელებას ცდილობდა, რათა ლაზეთი თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცია, მაგრამ ლაზიკასა და იბერიაში ოფიციალურ რელიგიად მაინც აღიარებულ იქნა ქრისტიანობა. მიუხედავად ამისა, სპარსეთსა და რომაელებს შორის ომი მაინც გრძელდებოდა და ბოლოს, 532 წელს, ამ ორთა შორის დაიდო ზავი, რომლის თანახმად ლაზიკა რომს დარჩა, ხოლო იბერია – სპარსეთს, მაგრამ ლაზეთს მაინც მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა იბერიასთან, დასავლეთ საქართველოში ქართული დამწერლობის გავრცელებამ კიდევ უფრო დააახლოვა ორი ქართველური ტომი.

მე-7 საუკუნიდან ბიზანტიამ შეძლო ლაზიკის საერისთავოებად დაშლა. მე-8 საუკუნის 30-იან წლებში არაბებმა დაარბიეს შავიზღვისპირეთი, რის გამოც მე-7-8 საუკუნეებში ლაზეთმა დაკარგა

პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ამიერიდან დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობა აფხაზეთს დაუთმო. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ამის შემდეგ მეგრელები და ლაზები ერთმანეთს ტერიტორიულად დაშორდნენ. მათ შორის დასახლდნენ სხვა ქართველური ტომები. ლაზების ის ნაწილი, რომლის საცხოვრისი შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო მოქცეული, ბიზანტიის მფლობელობაში მოექცა.

1204 წელს შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ლაზებმა და სრულიად საქართველოს სამეფოს დახმარებით შექმნეს დამოუკიდებელი ტრაპიზონის სამეფო, რომელმაც იარსება 257 წელი, იგი 1461 წელს ოსმალებმა დაიპყრეს.

ოსმალეთის ხელისუფლებამ ეკონომიკური ზეგავლენითა და სხვა ხერხებით მოახერხა ლაზების დიდი უმრავლესობის გამუსლიმანება. ლაზების ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა ქრისტიანული რელიგია, მაგრამ ისინი დაექვემდებარნენ კონსტანტინოპოლის საეკლესიო საპატრიარქოს და თანდათანობით გაბერძენდნენ (ამაზე მიუთითებს აგრეთვე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი მ. ბაწაში თავის ნარკვევში „ეთნონიმ ლაზის გაგებისათვის თურქულ ისტორიოგრაფიაში“ (მნათობი 1984 წელი, №4)), ეს ძალიან საინტერესო საკითხია და, ჩვენი აზრით, ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს. ლაზეთის ტერიტორიების ათვისებას თურქები მეტი აქტიურობით იწყებენ სულთან სელიმ მეორისა (1512-1520) და სულეიმან პირველის დროს (1520-1560).

თუ ადრე საქართველოსთვის ერთმანეთს ეომებოდნენ ბიზანტია და სპარსეთი, მე-16 საუკუნიდან გაჩაღდა გააფთრებული ომები სპარსეთსა და ოსმალეთს შორის საქართველოს დაპყრობისათვის. 1555 წელს ქ. ამასიაში დადებული ზავით მათ საქართველო გაიყვეს ორ ნაწილად, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთს მიეკუთვნა, დასავლეთ საქართველო კი – ოსმალეთს, თუმცა ამ ქვეყნებს შორის ომი ქართული მიწა-წყლისათვის შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა.

წიგნში „ლაზეთი“ ავტორები მიუთითებდნენ, რომ ლაზეთის ტერიტორიაზე ასახლებდნენ თურქული ტომის ხალხებს – ქურთებს, ხემშილებსა და სხვ. რიზესა და მაფავრას მიდამოებში ჩასასახლეს გამუსლიმანებული ბერძნები. წიგნში მოტანილია აგრეთვე ინგლისის ელჩის ჯ. პალგრევის ცნობა იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის მოსახლეობის რაოდენობა ოფიციალური ცნობებით 850 ათასს აღწევდა, მათ შორის 56 ათასი ქრისტიანი იყო. მუსლიმანური მოსახლეობის უმრავლესობას ლაზები შეადგენდნენ. „ეს მშვენიერი რასაა, ისინი არიან კარგი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეზღვაურები“. მისივე გადმოცემით, არქაბეში უმრავლესობას მეთევზეები შეადგენდნენ, ამ უბანში 51 სოფელია და 19. 551 მცხოვრები, მათ შორის 18. 115 მუსლიმანია, 1. 434 კი ბერძენი. უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ე. წ. ბერძნები, სინამდვილეში იგივე გაქრისტიანებული ლაზები არიან, რომლებსაც ბიზანტიის ბატონობის პერიოდში ქრისტიანობა მიუღიათ. არქაბე თურქეთის ფლოტს ამარაგებს საუკეთესო მეზღვაურებით...

ლაზების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თურქი მოგზაური – ოსმან ბეი, რომელმაც 1864 წელს იმოგზაურა ლაზეთში. მისი გადმოცემით, ტრაპიზონი ლაზების მთავარი ქალაქია, გეოგრაფიული თვალსაზრისით იგი ლაზეთის სატახტო ქალაქს წარმოადგენს. ტრაპიზონის მოსახლეობა შერეულია, მის უმრავლესობას შეადგენენ ლაზები, ცხოვრობენ ბერძნებიც. ლაზები შრომისმოყვარენი არიან, მისდევენ სოფლის მეურნეობას, უმთავრესად მოჰყავთ სიმინდი, ქერი, თხილი, თამბაქო... როგორც ვაჭრები და მეზღვაურები, ლაზები დიდ მეტოქეობას უწევენ ყველა სხვა ტომებს, მათი ხომალდები ყველა მიმართულებით დაცურავენ ზღვაში. ისინი კარგი გემთმშენებლები არიან, დახელოვნებული არიან აგრეთვე სპილენძისა და თითბრის ჭურჭლის კეთებაში. ქალები კარგი ფეიქრები არიან, ქსოვენ ლამაზად შეხამებულ ქსოვილებს.

ლაზეთში ციხე-კოშკების ნანგრევები გაფანტულია ზღვისპირას და მაღალ ბორცვებზე. დასასრულს, ოსმან ბეი აღწერს ლა-

ზების ჩაცმულობას, რაც, მისი აზრით, არ განსხვავდება აჭარულ-გურულისაგან.

გიორგი ყაზბეგი, რომელმაც ლაზეთში იმოგზაურა, წერს: „ზღვისპირა ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან. მათი ტანსაცმელი გურულსა და აჭარულს ემსგავსება... აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან და ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი პირსახე აქვთ. ამასთანავე, ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიით, გულადობით და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან“.

„ლაზეთის“ ავტორები ასახელებენ აგრეთვე ბეგთა საგვარეულოსაც. მაკრიალსა და ლიმანში ზუმბაიები და მანელიშვილები ყოფილან ბეგები, მურადოღლუ, ანუ მურადიშვილი – ბუჯაღში, ორთახოფასა და სუნდურაში. ლაზეთში ბეგები ყოფილან აგრეთვე შალიკაშვილები და ჟორდანიები.

„ლაზეთის“ ავტორები წერენ, რომ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ლაზეთის 16 სოფელი შეუერთდა რუსეთს (საქართველოს), მაგრამ იმ სოფლებში, რომლებიც რუსეთმა შეიერთა, მხოლოდ რუსული სკოლები გაუხსნიათ და არ უზრუნიათ მშობლიური ენის სწავლებისათვის. ლაზების გათურქების პოლიტიკა შეიცვალა გარუსების პოლიტიკით.

წიგნში მკაფიოდ არის აღნიშნული ისიც, რომ ლაზების პოლიტიკური თვითშეგნება მე-20 საუკუნის დასაწყისში მაინც საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ასე, მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, 1910 წლიდან ლაზების გათვითცნობიერებულმა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ქადაგება, რომ ლაზები ქართველების ნათესავები არიან და მათი ანბანი ქართული ანბანი არისო. ამიტომ სოფელ აბუისლაში მცხოვრებ ლაზებს კოლექტიური თხოვნა გაუგზავნიათ თურქეთის ხელისუფლებისათვის და უთხოვიათ, რომ ჩვენ ნება მოგვეცით ჩვენს სკოლებში ჩვენი ენის – გურული (ქართული) წიგნი ვასწავლოთ ჩვენს შვილებსო. ლაზების ასეთ ცდას ნიკო მარიც ადასტურებს.

დასასრულს წიგნის ავტორები სვამენ კითხვას – რამდენი ლაზი ცხოვრობს თურქეთში? ზაქარია ჭიჭინაძის ცნობებზე დაყრდნობით, ლაზეთის ისტორიის მცოდნე ლაზებს 1810 წელს გრიგოლ გურიელისათვის ლაზისტანში ლაზთა რიცხვი 600 ათასზე მეტი დაუსახელებიათ. ისიც უთქვამთ, რომ მათ შორის 400 ათასზე მეტი ლაზი ხელისუფალთ, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, გადაუსახლებიათ გათურქების მიზნით.

დასასრულს, მკითხველს წარმოვუდგენთ რამდენიმე ცნობას წიგნის ავტორების მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ბიოგრაფიებიდან.

მუხამედ აბდულის ძე ვანილიში დაიბადა 1909 წელს სარფში, 1917-1921 წლებში სწავლობდა სარფის თურქულ დაწყებით სკოლაში (მაშინ სარფში და აჭარის სხვა ზოგიერთ სოფელში სწავლა თურქულ ენაზე მიმდინარეობდა). საშუალო განათლება მიიღო ხოფაში (თურქეთში).

1928-1932 წლებში სწავლობდა ბათუმის მუშფაკის სკოლაში, 1931 წელს, გონიოს საბჭოთა მეურნეობაში მივლინების დროს, ის გაეცნო საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელ პირველ მდივანს ლავრენტი ბერიას, რომლის დავალებითაც შემდეგში საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა თურქეთის ლაზებში. ლაზ ციტაშვისთან ერთად უშვებდა გაზეთ „მურუცხს“ (ვარსკვლავი) და ავრცელებდნენ ლაზ მოსახლეობაში. მასთან ერთად შეადგინა პირველი ლაზური სახელმძღვანელო თურქული შრიფტით დაწყებითი კლასის ლაზი მოსწავლეებისათვის, წერდა აგრეთვე პიესებსა და ლექსებს ლაზურ ენაზე, რომლებიც მაშინ დიდი მოწონებით სარგებლობდა ლაზ მოსახლეობაში.

1936 წლიდან მუშაობდა აჭარის განათლების მინისტრის მოადგილედ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარედ, რევოლუციის მუზეუმის დირექტორად,

აჭარის კულტურის სამინისტროს სალექციო პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარედ, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ.

მეორე მსოფლიო ომის დროს დახმარებას უწევდა თანამემამულეებს პურ-პროდუქტებით მომარაგებაში, შუა აზიაში უსამართლოდ გასახლებულ პირთა სამშობლოში დაბრუნებაში.

იგი გარდაიცვალა 1997 წელს, 89 წლის ასაკში. დაკრძალულია სარფში.

ალი ოსმანის ძე თანდილავა დაიბადა 1913 წელს, სარფში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო სარფის 8-წლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, მუშაობდა დაწყებითი სკოლის გამგედ. 8-წლიანი და საშუალო სკოლების დირექტორად. აქტიურად მონაწილეობდა სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში, გარდაიცვალა 1985 წელს, დაკრძალულია სოფელ სარფში.

ალი თანდილავა და მუხამედ ვანილიში პირველი ინტელიგენტები იყვნენ სარფში, რომლებიც მხარში ედგნენ თანასოფლელებს და მომავლის გზას უნათებდნენ.

გონიოს ციხე

საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ისტორიული ძეგლია. ისინი ქართველი ხალხის მაღალგანვითარებული თვითმყოფადი კულტურისა და გმირული ისტორიული წარსულის უტყუარ მოწმეებად არიან აღმართული, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია გონიოს ციხე.

გონიოს ციხე ბათუმიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით გონიოს ტერიტორიაზე მდებარეობს. ციხეს სწორკუთხედის ფორმა აქვს. მისი სიგრძე 228 მეტრია, ხოლო სიგანე – 195 მეტრი. ციხის ფართობი 44. 660 კვადრატულ მეტრს, ანუ 4,4 ჰექტარს უდრის.

ციხის კედლების ქვემო ნაწილი 1 მეტრამდე სისქის ფართო თლილი ლოდებით არის ნაშენი, მთლიანად კედლების სიმაღლე 5 მეტრია, ხოლო კუთხეებში ზოგან 7 მეტრსაც აღწევს. კედლის სისქე ზემო ნაწილში მეტრნახევარია.

ციხის გალავანს მიშენებული აქვს ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარ მანძილზე დაშორებული 18 კოშკი. მათ შორის სიდიდით გამოირჩევა ოთხი კუთხური კოშკი, თითოეულ კოშკთან ციხის შიგნით ქვის კიბეა დატანებული.

გონიოს ციხის შესახებ შემონახულია ანტიკური მწერლების – პლინიუსის, ფლავიუს არიანეს, პროკოფი კესარიელისა და სხვათა ცნობები. დაწერილია მრავალი გამოკვლევა. მასზე ყურადღება გაამახვილეს ცნობილმა მეცნიერებმა ვ. ბაგრატიონმა, მ. ბროსემ, პ. იოსელიანმა, ი. კალფოღლუმ, ჩვენმა თანამედროვეებმა – ე. იაშვილმა, ხ. ახვლედიანმა, ი. სიხარულიძემ, ვ. ჭანტურიამ და სხვებმა. გონიოს ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მიუხედავად აღნიშნულისა, გონიოს ციხე სათანადოდ მაინც არ არის შესწავლილი, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა გონიოს ციხის აშენების თარიღისა და თვით სახელწოდების შესახებ.

საქმე იმაშია, რომ სახელწოდება „გონიო“ ანტიკურ მწერალთა წყაროებში არ გვხვდება. იგი მხოლოდ მე-12-13 საუკუნიდან ჩნდება მატიანის ფურცლებზე. ამ სახელს პირველად ვხვდებით ჰაჯი კალფასთან, რომელიც წერს, რომ გონია მდებარეობს ზღვის პირად, საქართველოს საზღვარზე. მისი აღნიშვნით, გონიო ციხესიმაგრეცაა, მცირე ქალაქიც და ოლქიც.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, „გონია“ ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან, რაც „კუთხეს“ ნიშნავს (ი. კალფოლლუ). სხვანი კი მის ძირს ლაზურ-მეგრული ენის საფუძველზე იძიებენ (ვ. სიჭინავა, ვ. ჭანტურია). მათი აზრით, „გონია“ მეგრულად ადიდებულ მდინარეს, ბობოქარ მორევს ნიშნავს.

ვ. იაშვილი და ი. სიხარულიძე სახელწოდებას „გონია“ „გენუას“ უკავშირებენ. ი. სიხარულიძის აზრით, „გონია“ „გენუას“ სახენაცვალი ფორმაა.

ვ. იაშვილი მიიჩნევს, რომ სახელწოდება „გონია“ წარმოიშვა მე-12-13 საუკუნეში, როდესაც გენუელები საკმაოდ ცნობილი იყვნენ შავი ზღვის აუზის მოსახლეობისათვის, შემდეგ მეცნიერი თავისი აზრის დასასაბუთებლად იშველიებს ლაზურ თქმულებას და ასკვნის: „გონია“ ქართველებს „გენუასაგან“ უნდა ჰქონდეთ ნაწარმოები. ამაში გვარწმუნებს ლაზური თქმულება, რომელიც გონიოს ციხის აგებას გენუელებს უკავშირებს“. ვ. იაშვილს მართებულად მიაჩნია აგრეთვე სახელწოდება „გონია“ და არა „გონიო“, ვინაიდან ძველ ქართულ წყაროებში ეს სახელწოდება მხოლოდ ასეთი ფორმით გვხვდებაო. ჩვენ პატივცემული მეცნიერის ამ აზრს ვეთანხმებით, ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებლები მას დღესაც „გონიას“ უწოდებენ და არა „გონიოს“.

ჩვენი აზრით, „გონია“ ბერძნული სიტყვიდან – „კუთხე“ უნდა მომდინარეობდეს.

რატომ?

გონიო უძველესი ციხეა და მისი სახელწოდება შეუძლებელია გენუელებს დავუკავშიროთ, რომლებიც შავიზღვისპირეთში მხოლოდ მე-12-13 საუკუნეებში გამოჩნდნენ.

ძველად მდინარე ჭოროხის ერთი ტოტი აფსაროსის სახელწოდებით სამხრეთით მიემართებოდა, გარს უელიდა გონიოს ციხეს და სოფ. კვარიათთან უერთდებოდა ზღვას. ციხესთან იგი კუთხეს ქმნიდა. ეს რომ ასე იყო, გონიოსა და სარფის ხანდაზმული მცხოვრებლებიც ადასტურებენ. გარდა ამისა, ნამდინარევის კვალი დღესაც კარგად ჩანს და მას დაკვირვებული მხილველი ადგილზე თვითონაც შენიშნავს.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ გონიოს ციხის აშენების თარიღის შესახებ, უეჭველად მართებულია აზრი, რომ გონიო უძველესი ციხეა, მაგრამ მისი აშენების თარიღი დღემდე დაუდგენელია: ისტორიული წყაროები ამაზე ზუსტ პასუხს არ იძლევა.

გიონიოს ანტიკური წყაროები აფსაროსის სახელწოდებით იცნობენ; თუმცა ზოგიერთი მეცნიერი (ნ. მარი, პ. ინგოროყვა და სხვა) აფსაროსად დღევანდელ სარფს მიიჩნევენ. ჩვენი აზრით, ძველი ციხე-ქალაქი აფსაროსი დღევანდელ სარფსაც მოიცავდა. შემდეგში კი, ალბათ მე-12-13 საუკუნიდან, სახელწოდება „აფსაროსი“ უფრო ლოკალიზებული ხდება და მხოლოდ დღევანდელ სარფს შერჩა.

ისმება კითხვა: ვის მიერ და როდის უნდა იყოს აშენებული ციხე?

ერთი რამ ცხადია, გონიოს ციხე კოლხების მიერაა აშენებული.

ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში, ჩვ. წ. აღრიცხვამდე, ქსენოფონტე თავის ცნობილ „ანა ბაზისში“ წერდა, რომ: „ელინები კოლხეთში ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდნენ ციხესიმაგრეებს“. შესაძლებელია, გონიოს ციხეც კოლხეთის ძლიერების პერიოდში ყოფილიყო აშენებული.

გონიოს ციხესიმაგრეს უკანასკნელ წლებში ინტენსიურად სწავლობენ. 1959 წელს აქ ჩატარდა პირველი დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები.

საყურადღებო შედეგები მოგვცა არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩატარდა არქეოლოგების ი. გრძელიშვილისა და დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით.

გათხრების შედეგად გონიოს მიდამოებში მიაკვლიეს რკინის წარმოების კერას. საკუთრივ ციხის ტერიტორიაზე კი ძველი აბანო, მონეტები და კერამიკული ნაწარმი აღმოაჩინეს, აღმოჩენილი კერამიკული მასალები და მონეტები დათარიღებულია II-I საუკუნეებით.

ამჟამად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქეოლოგიურ გათხრებს განაგრძობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის აბუსერისძე ტბელის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. უეჭველია, გათხრების შედეგად მოპოვებული ახალი მასალები შუქს მოჰფენენ ჯერ კიდევ ბევრ დაუდგენელ საკითხს.

გონიოს ციხე მრავალი ისტორიული მოვლენის მოწმეა. აქ თავი შეაფარა შაჰ-აბასის ურდოების მიერ დევნილმა, ქართლ-კახეთის მეფემ თეიმურაზ პირველმა.

გონიოს ციხეში შეჩერდა ევროპიდან დაბრუნებული სულხან-საბა ორბელიანი. აქ იყო ფრანგი მოგზაური შარდენი და სხვები.

გონიო სხვადასხვა დროს დაიპყრეს ბიზანტიელებმა, რომაელებმა და თურქებმა. 1654 წელს დონის კაზაკებიც კი მისწვდნენ გონიოს და აიღეს იგი.

1547 წელს გონიო აიღეს თურქ-ოსმალებმა და აქ 331 წელი დაყვეს. 1878 წელს, ბერლინის კონგრესის საფუძველზე, გონიო აჭარასთან ერთად დაუბრუნდა დედასამშობლო — საქართველოს.

ზოგიერთი შენიშვნა იური სიხარულიძის „ჭანეთზე“

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა პროფ. ი. სიხარულიძის წიგნი – „ჭანეთი“ (მე-2 ნაწილი), რომელშიც მოცემულია ჭანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა.

ჩემი მიზანი არ არის დასახელებული წიგნის რეცენზირება – ეს ჩვენს შესაძლებლობას აღემატება. ჩვენ მხოლოდ ორიოდე შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ ეთნონიმების – „ლაზეთისა“ და „ჭანეთის“, აგრეთვე სოფელ სარფის ტოპონიმებზე.

„წიგნის დამატებაში“, სადაც განხილულია ჭანეთის ისტორია და საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, იური სიხარულიძე ეკამათება ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს გ. თანდილავას ეთნონიმების „ლაზეთისა და ჭანეთის“ გამო, აგრეთვე სოფელ სარფთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ სახელებთან დაკავშირებით (ზ. თანდილავამ 1978 წელს ჟურნალ „ჭოროხში“ დაბეჭდა რეცენზია პროფესორ ი. სიხარულიძის წიგნის „ჭანეთის“ პირველი ნაწილის შესახებ სათაურით „ახალი ნაშრომი ლაზეთზე“). სამწუხაროდ ზ. თანდილავას მიერ გაკეთებულ სამართლიან შენიშვნებს პროფ. ი. სიხარულიძე არ იზიარებს და სარფის ზოგიერთ გეოგრაფიულ აღწერაში უშვებს შეცდომებს.

რატომღაც ი. სიხარულიძე და ზოგიერთი სხვა მეცნიერი დაჟინებით ცდილობს ლაზებს ჭანები უწოდოს, ამისათვის იშველიებენ უამრავ სხვადასხვა არგუმენტებსა და მეცნიერულ ლიტერატურასაც კი. მათი აზრით, ჭანები ისტორიის არენაზე უფრო გვიან გამოჩნდნენ, ვიდრე ლაზები და ა. შ.

ლაზები, უძველესი დროიდან არიან ცნობილი როგორც დასავლურ-ქართული (კოლხური) ტომის ლასა (ლუშა-ს) სახელწოდებით ლასას ტომის შესახებ მოგვითხრობენ ჯერ კიდევ ჩვენს წ. აღრიცხვამდე მე-9 საუკუნის ურარტული ლურსმული წარწერები (გ. მელიქიშვილი, „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწე-

რები“, თბ., 1961, გვ. 95-107), (იხილეთ აგრეთვე რ. ბაქრაძე „საბ-ჭოთა სარფი, 1971, გვ. 11-15).

ძველი წელთაღრიცხვის IX-VI საუკუნეებში ურარტუს ძლიერი სახელმწიფოს ფარგლებში ლაზებიც შედიოდნენ, ამიტომ, როგორც აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, ურარტულ ენაში ვხვდებით ისეთ ლაზურ სიტყვებს, როგორიცაა: სერი-ღამე, ქური-ქუსლი, ჩილი-ცოლი და სხვა (გ. მელიქიშვილი „ურარტუ“, თბ., 1951, გვ. 144, აგრეთვე, ჩვენი, „საბჭოთა სარფი“).

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების საისტორიო წყაროები სამხრეთ კოლხეთს, ანუ ლაზეთს უწოდებდნენ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე, დაწყებული ჭოროხის შესართავიდან, ვიდრე მდინარე თერმიდონამდე (ქ. სამსუნის სამხრეთით 60 კმ-ზე). მაგალითად, მე-8 საუკუნის ბერძენი მწერალი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი ტრაპიზონს ლაზეთის ქალაქად მიიჩნევს.

მე-9 საუკუნის დასაწყისის ბერძენი მწერალი თეოფანე აღმასრულებელიც ტრაპიზონის მხარეს ლაზიკას უწოდებს. რიზეტრაპიზონის მხარე ლაზიკის, ლაზთა ქვეყნის სახელით მოიხსენიება აგრეთვე გვიანი შუასაუკუნეების ბერძნულ წყაროებშიც.

ქართული წყაროები ამ მხარეს მეგრელთა, ანუ ლაზთა ქვეყანას უწოდებენ (პ. ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე“, თბ., 1954).

ჩვ. წ. აღრიცხვამდე XII საუკუნის ასურული წყაროები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე იცნობენ კოლხების ქვეყანას. კოლხთა ტომი ჩვ. ერამდე მეორე ათასწლეულში უძლიერესი იყო. მან შეძლო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა გაერთიანება. მას შემდეგ ამ მხარეს კოლხეთი ეწოდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ტომთა შორის, რომლებიც კოლხურ გაერთიანებაში შედიოდნენ, ანტიკურ ხანაში ძლიერი და გავლენიანი ტომი იყო ჭანები, რომელთა უძველესი საისტორიო სახელი, მკვლევართა აზრით, კაინია. კაინი — ხალდი ჭანის ადრინდელი ფორმებია, მაგრამ კაინი, ხოლო

უფრო გვიან ამ სახელის „ჭან“ ფორმა, თანდათან ენაცვლება და ფარავს „ხალდ სახელს (თ. მიქელაძე, „სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, მაცნე №1, 1967, გვ. 98).

აღსანიშნავია, რომ ბერძნული წყაროები თავიდანვე განასხვავებდნენ ჭანთა ტომებს ლაზებისაგან. აქ ჭანები ჭანიკების სახელით არიან ცნობილი. მკვლევარი, ბიზანტიოლოგი თ. უსპენსკი ტერიტორიას მდ. ჭოროხიდან მდ. თერმიდონამდე სამ მხარედ ყოფს: ლაზეთი – რიზეს მხარე, ტრაპიზონის მხარე და საკუთრივ ჭანეთი. ე. ფ. ლუდშუვეიტის წიგნში „ტურცია“ (ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი) დართულ თურქეთის რუკაზე ჯანიქი (იგივე ჭანეთი) ტრაპიზონის დასავლეთით არის ნაჩვენები (ე. ფ. ლუდშუვეიტი, „ტურცია“, ეკონომიკო-გეოგრაფიჩესკი ოჩერკ, 1955).

ამრიგად, ჭანები ლაზების მეზობლად სახლობდნენ და როგორც ისტორიული წყაროები მიუთითებენ, მათ ეჭირათ სამხრეთი კოლხეთის მთიანი მხარე. ამის გამოც სტრაბონი პირდაპირ მიუთითებს, რომ ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანებიო (ჭანები) (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი 8, გვ. 107).

წერილობითი წყაროებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ჩვ. წ. აღრიცხვამდე გარკვეულ პერიოდში ჭანები (სანები) ჰეგემონობდნენ სამხრეთი კოლხეთის ქართველურ ტომებზე. ამის გამო აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები გარკვეულ პერიოდში ჭანურ ტომებადაც იწოდებოდნენ.

ზემოთ ხსენებული მასალები ცხადყოფს, რომ ლაზეთი და ჭანეთი არ არის ერთი და იგივე გეოგრაფიული ერთეული, ისევე როგორც იმერეთი არ არის გურია ან სამეგრელო და ა. შ.

ამრიგად, პროფ. ი. სიხარულიძეს წიგნში „ჭანეთი“ ჭანეთის გეოგრაფიული აღწერა კი არა აქვს მოცემული, არამედ ლაზეთის. ამიტომ წიგნს „ლაზეთი“ უნდა ეწოდოს და არა „ჭანეთი“.

აქვე გვსურს, ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთოთ სარფის ტოპონიმთან დაკავშირებით.

დერემენდერესი – თურქული სიტყვაა და სიტყვასიტყვით წისქვილის ხევს ნიშნავს.

დერემენ – წისქვილს ნიშნავს, დერე – ხევს, „სი“ კი კუთვნილების ნიშანია.

ოკანდალე – ლაზურია და ნიშნავს საკანდელეს, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები განმარტავენ, ამ ადგილებში ძველად სარფელები საკანდელე მასალას ამზადებდნენ.

სწორია ბოგილული და არა ბოგლული, ჩებელეში და არა ჩელებეში.

რატომღაც ი. სიხარულიძე „ოჯაღანეს“ წერს და არა „ოჭაღანეს“, ჭაღანა კი კიბორჩხალს ნიშნავს.

„კაკალიშ ყონა“ და არა „კაკლიშ ყონა“, „კაკალიშ ყონა“ სიტყვასიტყვით კაკლის ყანას ნიშნავს.

„ქვა-ოწუდე“ და არა „ქვა ოწოდე“. ოწუდე ლაზურში თაროს ნიშნავს.

„ქვაჭაჭი“ – ეს ტოპონიმი ორი სიტყვისაგან შედგება – ეს არის „ქვა“ და „ჭაჭი“, რაც ნიშნავს დანაოჭებულ ქვას.

„ჭვა ხერხი“, ანუ „ქვა ხეხი“ იმიტომ დაერქვა, რომ ამ ქვის ფორმა ხერხის კბილებს მოგვაგონებს.

დასასრულს ორი ტოპონიმის – „ფირალ დაღისა“ და „ქვამხაზის“ შესახებ.

„ფირალ-დაღი“ ორფუძიანი კომპოზიტია. „ფინალი“ თურქული სიტყვაა და მთას, ტყეს ნიშნავს. სარფელთა განმარტებით, სარფის ამ ნაწილში ძველად უდაბური ტყე ყოფილა, სადაც ფირალები აფარებდნენ თავს. განმარტებისათვის დავძენთ, რომ 200-300 წლის წინათ სარფელები ცხოვრობდნენ უფრო ზემოთ, ზღვიდან მოშორებით.

90 წლის სარფელმა ქალმა გ. კახიძემ, გვიამბო, რომ ზღვის პირას ძველად მეკობრეები დათარეშობდნენ, ბავშვებს იტაცებდნენ და ამიტომ ჩვენი წინაპრები ზღვიდან მოშორებით ცხოვრობდნენ, ახლანდელი სარფის ტერიტორიაზე კი დაახლოებით 200-300 წლის წინათ დავსახლებულვართო. აღნიშნულის სისწორე იმითაც

დასტურდება, რომ სოფლის ძველ ნასახლართა ნაშთები (ღვინის ჭურები და სხვა საოჯახო ნივთები) სწორედ სოფლის თავში გვხვდება და არა სხვაგან. ასე რომ, ტოპონიმი „ფირალ-დაღი“ საკმაოდ ნათელ ცნობებს იძლევა სარფის ისტორიულ წარსულზე.

რატომღაც დიდი კამათია „ქვაომხაზის“ სახელწოდების გარშემო. ფაქტიურად, საკამათო არაფერია „ქვამხაზი“ ორი სიტყვისაგან შედგება: „ქვა და მხაზი“ „მხაზი“ ლაზურად ხაზია. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს დანაოჭებულს, დასერილს. აქედან გამომდინარე, „ქვამხაზი“ დახაზულ, დანაოჭებულ ქვას ნიშნავს, ეს ასეცაა: დაკვირვებული თვალი უთუოდ შენიშნავს, რომ უზარმაზარი ქვა ძალიან დასერილია. მაშასადამე, ქვის სახელწოდება სავსებით შეესაბამება მის ზედაპირულ ფორმას.

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიშველიო ამონარიდი აკადემიკოს სერგი ჯიქიას პირადი წერილიდან, რომელსაც ვთხოვე აღნიშნულთან დაკავშირებით გამოეთქვა თავისი მოსაზრება: „... მე სავსებით გეთანხმებით თქვენც, ბატონ ზურაბსაც (ზ. თანდილავა) (და ყველა სხვასაც), რომ უნდა ვწეროთ ლაზეთი და ვიხსენიოთ ეს მხარე ლაზეთად. მე დაბეჭდილი მაქვს სტატია „ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 6. თბილისი, 1954, გვ. 243-256); სხვა მოსაზრებებიც ბევრია, მაგრამ ევლია ჩელების ცნობებიც ეჭვს არ ტოვებს, რომ ლაზეთს უნდა ერქვას „ლაზეთი“. მე ეს ჩემი მოსაზრება „ჭანეთის“ პირველი წიგნის გამოცემამდეც ვუთხარი ბატონ იურის, მაგრამ, ჩანს, რომ არ გაიზიარა. თქვენი შენიშვნები ტოპონიმებთან დაკავშირებით სწორია, ალბათ, თქვენ ადგილობრივი მკვიდრი ბრძანდებით და ადგილობრივი წარმომავლობის (ენობრივად) ტოპონიმების თქვენი განმარტებები მისაღებია... მარადის თქვენი – სერგი ჯიქია.“

ქართველი მკითხველი განებივრებული არ არის ლაზეთზე დაწერილი წიგნებით. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას მონოგრაფიაზე „ლაზეთი“, რომელმაც ლაზეთის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ იგი სრულყოფილად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან აღნიშნული წიგნის ავტორები ლაზეთს ვიწრო ტერიტორიულ ჩარჩოებში სვამენ და ლაზებად მიიჩნევენ მხოლოდ ქ. რიზედან აღმოსავლეთით მდებარე იმ ტერიტორიებზე მოსახლე ლაზებს, რომლებსაც დედაენა ჯერ კიდევ არ დავიწყიათ და ლაზურად მეტყველებენ. ქ. რიზეს დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე მოსახლე ლაზებზე, რომლებსაც დავიწყებული აქვთ დედაენა, არაფერია ნათქვამი. სინამდვილეში ლაზეთის ტერიტორია მოიცავს შავიზღვისპირეთის მთლიან ზოლს, სარფიდან სინოპის ჩათვლით, რასაც თანამედროვე თურქი ისტორიკოსებიც ადასტურებენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ამ ხარვეზს ცოტათი მაინც ავსებს წათე ბაწაშის მცირე მოცულობის წიგნი – „პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში“. წათე ბაწაში სოხუმელი ლაზია, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიული განყოფილების დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობდა. იგი ტრაპიზონის საქართველოს საკონსულოში დიპლომატად მუშაობს და პარალელურად იკვლევს ლაზეთის ისტორიის ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ ლაბირინთებს. წათე ბაწაში თავის ნაშრომს იწყებს ეთნონიმი „ლაზის“ გარკვევით და წერს: „თანამედროვე ლაზეთი, რომელსაც თურქეთში ლაზისტანს, ანუ ლაზთა ქვეყანას უწოდებენ, ოსმალეთის ისტორიის ხანაში შეადგენდა ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის – ტრაპიზონის ვილაეთს“.

ტრაპიზონი რომ ლაზების ქალაქია, ამას ადასტურებენ როგორც უცხოელი მწერლები, ისე ძველი და ახალი თაობის თურქი ისტორიკოსებიც.

მე-17 საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი – ქათიბ ჩელები წერდა: „ტრაპიზონის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ლაზურია“, ხოლო თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ომერ ჰასანი წერს: „ტრაპიზონში კავკასიისა და ანატოლიის კვალი ჩანს. აქ მცხოვრები ქართველები – ლაზები – ადგილობრივი ხალხები არიან, რომლებიც შემდეგში ან ელინიზებული იქნენ, ან გათურქდნენ... პონტოს კულტურა არც ოღუზთა (თურქული ტომი) კულტურაა და არც ელინთა, – იგი ლაზურია,“ – ასკვნის ავტორი.

ბოლო დრომდე თურქ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი ამტიკცებდა, რომ ლაზები ერთ-ერთი ტომია შუა აზიიდან მოსული 24 თურქული ტომიდან.

თურქი მკვლევარი ომერ ჰასანი ასეთ დაკვირვებას გვთავაზობს: „ოფელები ცუდი საქციელის ჩამდენ კაცზე იტყვიან: ოღუზებივით (ე. ი. თურქივით) იქცევიო“. – ე. ი. ლაზები ადგილობრივი ხალხი ყოფილა და არა „ოღუზებივით“ მოსულიო, მაშასადამე, ლაზები თურქული ხალხი არ ყოფილა, – ასკვნის ომარ ჰასანი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით IX-V საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროებზე ჩნდება ბერძნული კოლონიები, რომლებიც მოგვიანო პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა. ამან გამოიწვია ელინური კულტურის გავრცელება, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთის დასავლეთ რაიონებში. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ, როცა მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია დაიშალა, ლაზეთიც დაიყო სამეფოებად, დასავლეთით შეიქმნა პაფლაგონია, ხოლო აღმოსავლეთით პონტოს სამეფო, სადაც ბერძნული გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო. როგორც წათე ბაწაში აღნიშნავს, მიუხედავად ამისა, ლაზები მაინც ინარჩუნებდნენ ჰეგემონობას, „ბერძნული კოლონიზაციის დასაწყისამდე და მის შემდეგაც მთელი ეს ტერიტორია მყარად იყო დაკავებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომლის საწარმო საქმიანობაც მიწათმოქმედებასა და ხელოსნობასთან ერთად დაკავშირებული იყო ზღვასთან“.

XII საუკუნის დასაწყისში ჯვაროსნების შემოტევის შედეგად დასუსტდა ბიზანტიის იმპერია. ლაზებმა ისარგებლეს ამით და საქართველოს სამეფოს დახმარებით ტრაპიზონის სამეფო დააარსეს, რომელსაც ქართველი და ბერძენი მეფეები განაგებდნენ.

XI საუკუნის ბოლოს ანატოლიაში იწყება სხვა ახალი ისტორიული პროცესებიც. 1071 წელს მანასკერდთან (თურქულად მალაზგირთი) თურქულმა ჯარმა ალფარსლანის სარდლობით დაამარცხა ბიზანტიის ლაშქარი, ამით გზა გაეხსნა თურქულ ტომებს ანატოლიის სიღრმისაკენ, მათ ანატოლიაში დააარსეს ე.წ. თურქსელჯუკთა სახელმწიფო, რომელიც მალე დაიშალა ჩინგიზხანის შემოსევის შედეგად. მის ნანგრევებზე კი აღმოცენდა თურქოსმალთა სახელმწიფო, რომელმაც გააერთიანა ანატოლიის დაქუცმაცებული სამთავროები და გააჩაღა დამპყრობლური ომები ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნების წინააღმდეგ. 1453 წლის 29 მაისს მემედფათიხმა კონსტანტინოპოლიც დაიპყრო და შეუდგა შავიზღვისპირეთის „ათვისებას". 1461 წელს მან ტრაპიზონის სამეფოც დაიმორჩილა და უშუალოდ მიადგა საქართველოს. სულ მალე დაეუფლა აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთსაც.

ლაზეთი თურქეთის პროვინციად იქცა, მაგრამ როგორც წ. ბაწაში წერს: „სულთნის ბატონობა აქ ნომინალური იყო. თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას ოსმალეთი დიდი გაჭირვებით ახერხებდა მხოლოდ ზღვის სანაპიროზე".

წ. ბაწაშის მოაქვს ვრცელი ამონაწერი უსპენსკის ფუნდამენტური ნარკვევიდან ტრაპიზონის იმპერიაზე, სადაც ნათქვამია, რომ „მიუხედავად უცხოელთა (ბერძენთა და თურქთა) ხანგრძლივი ბატონობისა, აქ ლაზური ლაპარაკი ახლაც ისმის, რაც იმის დამადასტურებელი საბუთია, რომ აქ ლაზურად მეტყველი ტომები: ხალიბები, ტიბარიანები, მოსინიკები, დრილები და სხვანი, ყველა ისინი ქართველურ ეროვნებას ეკუთვნოდნენ".

ლაზეთი საუკუნეების განმავლობაში რომისა და ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მათი გავლენის ქვეშ იყო.

ტრაპიზონის სამეფოს დაცემის შემდეგ, მე-15 საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და ბუნებრივია, მან თურქული კულტურის გავლენა განიცადა და ქ. რიზეს დასავლეთით მცხოვრებმა ლაზებმა დედაენაც კი დაკარგეს, მაგრამ როგორც თანამედროვე თურქი მკვლევარი, „პონტოს სამეფოს" ავტორი, ომერ ჰასანი წერს: „აქაური მეტყველება განსხვავდება თურქეთის სხვა ნაწილში მცხოვრებთა ენისაგან, პონტოს ენა ლაზურის, ბერძნულისა და თურქულის ნარევია. აქაური სიმღერები, ცეკვა და მუსიკაც (ფოლკლორი) განსხვავებულია".

ოსმალეთის მიერ ლაზეთის თურქეთის პროვინციად გადაქცევის შემდეგ ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელი ლაზების ნაწილმა ისლამის რელიგია მიიღო, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა მე-16-17 საუკუნეებამდე შეინარჩუნა ქრისტიანობა. ისქანდერ მუნშის ცნობით, „ტრაპიზონის ვილაიეთში მე-16 საუკუნეში მოსახლეობის უმრავლესობას ქრისტიანები შეადგენდნენ. მაგ: სურმენეს ნაჰიეში 2514 კომლიდან მუსლიმანური მხოლოდ 124 იყო, რიზეს კაზაში კი 3684-დან 584".

მაგრამ მე-18 საუკუნიდან ისლამი მყარად იკიდებს ფეხს ლაზურ მოსახლეობაში, რაშიც დიდი როლი ითამაშა ოსმალური მიწათმფლობელობის წესმა, რომლის თანახმად მიწის სარგებლობის უფლება ჰქონდა იმ ფეოდალს, რომელიც ჯარში მსახურობდა, სამხედრო სამსახური კი ისლამის აღმსრულებელს შეეძლო მხოლოდ (მიწა მემკვიდრეობით არ გადადიოდა).

ამიტომ პირველ რიგში ისლამს ღებულობდა შეძლებული ფენა, ვისაც გააჩნდა მამულები, შემდეგ კი ისინი საკუთარ გარემოცვასაც აიძულებდნენ ისლამის მიღებას. მაგრამ გამუსლიმანებას სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორიც უწყობდა ხელს: ოსმალეთში დაწინაურებისათვის მთავარი იყო არა ეროვნული, არამედ რელიგიური კუთვნილება, საკმარისი იყო მხოლოდ მუსლიმანობა. ამიტომ იყო, რომ როგორც თურქი ისტორიკოსები აღნიშნავენ, ოსმალური მმართველობის პერიოდში 36 სულთნიდან მხოლოდ 2-ს ჰყავდა თურქული ეროვნების დედა. 124 ვეზირ-აზამლერს

შორის (მთავრობის თავმჯდომარე) 22 ქართველი, აფხაზი და ჩერქეზი იყო, 19 – ალბანელი, 14 – ბოსნიელი, 15 – სლავი, 6 – ბერძენი, 1 – სომეხი და 1 – რუსი, ანუ ოსმალეთის იმპერიის მმართველებს შორის ერთ მესამედი არათურქი იყო, იანიჩრების ხელმძღვანელთა ანუ იანიჩარ-აღასების (ჯარის სარდლები) უმრავლესობაც არათურქები იყვნენ.

წ. ბაწაში, როცა მსჯელობს ლაზების გამუსლიმანებაზე, სწორად შენიშნავს, რომ: „ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, თითქოს არამუსლიმანები ოსმალეთის იმპერიაში განიცდიდნენ უმოწყალო დისკრიმინაციას, დაზუსტებას მოითხოვს. გამაჰმადიანება მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარეობდა ძალდატანებით. გამუსლიმანების პროცესს მასობრივი ხასიათი არ მიუღია... ჩვეულებრივ მოსახლეობა მუსლიმანობას იღებდა საკუთარი საზოგადოებრივი და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად“.

ლაზთა გარკვეული ნაწილი ქრისტიანობის შესანარჩუნებლად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაექვემდებარა და ბერძნებად აღიარეს თავი, ეს იმიტომ, რომ არა მხოლოდ პორტა (ოსმალეთის მთავრობა), არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც არ სცნობდა მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორის რომელიმე სხვა ეროვნებას, გარდა ბერძნულისა. ბერძნულ ეკლესიას დაქვემდებარებული ადგილობრივი მცხოვრებნი თანდათანობით ბერძნდებოდნენ. ლაზი ქრისტიანი აუცილებლად ბერძნულ სახელსა და გვარს ატარებდა. ვალდებული იყო ბერძნულად ესწავლა და სხვა. მაგრამ ლაზები თავისი გარეგნობითა და ქცევით მაინც განსხვავდებოდნენ ბერძნებისაგან. აი, რას წერს ჯ.პალგრევი: „მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ბერძნებად იწოდება, დიდად განსხვავდება ნამდვილი ბერძნებისაგან, ესაა უფრო წარმოსადეგი და ლამაზი ტიპი, რომელიც ლაზებს ანუ კოლხებს მოგვაგონებს“. შემდეგ ჯ. პალგრევი უფრო აკონკრეტებს: „აქაური ე. წ. ბერძნები სინამდვილეში სხვა არავინაა, თუ არა ლაზები,

რომლებმაც ბიზანტიის პერიოდში მიიღეს ქრისტიანობა და მას შემდეგ თავისებურად ინარჩუნებენ მას“.

წ. ბაწაშს ნათქვამის დასასაბუთებლად მოჰყავს ჰ. აჭარიანის სიტყვები, რომ: „ტრაპიზონში, გიუმიშხანეში, პლატანიასა და სხვა ადგილებში მცხოვრები ლაზები ექვემდებარებიან ბერძნულ ეკლესიას და ლაპარაკობენ ბერძნულად. რიზეს, ოფის, სურმენეს და სხვა რაიონის მკვიდრი ლაზები კი ლაპარაკობენ თურქულად“. ანალოგიურ ცნობას იძლევა ლუი გრანჟიეც (1615 წ.): „დაბა რიზე მდებარეობს ლაზების ქვეყანაში, რომელიც გავრცობილია ტრაპიზონიდან საქართველომდე. მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც უფრო ახლოსაა ტრაპიზონთან, ლაპარაკობენ ბერძნულად, იქ კი, რომელიც უფრო ახლოსაა საქართველოსთან, ლაპარაკობენ საერთოდ სამეგრელოს ენაზე“.

გაბერძნებულმა ლაზებმა შემდეგში სასტიკი დევნა განიცადეს, რის გამოც იძულებული გახდნენ საბერძნეთში – „სამშობლოში“ გადახვეწილიყვნენ, ზოგიერთმა კი საქართველოს შეაფარა თავი. არ არის გამორიცხული, რომ ხელვაჩაურსა და ქობულეთში მცხოვრები ე. წ. ბერძნები გაბერძნებული ლაზები იყვნენ.

სამწუხაროდ, ამ მიმართებით არავის ჩაუტარებია კვლევა, ამიტომ დაბეჯითებით ამის მტკიცება შეუძლებელია.

ზემოთ მოყვანილი ცნობები აშკარად ღაღადებენ იმაზეც, რომ უძველესი დროიდან ლაზების საცხოვრისი ტერიტორიულად მოიცავდა არათუ სარფიდან რიზემდე, არამედ ტრაპიზონიდან დასავლეთით სინოპამდე და უფრო შორ ტერიტორიებსაც. ტრაპიზონი კი ლაზეთის შუაგულად ითვლებოდა, და მაინც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთები ისტორიულ სინამდვილეს უგულებელყოფენ და ლაზეთს ვიწრო ტერიტორიულ ჩარჩოებში სვამენ იმ საბაბით, რომ რიზეს დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობამ ლაზური არ იცის, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებთ ლაზებად არ მიიჩნევენ არა-მარტო ლაზეთის ისტორიაში ღრმად ჩაუხედავი მკვლევრები, არამედ რიზეს აღმოსავლეთით მოსახლე ლაზურად მეტყველი ლაზებიც. „ლაზები თუ არიან, ლაზური რატომ არ იციანო“, – ამბობენ ისინი.

როცა ტრაპიზონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზებს შევხვდი, გულისტკივილით მითხრეს: „ლაზურად მეტყველი ლაზები დაგვცინიან, არ გვთვლიან ლაზებად, რადგან ლაზური არ ვიცითო“. აღსანიშნავია, რომ თვითონ თურქები ლაზებს თურქებად არ მიიჩნევენ და თურქებისაგან განსხვავებით მათ „ქარადენიზლებს“ (შავიზღვისპირელები) უწოდებენ. (ანკარაში 90% ადამიანებისა, ვისთანაც საუბარი მქონია, ვინაობას არც მეკითხებიან, შენ „ქარადენიზლი“, ე. ი. ლაზი იქნებიო, მეუბნებიან). ტელევიზიით კვირაში ერთხელ საგანგებოდ უჩვენებენ ქარადენიზლების საღამო-კონცერტს, რომელსაც დიდი ინტერესით უყურებს თურქეთის მოსახლეობა.

კიდევ ერთი საკითხი, რაშიც ჩვენი ისტორიკოსები ცდებიან, ეს არის ლაზეთისადმი ჭანეთის სახელწოდების მიკუთვნება. ჭანეთიც ლაზური მოსახლეობაა, რომელთა საცხოვრისი იყო ტრაპიზონის მიმდებარე ტერიტორია, რაც ტოპონიმიკითაც დასტურდება „ჯანიქის“ სახელწოდებით, მაგრამ ასეთი სახელწოდების ხალხი შავიზღვისპირეთში დღეს არ სახელდება, ისინი შემდეგში მთლიანად გაითქვიფნენ ლაზებში და დღეს ლაზებად, ანუ ქარადენიზლებად მოიხსენიებიან. არ არის გამორიცხული, რომ დღეს შავიზღვისპირეთში მცირე რაოდენობით შემორჩენილი, ჩეფნების ტომი (თურქულ ანბანში არ არის ასო-ჭ) იგივე ჭანები იყოს. წ. ბაწაში წერს: „ჩეფნები ეს ჭანთა სახელწოდების ადგილობრივი ფორმაა, თავისებურად აღქმული და გააზრებული თურქთა მიერ“; მაგრამ მე სულ სხვა რამეზე მინდა მივუთითო ჭანეთის სახელწოდების მკვლევრებს. გურულები, აჭარლები, კახელები და სხვებიც ქართველი ხალხია, მაგრამ მაინც ვანსხვავებთ მათ ერთმანეთისაგან. გურიაში მცხოვრებ ადგილობრივი წარმოშობის ადამიანს გურულს ვუწოდებთ, კახეთისას – კახელს და ა. შ. ანალოგიურად განსხვავდებიან მეგრელ-ლაზები და ჭანები ერთმანეთისაგან, რომელთა საერთო სახელწოდებად შეიძლება ყველაზე გავრცელებული ფორმა – კოლხი ვიხმაროთ, მაგრამ არამც და არა „ჭანი“ – „ჭანეთი“.

15 მაისი, 1997 წელი.

რევაზ ბაქრაძე მეუღლესთან –
ნანუ ეანილიში-ბაქრაძესთან ერთად

რევაზ ბაქრაძე ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად.

სისტემატურად თვალყურს ვადევნებ ქართულ პრესას, სადაც ხშირად იბეჭდება ბატონ ასლან აბაშიძისადმი წაყენებული უმართებულო ბრალდებები. ეს, ჩემი აზრით, იმის გამოა, რომ ზოგიერთი ვაიქართველი, როგორც ჩანს, შეწუხებულია იმით, რომ აჭარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გზას არ დაადგა, რომლებმაც თავი საქართველოსაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს – აირჩიეს თავისი პარლამენტი და პრეზიდენტი და მშვიდად განაგრძობენ სეპარატისტულ მოღვაწეობას.

ასლან აბაშიძეს ანტიქართული ნაბიჯი არასოდეს გადაუდგამს და არ გადადგამს. იგი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციით აჭარისადმი მინიჭებული ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ფარგლებში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მეტისმეტი ცენტრალიზაციის გამო აჭარა სრულად ვერ სარგებლობდა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით. ახლა კი ასლან აბაშიძე სრულად იყენებს მას, ამიტომ ზოგიერთებს ეს ეხამუშება და სეპარატიზმად ეჩვენება.

ასლან აბაშიძე სეპარატისტი ვერ იქნება იმის გამოც, რომ იგი აღზრდილია ერთიანი საქართველოსთვის თავდადებულ ადამიანთა ოჯახში, რომელთა გმირულმა ბრძოლამ აჭარა საუკუნოდ შეაერთა დედასამშობლო საქართველოს. მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების სახელი ყველასათვის ცნობილია და ქართველი ხალხი მათ დამსახურებულად მიაგებს პატივს.

ასევე პატივის ღირსია იბრაიმ აბაშიძე – ასლანის მამა. მან ცხოვრების საუკეთესო წლები იზოლაციაში გაატარა, ამიტომ არ დასცალდა კალმითა თუ ხიშტით ებრძოლა საქართველოს აყვავებისათვის. მე პირადად ვიცნობდი და მეგობრობაც მაკავშირებდა ბატონ იბრაიმთან. იგი გახლდათ გულანთებული მამულიშვილი და შემთხვევითი არ იყო, რომ მის ყველა ნაცნობ-მეგობარს, რომელთა რიცხვი ძალიან დიდი იყო, შორიდანვე ესალმებოდა: „მამულიშვილს გაუმარჯოსო“ და ბუნებრივია, ჩინებული ქართველი ამ სი-

ტყვაში საქართველოს მამულიშვილობას გულისხმობდა. იგი იყო ბათუმის კოლორიტი, ყველა ბათუმელისთვის სასურველი და საყვარელი ადამიანი. ამიტომ ღირსია, ვრცლად დაიწეროს მის შესახებ, რათა საზოგადოება გაეცნოს მის კაცურ ცხოვრებას.

ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

24 აპრილი, 1997 წელი.

ცხოვრობს სოფელში კაცი

ღვიძლ ძმაზე წერა უხერხულიც არის და ძნელიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტე მკითხველს მისი დამსახურების შესახებ ვამცნო.

მურმან ბაქრაძემ 70-ს ამ რამდენიმე წლის წინათ გადააბიჯა. მოველოდი, რომ გაიხსენებდნენ მის ამაგს მშობლიური სოფლისა და კუთხის წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, მურმანი მიივიწყეს, ამიტომ ისევ მე ჩავთვალე თავი ვალდებულად მისი ფარდი სიტყვა მეთქვა. ამბობენ, რომ ბერძნები ორ შემთხვევაში თვლიან საჭიროდ თავის თავზე, საკუთარ დამსახურებაზე ხმამაღლა ლაპარაკს: როცა უნებლიეთ დაავიწყდებათ შენი დამსახურება, ანდა მაშინ, როცა შეგნებულად გივიწყებენ. მე მჯერა, რომ ჩემი ძმის ამაგი მის მეგობრებს უნებლიეთ დაავიწყდათ.

მურმან ბაქრაძე

საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიძლება არც იცის, რომ მურმან ბაქრაძე 20 წელზე მეტხანს სარფის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა და ამდენივე ხნის განმავ-

ლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც იყო არჩეული. ამის მიუხედავად, მხოლოდ ერთი გაუმართავი სახლის აშენება შეძლო, რომელიც დღესაც მოუწყობელია. მთელი მისი ფულადი შემოსავალი კი ხმარდებოდა სტუმრების მიღებას. სარფი ყოველთვის იყო ჩვენი მხარის სტუმართა ინტერესის საგანი, ამიტომ მთელი სსრკ-ის მასშტაბით სტუმრობდა მას მინისტრიც, გენერალიც, აკადემიკოსიც და უჩინო ადამიანიც, რომლებიც საზღვრისპირა სოფლის ნახვის სურვილს მოჰყავდა სარფში. იგი საოცრად სტუმართმოყვარე გახლავთ, ამიტომ მის მეუღლეს რამიეს ხშირად დღეში სამჯერ უხდებოდა სტუმრისათვის სუფრის გაშლა.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, უმაღლესი პარტიული სკოლიდან დაბრუნებულმა, თავს ნება მივეცი მთელი დღე სარფში გამეტარებინა და უშუალოდ გავხდი მოწმე მისი საოცარი სტუმართმოყვარეობისა. მურმანს ესტუმრა 15-კაციანი ჯგუფი, სუფრა ჯერაც არ აშლილიყო, რომ მეორე ჯგუფი ეწვია, მეორეს მესამე მოჰყვა და ა. შ.

სტუმართა შორის იყვნენ მაღალი რანგისანიც და უბრალო ადამიანებიც, მაგრამ მურმანი ყველას – დიდსა და პატარას ჩვეული გულითადობით ხვდებოდა. იმ საღამოს სტუმართა ბოლო ჯგუფის გაცილების შემდეგ მურმანს გავუმხილე: – მურმან, ცოდვა ხარ-მეთქი, ამდენი სტუმრის მიღებას, გარდა მატერიალური სახსრებისა, სულიერი ძალების დახარჯვაც სჭირდება, ყველას უნდა ეფერო, ყველას თავისი საკადრისი სიტყვა უთხრა, ყველას ხასიათი უნდა შეუწყო-მეთქი. მურმანმა კი, ასე მიპასუხა: ჩემო რევაზ, ჩემთან სტუმრები რომ მოდიან ბედნიერი ვარ, ცოდვა მაშინ ვიქნები, როცა ჩემთან არავინ არ მოვაო. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში მაშინ დავრწმუნდი, როცა მურმანი პენსიაზე გავიდა და სტუმართა რიცხვიც შემცირდა, მატერიალური სახსრებიც შემოაკლდა, თუ რამე ჰქონდა, სტუმრებს შეალია, ერთი კაპიკიც არ აღმოჩნდა გადანახული შავი დღისათვის. მისი მრავალრიცხოვ-

ანი ოჯახი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. აი, ახლა კი ვგრძნობ, რომ მურმანი მართლაც ახლაა ცოდვა.

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, ჩემი ძმა მაშინ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი იყო. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები. ჯერ კიდევ ომის დროიდან გამოყოლილი სიდუხჭირე სუფევდა, მე კი თბილისის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მინდოდა სწავლის გაგრძელება. ბევრმა ალბათ არც კი იცის, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაარსდა დიპლომატიური ფაკულტეტის ბაზაზე, რომელიც 1945 წელს ჩამოყალიბდა.

როცა გაეროს ორგანიზაციას ეყრებოდა ჩაფუძველი, ი. სტალინს მიზნად ჰქონდა სსრ კავშირის 16-ივე რესპუბლიკა (მაშინ 16 მოკავშირე რესპუბლიკა იყო), გაერო-ს წევრი გაეხადა, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, ამიტომ საჭირო იყო შესაბამისი კადრების მომზადებაც. საქართველო ორიენტირებული იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ამიტომ თბილისის უნივერსიტეტის დიპლომატიურ ფაკულტეტს თურქეთის, სპარსეთის, ირანის და არაბული ქვეყნებისათვის უნდა მოემზადებინა დიპლომატიური კადრები. შესაბამისად, სტუდენტები უნდა დაუფლებოდნენ ამ ქვეყნების ენასა და ისტორიას.

შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ გაერო-ს წევრებად მხოლოდ უკრაინა და ბელორუსია მიიღეს. ამიტომ დიპლომატიური ფაკულტეტი გადაკეთდა ჯერ საერთაშორისო ფაკულტეტად, ხოლო უფრო მოგვიანებით აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტად ისტორიული და ფილოლოგიური პროფილით. იმის მიუხედავად, რომ დიპლომატიური ფაკულტეტი უკვე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტად იყო გარდაქმნილი, სტუდენტთა მიღება მაინც მკაცრი შერჩევით ხდებოდა. გარდა მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა, აბიტურიენტი სპეციალურ გასაუბრებასაც გადიოდა. კიდევ მეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე, რომლის კურსდამთავრებული

ამ სტრიქონების ავტორიც გახლავთ, ქალებს არ ღებულობდნენ. ასე რომ, მე აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი ვარ და არა ფილოლოგი, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება ვერ მოვახერხე უსახსრობის გამო. ოჯახმა ვერ შეძლო ორი სტუდენტის სწავლის უზრუნველყოფა. ამიტომ მურმანის უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე სარფის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად მუშაობა მომიხდა. ჩემს მცირეოდენ ხელფასს მურმანს ვუყოფდი. ორი წლის შემდეგ მურმანმა დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი და გეოგრაფიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა გონიოს საშუალო სკოლაში, მაგრამ მალე გადმოიყვანეს სარფის რვაწლიანი სკოლის დირექტორად. 26 წლის ასაკში დაოჯახდა მურმანი.

მე კი თბილისის უნივერსიტეტში წარმატებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები და ჩავირიცხე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე თურქეთის ისტორიის სპეციალობით, ომისშემდგომი წლები მაინც მძიმე იყო, უფულობა და გაჭირვება ყველგან იგრძნობოდა. სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი – ომიდან ან ჯარიდან დაბრუნებული ახალგაზრდები სამხედრო ფარაჯით დადიოდნენ ლექციებზე.

სტიპენდიას ვღებულობდი, მაგრამ იგი არ იყო საკმარისი კვების, ჩაცმა-დახურვისა და წიგნების ყიდვისათვის. ჩემი უფულობის დეფიციტს მურმანი მივსებდა. თავისი ხელფასის ნახევარს მე მიგზავნიდა, თან მამხნევებდა წერილით: „ჩემო რევაზ, შენ კარგად ისწავლე, არ გაიჭირვო, გიგზავნი სახარჯო ფულს, თუ კიდევ დაგჭირდება, მომწერე და კიდევ გამოგიგზავნი“. მე, რა თქმა უნდა, არასდროს ბოროტად არ გამომიყენებია მისი დაპირებები, რადგან ვიცოდი, ახალდაქორწინებულ კაცს ფული ჰაერივით სჭირდებოდა.

1950 წელს მურმანს პირველი შვილი შეეძინა და მას გურამი დაარქვა.

1951 წელს მურმანი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი მაშინ 28 წლის ახალგაზრდა კაცი იყო. შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი გამოამჟღავნა, მაშინვე დაატყო ხელი საქმეს. კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. მაშინდელი პრესა მურმანს ქება-დიდებას ასხამდა და აღიარებამაც არ დააყოვნა, შემდგომში არაერთგზის აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის დროს ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. სოფელში და კოლმეურნეობის პლანტაციებში გაიყვანა გზები. სოფლის ცენტრში გააშენეს პარკი, მოეწყო შინმოუსვლელთა სტენდი და ბევრი სხვა რამ, რაც სოფლის და ყოველდღიურობისათვის იყო საჭირო. მურმანს შრომა დაუფასდა — მრავალი ორდენითა და მედლით დააჯილდოვეს. ბოლო წლებში იგი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ახალგაზრდებს მიანდო. აქაც ჩვეული ენერგიით გააგრძელა მუშაობა. იგი სოფლის ნამდვილი თავკაცი იყო. მასთან მიდიოდნენ რჩევისათვის. აგვარებდა საკონფლიქტო სიტუაციებს, ერთი სიტყვით, სოფლის ერთგვარი მომრიგებელ-მოსამართლის როლს ასრულებდა.

მურმანი ჩემი სულიერი მოძღვარიც იყო. იგი ყველგან და ყოველთვის მხარში მედგა, უხაროდა ყოველი ჩემი წარმატება, მახსოვს, როგორ გაიხარა, ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლის დროს საკონკურსო მინიმუმი რომ ჩავაბარე, ტელეგრამით მომილოცა წარმატება. მირჩევდა საკანდიდატო დისერტაციაზე მემუშავა, მაგრამ, შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო მისი ამ სურვილის შესრულება ვერ მოვახერხე.

მურმანი ძალიან გაახარა ჩემს დიპლომატიურ სამუშაოზე განწესებამ, მაგრამ ჩემთან დაშორება ძალიან გაუჭირდა. საზღვარზე თვალცრემლიანმა გამაცილა. უფროსი ძმის რჩევა ყოველთვის მისაღებია. ერთ-ერთ წერილში მწერს: „რევაზ, ჭკუით იყავი, ხომ

იცი, ადამიანს, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობს, ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება მისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. არ შეარცხვინო შენი ქვეყანა და შენი ახლობლები."

მურმანი ოთხი შვილის მამა და მრავალი შვილიშვილის ბაბუაა. იგი ჯერ კიდევ მხნედ უძღვება საოჯახო მეურნეობას. თუ ვინმე სტუმრად მოუვიდა, ორ-სამ ბოთლს კიდევ წააქცევს, ძველებურად ხარობს და ვერც კი იფიქრებ, რომ მან უკვე გადააბიჯა 70 წლის ზღურბლს. ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ მას სტუმრად ეწვევით. იგი ძველებური, ახალგაზრდული სიამაყით და სიხარულით შეგხვდებათ და ვერც კი შეატყობთ წელთა სიმრავლეს.

პირველი ქართული სკოლა სარფში

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის დროს სამხრეთი საქართველო და, კერძოდ, აჭარა, საომარი მოქმედების ასპარეზად იქცა. აჭარის მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

ომისაგან გაჩანაგებულ აჭარის მოსახლეობას დახმარების ხელი გაუწოდა ქართველმა საზოგადოებრიობამ. 1915 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ე. წ. „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება", რომლის განყოფილება ქ. ბათუმშიც შეიქმნა, საზოგადოებას მიზნად ჰქონდა დასახული სამხრეთი საქართველოსათვის და, კერძოდ, აჭარისათვის მატერიალური და კულტურული დახმარების აღმოჩენა. საქველმოქმედო საზოგადოებამ დიდი დახმარება გაუწია აჭარის მოსახლეობას, გაიხსნა რამდენიმე ქართული სკოლა; აღნიშნულ საზოგადოებას, როგორც ირკვევა, 1916 წელს სოფელ სარფშიც გაუხსნია ქართული სკოლა, ეს ფაქტი აჭარის განათლების ისტორიის მკვლევრებისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამ სკოლის ყოფილ მოსწავლეებს – ლ. ჯევაიშს, რ. კაკაბაძეს, ხ. თანდილავას და სხვებს დღესაც კარგად ახსოვთ ამ

სკოლაში ნასწავლი ზოგიერთი ქართული ლექსი. ჩვენ დავადგინეთ, რომ სარფში აღნიშნული პირველი ქართული სკოლის მასწავლებელი ყოფილა გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილის) რაიონის სოფელ ნაგებერაოს მცხოვრები სტეფანე ნაჭყებია.

სარფის ქართული სკოლის 45 წლის იუბილე – მეხვეღრა სკოლის პირველ მასწაელებელთან – პოლიკარპე ხაინდრავასთან (1970 წელი). მარცხნიდან: მუხამედ ეანილიში, ალი თანღილავა, პოლიკარპე ხაინდრავა.

რ. კაკაბაძე გადმოგვცემს: – „დღესაც კარგად მახსოვს, რომ საკლასო ოთახად გამოყენებული იყო ხ. მემიშიშის სახლის ერთი ოთახი. საკლასო ოთახში ეკიდა მეფე ნიკოლოზ II-ის სურათი. როცა 1917 წელს რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა, მასწავლებელმა სტეფანე ნაჭყებიამ მეფის სურათი ძირს დაანარცხა და სთქვა „ძირს ნიკოლოზიო“, და ეს სიტყვები ჩვენ, მოსწავლეებს სამჯერ გაგვამეორებინა“.

აღნიშნული სკოლა მოქმედებდა 1918 წლის დასაწყისამდე. 1918 წლის აპრილში, როცა თურქები კვლავ შემოვიდნენ ბათუ-

მში, ქართული სკოლები გააუქმეს და ისევ აღადგინეს თურქული მედრესეები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც სოფელი შუაზე გაიყო და ერთ ნაწილს საბჭოთა სარფი დაერქვა, ისევ დაისვა ქართული სკოლის გახსნის საკითხი. სოფელმა შეკრიბა 700 მანეთი და დაიწყო სკოლის მშენებლობა. ეს თანხა საკმარისი არ იყო. 1923 წლის მიწურულს სოფლის საბჭოს წევრები მემედ ქორიძე და ალი ნუმანიშვილი ბათუმის რაიაღმასკომში გაგზავნეს დახმარების სათხოვნელად. 1925 წლის ივნისისათვის მზად იყო ოროთახიანი სკოლის შენობა.

ამ სკოლის პირველი მასწავლებელი იყო პოლიკარპე ხაინდრავა.

45 წლის შემდეგ, 1970 წელს, მადლიერმა სოფელმა მას შეხვედრა მოუწყო და დამსახურებული პედაგოგი სოფლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

26 აგვისტო, 1971 წელი.

ნაშრომი ეროვნული სკოლის პრობლემებზე

სააქციო საზოგადოება „გამომცემლობა აჭარამ“ ამ რამდენიმე წლის წინ დაბეჭდა ბატონ ვახტანგ წულუკიძის შესანიშნავი წიგნი „ეროვნული სკოლის მშენებლობის გზაზე“. ავტორი წერს, რომ ნაშრომი „წარმოადგენს განათლების დარგში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ნაფიქრალსა და ნააზრევს, მისეულ შეხედულებებსა და სურვილებს ქართული ეროვნული სკოლის მშენებლობისათვის“. ვ. წულუკიძე 33 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა განათლების დარგში, მათგან 25 წელი იმუშავა განათლების მინისტრად აჭარაში, აქვს ცხოვრების სხვადასხვა დარგში პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება.

წიგნი, წინასიტყვაობის გარდა, მოიცავს შესავალს და შემდეგ ქვეთავებს: ზნეობა და თავისუფლება; აღზრდა და გარემო; სკოლას დამხმარე სჭირდება და არა ზედამხედველი; აღზრდის ხალხური საწყისები და მასწავლებელი; ხელმძღვანელი და კონტროლი.

წიგნის შესავალში ავტორი მიმოიხილავს მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ნააზრევს განათლების საკითხებზე, მოიხსენიებს მე-19 საუკუნის ბუმბერაზ მოღვაწეებს – ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, დ. ყიფიანს, ვ. ფშაველას, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ნ. ცხვედაძეს, ლ. ბოცვაძეს და სხვა მამულიშვილებს, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოში სახალხო სკოლების გახსნის საქმეს, სადაც სწავლება წარიმართებოდა მშობლიურ ენაზე, ხოლო სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ცხოვრებისეული და ცივილიზებული პრინციპებით იქნებოდა შედგენილი.

შემდეგ ავტორი წერს, რომ ქართული სკოლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელიც ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანისა და იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით დაარსდა

1879 წელს, და რომელსაც არაოფიციალურად საქართველოს განათლების სამინისტროს უწოდებდნენ. ავტორი მიუთითებს იმაზეც, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სათავეში ედგნენ დ. ყიფიანი (1879-1887 წლები), ილია ჭავჭავაძე (1887-1907 წლები), გ. ყაზბეგი (1907-1921 წლები) და ბოლოს ა. ჭყონია (1921-1927 წლები). 48 წლის განმავლობაში აღნიშნულმა საზოგადოებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის აღორძინებისათვის.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ დადებით როლზე, რომელიც აღნიშნულმა საზოგადოებამ შეასრულა აჭარის მშრომელთა უცოდინრობის სიბნელიდან გამოყვანაში — როგორც ცნობილია, საზოგადოებამ 1881 წლის 23 მარტს ბათუმში დააარსა პირველი ქართული სკოლა.

ბათუმის პირველ ქართულ სკოლას მხარში ედგნენ პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივი მკვიდრნი: იბრაიმ-ბეგ აბაშიძე, შაინ ბოლქვაძე, ხუსეინ აღაზადე და სხვები.

შემდეგ ავტორი, როგორც განათლების სისტემის დიდი მცოდნე, რჩევას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეროვნული სკოლის მშენებლობა.

მისი აზრით, ამ საქმეს სამი ძირითადი პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად: ეროვნულობა, დემოკრატიულობა და ჰუმანიზმი, ამასთან უნდა შეიქმნას განათლების მრავალვარიანტული სისტემა.

შემდეგ ავტორი ეხება ფასიანი სასწავლებლების მომრავლების საკითხს საქართველოში, აკრიტიკებს მის ნაკლოვან მხარეებს და მართებულად ასკვნის, რომ ნაკლოვანებების თავიდან აცილებისათვის ფასიანი სასწავლებლების ფუნქციონირების ნება განათლების მინისტრმა კი არა, საქართველოს მინისტრთა საბჭომ უნდა მისცესო.

დღევანდელ საქართველოში მხოლოდ ერთადერთი სახის დიქტატურაა დასაშვები — კანონის დიქტატურა, რადგან ადამიანი მაშინ არის თავისუფალი, როცა მას კანონი იცავს. სკოლის მოვ-

ალეობა კი იმაში მდგომარეობს, რომ აღზარდოს ადამიანი, რომ-ლისთვისაც უმთავრესი იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო მოღვაწეობა, წესისა და კანონის პატივისცემა.

შემდეგ ბატონი ვახტანგი მოზარდის აღზრდის საქმეში რელ-იგიის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, „სწავლებაში რელიგიის ისტორიის უგულებელყოფამ და სარწ-მუნოების წინააღმდეგ ლაშქრობამ განვლილ ათწლეულში დიდი ზიანი მიაყენა ადამიანის ზნეობრივ ჩამოყალიბებას".

თავს უფლებას მივცემ, ამ საკითხზე ჩემი აზრი გამოვთქვა: ავტორს აბსოლუტურად ვეთანხმები იმაში, რომ რელიგიის სწავ-ლება სკოლაში აუცილებელია, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, სრულიად საქართველოს ყველა ეროვნების სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელ ბავშვებს შეესწავლათ მსოფლიოს ყველა რელიგიის ისტორია: ქრისტიანული, ებრაული, მუსლიმანური, ბუდისტური და ა. შ.

ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია, სკოლაში ბავშვმა 6 წლის ასაკში დაიწყოს სწავლა. სწავლების პირველ საფეხურს უნდა მოიცავდეს 9 კლასი. ხოლო 9 წლის სავალდებულო განათლების მიღების შემდეგ მოზარდმა სწავლა უნდა განაგრძოს დიფერე-ცირებული ან პროფილური სწავლების კლასებში.

ავტორი სამართლიანად წერს, რომ სასწავლო წელი ყველგან 1 სექტემბრიდან უნდა დაიწყოს და არა სხვადასხვა დროს, როგ-ორც ახლა ხდება.

აღნიშნულ თავში ავტორი 23 მნიშვნელოვან ამოცანას უსახავს ქართულ სკოლას, რომელსაც განათლების დარგით დაინტერე-სებული პირები გვერდს ვერ აუვლიან.

ავტორი აჭარის სოფლების ზოგადქართულ ტრადიციებზე წერს, რომელთაც ისეთივე ადგილი უჭირავთ ჩვენი ერის აღზრ-დის სამსახურში, როგორც სრულიად საქართველოს სხვა კუ-თხეებს.

აჭარაში ზოგადქართულ ტრადიციებს ავტორი რიგით ჩამოთ-ვლის და იგი შეიცავს 46 პუნქტს, რომელიც უნიკალურ მასალ-

ას შეიცავს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიით დაინტერესებული მეცნიერებისთვის.

შემდეგ ავტორი წერს, რომ სწავლა-აღზრდის ნორმალური წარმართვა ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა მოწესრიგებული სასწავლო პროცესი სკოლაში. ამ მხრივ კონტროლს დიდი ავტორიტეტის მქონე სკოლის დირექტორი უნდა ახორციელებდეს, ამიტომ თვითონ დირექტორი უნდა ხასიათდებოდეს საქმის ცოდნით და პედაგოგიური კულტურით.

ბატონი ვახტანგი კარგად აშუქებს ეროვნული სკოლის მშენებლობის პრობლემებს, მაგრამ არაფერს ამბობს საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსწავლეების სწავლა-აღზრდის შესახებ, ამიტომ შევეცდები ჩემი მოკრძალებული აზრი გამოვთქვა აღნიშნულ საკითხზე.

ჩემი აზრით, საქართველოში მცხოვრებმა სხვა ეროვნების ხალხებმა სწავლა ეროვნულ ენაზე უნდა მოაწყონ, მაგრამ მათ სავალდებულოდ უნდა გავუხადოთ ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება. არაქართველ ბავშვს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი არ უნდა მიეცეს, თუ მან სრულყოფილად არ იცის ქართული ენა, სხვანაირად ჩვენ ვერ აღვზრდით სრულიად საქართველოს პატრიოტ მოქალაქედ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს.

19 თებერვალი, 1998 წელი.

1993 წლის ნოემბრიდან თურქეთის ქალაქ სტამბოლში ლაზურ-თურქულ ენებზე გამოდის ჟურნალი „ოგნი“ („ისმინე“). ჟურნალს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ლაზი ინტელიგენტი ბარიშ ბეშლი. ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლიდან სულ მალე ხელისუფლების ორგანოებმა დახურეს. სტამბოლის სასამართლომ „ოგნის“ ბრალად დასდო თურქეთის სახელმწიფოს ერთიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, ლაზური სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა, მაგრამ, საბედნიეროდ, სასამართლომ „ოგნის“ ვერ დაუმტკიცა ამ ბრალდების სისწორე. სასამართლოზე „ოგნის“ გამომცემელმა ბ. ბეშლიმ აღნიშნა: „ჩვენ მხოლოდ ერთ მიზნად ვისახავთ ლაზები გავარკვიოთ თავიანთ ვინაობაში, წარმოვაჩინოთ ლაზური კულტურა და გაიგოს ყველამ, რომ ლაზებს თურქეთის ეთნომოზაიკაში თავიანთი ადგილი უკავიათ“.

თურქეთში „ოგნის“ დაბადებას ლაზური საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეხვდა, რასაც მოწმობს ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი მრავალი მოსალოცი და მოწონების წერილი, რომლებიც თურქეთის სხვადასხვა კუთხიდან გაუგზავნეს ლაზებმა „ოგნის“ რედაქტორს ბ. ბეშლის.

თურქეთში ასეთი სახის ჟურნალი პირველად გამოდის, მაგრამ მას ჰყავს თავისი წინამორბედი – მცირე მოცულობის ჟურნალი „ფარფალი“ (პეპელა), რომელიც გერმანიაში იბეჭდება.

ცნობილია, რომ თურქეთში მცხოვრები ხალხები ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, თურქებად ითვლებიან და არა თურქეთის მოქალაქეებად. ამიტომ თურქეთში მცხოვრებ მრავალ სხვადასხვა ეროვნების ხალხს მხოლოდ პირობითად უწოდებენ ქურთებს, ქართველებს და ა.“შ. ლაზებს კი როგორც წესი, ქარადენიზლებს, ანუ შავიზღვისპირელებს უწოდებენ და ესეც შემთხვევით არ არის, ვინაიდან საწინააღმდეგო შემთხვევაში ლაზების აღიარებას მოასწავებდა, მაგრამ მისი არსებობის ფაქტიც სავსებით ვერ

უარყვეს და ლაზური ქვეყანა (ხალხი) შეცვალეს „შავიზღვისპირელის“ ანუ გეოგრაფიული სახელწოდებით.

თურქეთში სინოპიდან დაწყებული სოფელ სარფამდე მცხოვრებ ხალხს, როგორც წესი, ქარადენიზლს უწოდებენ. ოგნელები კი უფრო შორს მიდიან და დღევანდელ სამეგრელოსაც ლაზურ არეალში აქცევენ.

თურქული პრესა ხშირ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტიის ლიდერს, თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს მურათ კარაიალჩინს, დედასამშობლოს პარტიის (აეაფ) ლიდერს მესჰუთ ილმაზსაც და ამ მხარის სხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწებს ქარადენიზლის ტერმინით მოიხსენიებენ.

ერთ-ერთ ოფიციალურ ღონისძიებაზე ისე მოხდა, რომ მესჰუთ ილმაზსა და კარაიალჩინს გვერდიგვერდ მოუწიათ ჯდომა. თურქულმა პრესამ აიტაცა ეს ფაქტი, ერთად მსხდომ, თბილად მობაასე შავიზღვისპირელებს (ლაზებს) სურათები გადაულეს და დაბეჭდეს გაზეთებში წარწერით: „ქარადენიზლელებმა, მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა, მაინც გამონახეს საერთო ენა და მეგობრულად საუბრობენ“.

ლაზებს თურქეთში კარგად იცნობენ და ანგარიშსაც უწევენ. ამას წინათ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ქალბატონმა თანსუ ჩილერმა ლაზები ისეთ ხალხებს შორის მოიხსენია, რომლებსაც თავიანთ დედაენაზე სკოლების გახსნის უფლებაც უნდა მიეცეს და საშუალებაც თავიანთ ენაზე იქონიონ გაზეთი და რადიო-ტელევიზია.

„ოგნისადმი“ მიწერილ წერილში ლაზი მოსწავლეები ანკარიდან წერენ: „ჩვენ იმიტომაც გვიხარია „ოგნის“ გამოსვლა, რომ იგი გვაცნობს ჩვენს ნამდვილ ისტორიას, ჩვენს ვინაობას. სამწუხაროდ, დღემდე ზოგიერთები ლაზებს უმეცრებად მიიჩნევენ. ითხზებოდა ჩვენი დამამცირებელი ანეკდოტები, იგონებდნენ ტყუილებს ჩვენი სინამდვილის შესახებ, „ოგნი“ კი საფუძველს უყრის ჩვენს აღორძინებას“.

თურქეთში მცხოვრები ლაზების რაოდენობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური ცნობები არ არსებობს, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქეთში მცხოვრები ხალხები, მათ შორის ლაზებიც, თურქებად არიან მიჩნეული.

ჯერ კიდევ ათათურქი ამბობდა, რომ „თურქეთში ზოგიერთების აზრით, ცხოვრობენ ლაზები, ქურთები, ჩერქეზები, ეს ჩვენი მტრების მოგონილია, თურქეთში მხოლოდ თურქები ცხოვრობენ. თურქეთში თურქების გარდა არავინ ცხოვრობსო". კიდევ მეტი, თურქეთში მცხოვრებ ყველა ეროვნების ხალხს უნდა ეამაყა იმით, რომ ის თურქად იწოდება: „ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია თქვას, თურქი ვარ". ათათურქის ეს სიტყვები ბოლო დრომდე თურქეთში ყველა კედელზე იყო გაკრული, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის შედეგად ზოგიერთმა თურქულმა გაზეთმა ათათურქის აღნიშნული სიტყვები შოვინიზმად მონათლა.

არაოფიციალური ცნობით, თურქეთში დაახლოებით 1,5 მილიონი ლაზი ცხოვრობს, მათ შორის მხოლოდ 300-400 ათასი ლაზი მეტყველებს დედაენაზე. სარფიდან დაწყებული მთავრამდე (დღევანდელი ჩაილი) კომპაქტურად დასახლებულ ლაზთაგან თითქმის ყველამ იცის ლაზური, მაგრამ რიზეს დასავლეთით ქ. სინოპამდე მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ლაზების უმრავლესობამ ლაზური არ იცის და თუმცა თავიანთი წარმომავლობა კარგად ახსოვთ, მაინც, ვინაიდან ლაზური არ იციან, ზოგჯერ თურქი ვარო, გვეტყვიან. სამწუხაროდ, ენის მცოდნე ლაზები თვითონვე დასცინიან იმ ლაზებს, ვინც ლაზური არ იცის და ამით უფრო ზრდიან დისტანციას ლაზურის მცოდნე ლაზებსა და ენის უცოდინარ ლაზებს შორის.

„ოგნი" ლაზური თვითშეგნების ამაღლების საქმეში გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ამას ზოგჯერ არაპირდაპირი გზით, მინიშნებით აკეთებს. აქვეყნებს ძველი და ახალი ტოპონიმების სახელწოდებებს. მაგალითად, „ათინის (დღევანდელი ფაზარი) ისტორიის" ავტორს ჩამოთვლილი აქვს ათინის რაიონის ძველი და

ახალი ტოპონიმები. იგი წერს, რომ ფაზარის ძველი ლაზური სახელწოდება ათინაა, აქბუჯაგისა – მარმინათი, მექითისა – ჯარ-ჯვათი, ორთაოღლუს ლაზური სახელწოდება მელესკური იყო, მერდივანისა – მელიათი, სესოზდერეს – პაპალათი, სუბაშისა – ჯუბათი, ედერონსუისი – ანათი, დაგიდიბისა – სულეთი და ა. შ. ფაქტობრივად დასახელებული რაიონის ყველა სოფლის ძველი სახელწოდება ლაზურია.

საერთოდ, თურქებმა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (სარფი, ტრაპიზონი, ხოფა, რიზე), ყველა ლაზური ტოპონიმი შეცვალეს თურქულით. მაკრიალს ქემალფაშა დაარქვეს, ვიწეს - ფინდიქლი, მაფავრას – ჩაილი, ათინას – ფაზარი და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ „ოგნის“ თანამშრომლებმა და საერთოდ თურქეთში მცხოვრებმა ლაზებმა ძალიან კარგად იციან მეგრელებთან მათი ნათესავური კავშირის არსებობის შესახებ. ამ-აში დარწმუნდებით „ოგნის“ რომელიმე ნომრის უბრალო გადათ-ვალიერებითაც კი. აი, მაგალითად, მე-3 ნომერში დაბეჭდილი მასალების სახელწოდებები: „კოლხეთი – „ლაზიკა“, ბიზანტია-ირანის ომები და ლაზები“, „ახალი არგონავტები და კოლხები“. მე-5 ნომერში – „ეგრისი“ – ლაზიკის სამეფოს ისტორია“ და ა. შ. კიდევ მეტი, ოგნელები მეგრელებს ყველგან მეგრელ-ლაზე-ბის სახელწოდებით მოიხსენიებენ, მაგრამ ჟურნალ „ოგნის“ თა-ნამშრომლები ჭეშმარიტებას ბოლომდე ვერ იცავენ და მეგრ-ელებსა და ლაზებს არაქართულ მოსახლეობად მიიჩნევენ.

ჟურნალი „ოგნი“ ეხება ლაზებისა და ჭანების ურთიერთობის საკითხსაც. ჟურნალის მე-5 ნომერში დაბეჭდილია ლაზი ავტორ-ის მურათ იოზილდირიმის წერილი, რომელიც ეხება ლაზებისა და ჭანების ვინაობის გარკვევას და ჩემი აზრით, სწორად აკრიტიკებს იმ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ლაზებსა და ჭანებს ერთმ-ანეთში ურევენ. ავტორის აზრით, ლაზებს ჭანებად ვერ მივიჩნევთ ისე, როგორც ვთქვათ გურულს – იმერლად, ქართლელს – კახელ-ად, მესხს – რაჭველად და ა. შ. თუმცა ყველანი ქართველები არი-

ან. ასევე კოლხები, ლაზები, მეგრელები და ჭანები ყველანი დასავლეთქართული ტომები არიან, მაგრამ მათ შორის გარკვეული სხვაობაც არსებობს.

ანალოგიური აზრისაა აგრეთვე აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილიც, რომელიც კოლხებს, მეგრელებს, ლაზებსა და ჭანებს დასავლურქართულ – ლაზურ ტომებად მიიჩნევს.

ავტორი მეცნიერულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, სწორად ახდენს ლაზებისა და ჭანების ლოკალიზაციას. ლაზები შავი ზღვის ჩრდილოეთიდან სამხრეთით რიზემდე (რიზეს ვილაიეთამდე) არსებულ ტერიტორიაზე სახლობენ, ხოლო ჭანები – რიზეს ვილაიეთის დასავლეთით ქ. სინოპამდე. აღსანიშნავია, რომ თურქეთის ოფიციალური სახელწოდებაც ამ მხარისა ლაზისტანი იყო, ხოლო დასავლეთი მხარე კი ცნობილი იყო ჯანიქის სახელწოდებით. დღევანდელი თურქეთის რუკებზე ახლაც იმ მხარის მთები ჯანიქის მთების სახელწოდებითაა ფიქსირებული. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ზოგჯერ ლაზისტანის მხარე ტრაპიზონის ვილაიეთსაც მოიცავდა, რაც დადასტურებულია თურქეთის ოფიციალურ დოკუმენტებშიც. ახლა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხარეში მცხოვრებ ხალხს, დაწყებული სარფიდან ქ. სინოპამდე, ქარადენიზლებს უწოდებენ. აქაური ფოლკლორი, მუსიკა და ცეკვებიც თავისებურებით გამოირჩევა თურქეთის სხვა მხარის ფოლკლორისაგან. თურქი ყოველთვის გულისხმობს ლაზს (და არა ჭანს).

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დღევანდელ თურქეთში მცხოვრებმა ლაზებმა თითქმის არაფერი იციან ჭანების ვინაობის შესახებ. ამიტომ, როცა ამ მხარეზე რამეს ვწერთ, უნდა ვწეროთ ლაზებზე და არა ჭანებზე, როგორც ამას დაჟინებით აკეთებს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ან ჟურნალისტი, ე. ი. იმ მხარის მცხოვრები ხალხი უნდა მოვიხსენიოთ ლაზებად და არა ჭანებად.

მკვლევრები საკმაოდ ბევრს წერენ ლაზთა და მეგრელთა ნათესაური დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ქართულ მეცნიერულ

ლიტერატურაში მეგრულსა და ლაზურს ზოგჯერ განსხვავებულ სამეტყველო ენებად მიიჩნევენ, რაც არ არის სწორი.

ისე როგორც მეგრულში, ლაზურშიც სხვადასხვა კილოკავია, რომელთა შორის იმდენი განსხვავებაა, რომ მაგალითად, ხოფურ კილოკავზე მოლაპარაკე ლაზმა შეიძლება არქაბულზე ან ვიწურზე მოლაპარაკე ლაზის ზოგიერთი სიტყვა ვერც კი გაიგოს. აი, სწორედ ასეთი სხვაობა არსებობს მეგრულსა და ლაზურს შორისაც (მით უმეტეს დრომ და სივრცემ ძალიან დააშორა ისინი ერთმანეთს). ამიტომ ისინი ორ ენად კი არა, არამედ ერთი - ქართული ენის სხვადასხვა დიალექტად უნდა მივიჩნიოთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „ოგნელებს" ამ საკითხზე თავიანთი აზრი გააჩნიათ: ისინი ლაზურსა და მეგრულს ერთ ენად თვლიან, მაგრამ არა ქართულის დიალექტად. ისინი ლაზ-მეგრელებს ქართველებისაგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ ხალხად თვლიან და ბუნებრივია, ენასაც დამოუკიდებელ ენად მიიჩნევენ. ლაზური და მეგრული რომ ქართველური ენაა, ამაში დავრწმუნდებით, თუ შევადგენთ ქართულ-ლაზურ-მეგრულ ლექსიკონს. მაგრამ იგი მხოლოდ ქართულ ენაზე კი არ უნდა გამოვცეთ, არამედ თურქულ ენაზეც, ვინაიდან ლაზებმა, სამწუხაროდ, არც ქართული წერა-კითხვა იციან და არც ქართული ენა, მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზების დიდმა ნაწილმა ლაზურიც კი არ იცის. ამ მიმართებით ერთგვარი ნაბიჯი გადადგა ქალბატონმა ნათელა ქუთელიამ „პიამითების" გამოქვეყნებით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

როცა წაიკითხავენ ლაზები ქართულ-ლაზურ ლექსიკონს, ისინი თავად დარწმუნდებიან თავიანთ ქართველობაში. ლაზურში უამრავი სიტყვაა, რომელიც უშუალოდ ქართულს ემთხვევა: ცხენი, ხორცი, თხა, გზა, ცა, კუჭი, ყურძენი, კურკა, კაკალი, ქინძი, კეტი და სხვა უამრავი. რაც შეეხება მსგავს სიტყვებს, ისინი უამრავია. მაგალითად: ქოთუმე – ქათამი, კატუ – კატა, თომა – თმა, ლული – ლეღვი, მსხული – მსხალი, ანტამა – ატამი, კიზი

— კოვზი, ნენა — ენა, გური — გული, ყონა — ყანა, ნდღა — დღე, ქრა — რქა, ხუთ — ხუთი, სუმ — სამი და სხვა მრავალი.

აქაური ლაზის ქართველობაში დარწმუნება ჭირს იმიტომაც, რომ თავისუფლად არ ესმის ქართული ენა.

ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე „ოგნის" დიდ ცოდვად უთვლის ლაზურში ლათინური შრიფტის გამოყენებას, მაგრამ ჩემი აზრით, ამას აქვს ერთგვარი გამართლება: ამ ეტაპზე სწორედ თურქული შრიფტი უნდა იქნას გამოყენებული, ვინაიდან დღეს თურქეთში მცხოვრებმა ლაზმა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ქართული წერა-კითხვა არ იცის, ამიტომ „ოგნის" პოზიცია ამ გაგებით სწორად უნდა იქნას მიჩნეული. „ოგნი" ლათინური შრიფტით არა მარტო ლაზურად წერს, არამედ თურქულადაც, რომ იმ ლაზებმაც წაიკითხონ, რომლებმაც არ იციან ლაზური. ზოგიერთი მნიშვნელოვანი წერილი დაბეჭდილია ლაზურად, მერე კი მისი თარგმანიც არის მოცემული.

ჟურნალი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ლაზური ფოლკლორული მასალების ბეჭდვას, აცნობს მკითხველს ლაზურ ადათ-წესებს და ამით სურს აჩვენოს მკითხველს, რომ ლაზები თურქები არ არიან, ქვეყნდება ლაზური ლექსები და მოთხრობები, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ლაზურ გრამატიკულ ფორმებს. სასურველია ლაზური დაიწმინდოს მოჭარბებული თურქული სიტყვებისაგან და მის ნაცვლად მოიძებნოს ლაზურში არსებული შესატყვისი სიტყვები.

მაქვს ზოგიერთი უფრო სერიოზული შენიშვნაც, ჩვენი აზრით, „ოგნელები" ერთობ გატაცებული არიან დღევანდელი დასავლეთი საქართველოს წარსულითა და აწმყოთი: უფრო მეტიც, მათ საკუთარ საზრუნავად მიუჩნევიათ საერთო კავკასიური პრობლემებიც და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თურქეთის ლაზების ისტორიას, მათ ვინაობას. ნუთუ არ იციან „ოგნელებმა", რომ დღესაც ზოგიერთ ლაზს ლაზები შუა აზიიდან მოსულ 24 თურქულ ტომს შორის ერთ-ერთ ტომად მიაჩნია? გასარკვევია თურქეთის

ლაზების ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, თუნდაც, მაგალითად, პონტოელი ლაზების ვინაობა.

ცნობილია, რომ პონტოს ლაზები თურქების მიერ დაპყრობის შემდეგ ბერძნულ ეკლესიაში გაერთიანდნენ, მუსლიმანობა არ მიიღეს და ისევ ქრისტიანებად დარჩნენ. ამის გამო ისინი ბერძნებად მონათლეს და შემდეგში საბერძნეთში გაასახლეს კიდეც. პონტოელმა ლაზებმა, როგორც გადმოცემით ვიცით, თუმცა დაკარგეს ლაზური ენა, მაგრამ შეინარჩუნეს ლაზური ადათ-წესები, ფოლკლორი, რასაც თვით ბერძნებიც არ უარყოფენ. ისტორიაში ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება თვით საქართველოშიც კი. მაგალითად, კათოლიკური რწმენის ქართველები დიდხანს ფრანგებად იყვნენ მონათლული, ხოლო. . სამხრეთი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები, რომლებიც სომხურ ეკლესიაში გაერთიანდნენ, სომხებად აღიარეს, აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა ბევრ საინტერესო მასალას გამოავლენდა და შუქს მოჰფენდა ლაზების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს.

„ოგნის" მესვეურებს ბევრი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი იმ ლაზებთანაც, რომლებმაც დაკარგეს დედაენა და ამის გამო ზოგ შემთხვევაში თურქად აღიარებენ თავს. როგორც თვითონ ამბობენ, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ლაზური ენის მცოდნე ლაზები ლაზებად არ მიიჩნევენ ლაზურის არმცოდნეებს.

საინტერესოა ლაზური სახელებისა და გვარების დადგენის საკითხიც, ახლა თურქეთში არც ერთი ლაზი ლაზურ სახელსა და გვარს არ ატარებს. ლაზური სახელი და გვარი თითქმის არ შემორჩა. იქნებ ლაზური გვარი „შით" მთავრდება ან „სქირით" (შვილი) როგორც, მაგალითად, ხალვაში, ჯაში, პაპასქირი და ა. შ.

ასე რომ, „ოგნელებს" ბევრი კონკრეტული სამუშაო აქვთ ჩასატარებელი, თუმცა ისინი მთელი კავკასიის საკითხებით იტვირთავენ თავს. ოგნელებს რატომღაც თავის თავზე აუღიათ მთელი კავკასიის ხალხების პატრონობა და „კავკასიის ხალხისადმი სო-

ლიდარობის კომიტეტიც“ კი დაუარსებიათ. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „კაცს მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს ფიცულობდაო“, ისე მოსდით ჩვენი პატივცემული ჟურნალის თანამშრომლებს. კიდეე მეტი, რატომღაც „ოგნელები“ თავიანთ ძმებად თვლიან აფხაზებს, ჩეჩნებს, ჩერქეზებს, ოსებს და კავკასიის სხვა ხალხებს, მაგრამ ქართველებს კი არა. რას უნდა მივაწეროთ ეს? უნებლიეთ თუ შეგნებულად დაშვებულ შეცდომას? საკითხავია, ვის წისქვილზე ასხამენ „ოგნელები“ წყალს და რატომ?

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ დღემდე გამოვიდა „ოგნის“ მხოლოდ 6 ნომერი, მაგრამ მე ოთხის გაცნობა მოვახერხე. №1 და №4 ნომრები ხელთ არა მაქვს. ოთხი ნომრის გაცნობით მიღებული შთაბეჭდილება შეევეცადე ქართველი მკითხველისათვის გამეზიარებინა, მაგრამ ძალიან დიდი სურვილი მაქვს მას გასცნობოდნენ აგრეთვე „ოგნის“ თანამშრომლებიც. ძნელი სათქმელია, პატივცემული ჩვენი „ოგნელი“ ძმები ჩვენს შენიშვნებს გაიზიარებენ თუ არა.

28 იანვარი, 1995 წელი.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ახალი ეტაპის შესახებ

მიმდინარე წელს გამომცემლობა „სამშობლომ“ თბილისში დაბეჭდა აღმოსავლეთმცოდნის, თურქოლოგის, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის ელჩის, პროფესორ ნოდარ კომახიძის წიგნი „მეზობელო კარისაო. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპი“.

ნაშრომი შედგება შესავლისა და 6 თავისაგან. განხილულია შემდეგი საკითხები: ჭოროხის გაღმა ქვეყანა, შავი ზღვის დიდი სიკეთე, განათლება, მეცნიერება, კულტურა. ქართული დიასპორა თურქეთში საიმედო ხიდადაა მიჩნეული ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის.

შევეცდებით ამ სასარგებლო ნაშრომის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შევუქმნათ მკითხველს.

პროფესორი ნოდარ კომახიძე წიგნის შესავალში აღნიშნავს: „ჩვენი ქვეყნის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მყარი და მრავალმხრივი კონტაქტები დავამყაროთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს კავშირ-ურთიერთობას მეზობელ თურქეთთან, რომელმაც კარგა ხანია აირჩია ევროპული განვითარების გზა და თვალსაჩინო შედეგებსაც მიაღწია“.

შემდეგ ბატონი ნოდარი ხაზს უსვამს მეზობლებთან ურთიერთობის მნიშვნელობას და მოყავს თურქული ანდაზა, რომლის ქართული შესატყვისი ასეთია: „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“, რაც ავტორმა წიგნის სახელწოდებადაც გამოიყენა.

თურქეთი ზღვითაც და ხმელეთითაც საქართველოს უშუალო მეზობელია. ამ ორ ქვეყანას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ერთმანეთისათვის. არა მხოლოდ ჩვენ გვჭირდება თურქეთი, არამედ ჩვენც არანაკლებ ვჭირდებით ამ ქვეყანას. თურქეთზე გადის

ერთი იმ გზათაგანი, რომელიც საქართველოს აკავშირებს ევროპასთან, ხოლო საქართველოზე გამავალი გზა თურქეთს რუსეთთან, ჩრდილოეთ კავკასიასთან და ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს.

საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თანასწორობისა და პარტნიორობის საფუძველზე ნორმალურ დიპლომატიურ და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას თურქეთთან. საქართველოსა და თურქეთს შორის ყალიბდება ახალი კავშირები, რომლებიც სწრაფად და დინამიკურად ვითარდება თანამედროვე ეტაპზე. „მეზობელო კარისაო" სწორედ თურქეთ-საქართველოს შორის დაწყებული ახალი თანამედროვე ეტაპის ანალიზსა და პირველი შედეგების შეფასებას ეძღვნება.

თავში „ჭოროხის გაღმა ქვეყანა" ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიას. „საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობას დიდი ხნის, ზოგჯერ დრამატიზმით აღსავსე ისტორია აქვს, რომელიც, უნდა ითქვას, ყოველთვის როდი ითვალისწინებს ორმხრივ ინტერესს. იყო წინააღმდეგობები, რომელთა გადასაჭრელად სამხედრო ძალასაც მიმართავდნენ. ოსმალეთის იმპერია ყოველთვის ცდილობდა სამუდამოდ დამკვიდრებულიყო მის მიერ ოკუპირებულ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, არც აღმოსავლეთ საქართველოს აკლებდნენ აწიოკებას.

...1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებამ განსაზღვრა რუსეთისა და თურქეთის ახალი საზღვარი, რომლის ძალითაც ყარსის, ართვინისა და ბათუმის ოლქები გადაეცა რუსეთის იმპერიას და ამით ნაწილი თავისი ისტორიული მიწებისა შეუერთდა საქართველოს, ხოლო ქართველებით დასახლებული სხვა ტერიტორიები დარჩა ოსმალთა შემადგენლობაში.

ჩვენს დღევანდელ ურთიერთობებს მეტად საინტერესო დასაწყისი აქვს, რაც ახალი თურქეთის დამაარსებლის — გენერალ ათათურქის სახელთან არის დაკავშირებული. მისი პირადი ინიცი-

ატივით ანკარის ხელისუფლებამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

70 წლის შემდეგ ისევ აღდგა მეგობრული ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებს შორის.

ასეთი მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ ბატონი ნ. კომახიძე მოკლედ ახასიათებს თანამედროვე თურქეთს, რომლის ტერიტორია 779,4 ათას კვ. კმ ფართობს მოიცავს. ამჟამად, თურქეთის მოსახლეობა 56,5 მილიონია (ახლახან გამოქვეყნებული ცნობით, 60 მილიონს აღემატება). მათი აბსოლუტური უმრავლესობა თურქებია. თურქეთის გარდა, აქ ცხოვრობენ ქურთები (12 მილიონი), ქართველები (ლაზებითურთ), არაბები, ჩერქეზები, რომელთა შორის აფხაზებიც თვლიან თავიანთ თავს.

ავტორი თურქეთში გამოსულ წიგნზე – „ეთნიკური ჯგუფები თურქეთში" დაყრდნობით მკითხველს აწვდის საინტერესო ცნობებს თურქეთში მცხოვრებ ერებსა და ეროვნებებზე: ამ ქვეყანაში ცხოვრობს დაახლოებით 40 ერი და ეროვნება, ამიტომ იყო, თურქეთის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს ნოდარ კომახიძესთან საუბარში განუცხადებია: „თურქეთი ხალხთა მოზაიკაა".

თურქეთის დედაქალაქია ანკარა, სახელმწიფო ენა – თურქული, რელიგია – სუნიტური მიმართულების ისლამი.

ქვეყანაში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს – მეჯლისს, რომელიც 7 წლის ვადით ირჩევს პრეზიდენტს. მეჯლისი ერთ-ერთი პალატთაგანია. მას 5 წლით ირჩევენ. ამჟამად, პარლამენტში 450 დეპუტატია, აქედან – 11 ქართული წარმოშობისა. აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებენ პრეზიდენტი და მთავრობა – მინისტრთა საბჭო. თურქეთის ისტორიაში პირველად ქვეყნის პრემიერ-მინისტრად დანიშნულია ქალი – თანსუ ჩილერი. იგი ამავე დროს არის ჭეშმარიტი გზის პარტიის გენერალური თავმჯდომარე.

ძირითადი პოლიტიკური პარტიებია: ჭეშმარიტი გზის პარტია, დედასამშობლოს პარტია, სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია, ეროვნული შრომის პარტია, კეთილდღეობის პარტია, სახ-

ალხო რესპუბლიკური პარტია და დემოკრატიულ-მემარცხენე პარტია (ქვეყანაში პარტიათა რიცხვი ამჟამად უფრო მეტია. — ავტ.).

თურქეთი იყოფა 76 ვილაიეთად, რომელსაც ანკარიდან დანიშნული ვალი განაგებს.

თურქეთი ნატოს ბლოკში აქტიურ როლს ასრულებს. მისი შეიარაღებული ძალები რიცხობრივად მეორე ადგილზეა აშშ-ის შემდეგ. თურქეთი ძალიან დიდ სამხედრო დახმარებას იღებს ამერიკისა და გერმანიისაგან.

თურქულ პოლიტიკურ წრეში და საზოგადოებაში სულ უფრო პოპულარული ხდება ქვეყნის რეგიონულ ზესახელმწიფოდ გადაქცევის იდეა. ანკარა აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწევა. მან ერთ-ერთმა პირველმა გახსნა საელჩოები ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში, რომლებიც დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ. თურქეთის უშუალო დაინტერესებით და ინიციატივით შეიქმნა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და მისი საპარლამენტო ასამბლეა. თურქეთში მარტო შუა აზიიდან დღეს 10.000 სტუდენტი სწავლობს. თურქეთის რესპუბლიკამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეკონომიკის განვითარებისათვის 1 მილიარდზე მეტი დოლარი გამოუყო. ანკარის პოლიტიკოსთა გავლენა და ავტორიტეტი საკმაოდ მაღალია მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი პროდასავლურ პოლიტიკას ატარებს, ეს მას ხელს არ უშლის ისლამური სამყაროს დამცველის როლში მოგვევლინოს. იგი ცდილობს „დიდი თურქული გაერთიანების შექმნას ადრიატიკიდან ჩინეთამდე", რასაც საფუძვლად დაედო თურქულენოვან და ისლამური რელიგიის აღმსარებელ ხალხთა დაახლოება და მათი შეკავშირების ამოცანა.

მაგრამ თურქეთს აწუხებს საშინაო პრობლემებიც. თურქეთში დღეს ძალზე სერიოზულად დგას მშვიდობის საკითხი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სადაც ქურთისტანის პრომარქსისტული მუშათა პარტიის შეიარაღებული რაზმები 1984 წლიდან ნამდვილ ომს აწარმოებენ თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების წინა-

აღმდეგ, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება. დღის წესრიგიდან არ იხსნება აგრეთვე კვიპროსის საკითხიც. კვიპროსის მოსახლეობის თურქული ნაწილის მიერ 1983 წელს ცალმხრივად გამოცხადებული „ჩრდილოეთი კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას“ მხოლოდ თურქეთი სცნობს.

თურქეთის ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვება საგარეო ვალი, რომელიც შეადგენს 44 მილიარდ 811 მილიონ დოლარს. გრძელდება თურქული ლირის კურსის დაცემა. ბოლოხანს ფართო მასშტაბები მიიღო შიგა მიგრაციამ, დადგენილია, რომ ყოველ 5 წელიწადში 3 მილიონი კაცი იცვლის საცხოვრებელ ადგილს.

სპეციალისტები მიგრაციის ძირითად მიზეზად მატერიალურ სიდუხჭირეს მიიჩნევენ, აგრეთვე ქალაქებში მძლავრი სოციალური ბაზის არსებობას. როგორც ჩანს, დღის წესრიგში დგება აგრეთვე მოსახლეობის განუხრელ ზრდასთან დაკავშირებული პრობლემაც. პრესაში ახლახან გამოჩნდა სულეიმან დემირელის განცხადებები, რომ „მოსახლეობის სულადობრივი ზრდა კი არა, არამედ მისი ხარისხობრივი შემადგენლობის ზრდაა მთავარი“.

თავში „სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობანი“ ავტორი განიხილავს საქართველო-თურქეთის ურთიერთობას, დაწყებული 1918 წლიდან დღემდე.

1992 წლის 30 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის, მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მოწვევით თბილისში იმყოფებოდა თურქეთის ახლანდელი პრეზიდენტი (მაშინ ის პრემიერ-მინისტრი იყო) სულეიმან დემირელი, მხარეებმა ხელი მოაწერეს ყოვლისმომცველ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას „საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“. მასში მოხსენიებულია ყარსის ხელშეკრულება, რომელმაც დაადგინა საზღვარი ორ ქვეყანას შორის: „მხარეები იცავენ ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებას და ამ საკითხში ხელმძღვანელობენ იმით, რომ მან საბოლოოდ დაადგინა საზღვარი ორ



შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში.
საქართველოს ელჩმა ნოდარ კომასიძემ რწმუნების სიგელი გადასცა
თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს (1994 წლის 17 ივნისი).

მარჯვნიდან მარცხნივ: სხედან: – თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ჩეთინი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, საქართველოს ელჩი ნოდარ კომასიძე; დგანან: საელჩოს პრესაგაშე რამინ ჭელიძე, საელჩოს მდივანი შალვა გაბისკირია, საელჩოს პირველი მდივანი რევაზ ბაქრაძე, საელჩოს კონსული კახა სიხარულიძე და პრეზიდენტის თანმხლები პირები.

რწმუნებულ სიგელის გადაცემის შემდეგ ელჩმა პრეზიდენტს წარუდგინა საელჩოს თანამშრომლები. დიპლომატი რევაზ ბაქრაძე ხელს ართმევს პრეზიდენტ სელეზნევს დეპარტ.



პრეზიდენტის სასახლიდან დაბრუნების შემდეგ საელჩოს შეშადგენლობა, დიპლომატიური ეთიკის თანახმად, მიემგზავრება ათათურქის მაეზოლეუმში. მაეზოლეუმის დათვალიერების შემდეგ საქართველოს ელჩი ხელს აწერს სამახსოვრო წიგნს (1994 წ. 17 ივნისი).

სახელმწიფოს შორის“, რის საფუძველზე საბოლოოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ.

შემდეგ ბატონი ნ. კომახიძე ახასიათებს ბათუმის ოლქის ავტონომიური სტატუსის ფორმირების ისტორიას, რომელსაც, ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მკითხველები დიდი ინტერესით გაეცნობიან. ყარსის ხელშეკრულებას, როგორც ავტორი წერს, წინაისტორია აქვს. იგი მკვლევარ-ისტორიკოსის ს. კილაძის მასალებზე დაყრდნობით ვრცლად აშუქებს ამ ისტორიას. ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოში, როცა სამუსლიმანო საქართველო ოსმალთა უღელქვეშ იყო და არავინ ელოდა მსოფლიო ომში გერმანია-თურქეთის დამარცხებას, როცა არც 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ზავი იყო ხელმოწერილი, ნოე ჟორდანიამ წაიკითხა ლექცია „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრებანი ქართული სახელმწიფოს ფორმისა და მისი ორგანოების მოწყობის შესახებ: „თუ ჩვენ იმდენად ბედნიერი ვიქნებით, რომ სამაჰმადიანო საქართველო თავისუფლად მოეწყო, მისთვის აუცილებელი იქნება პოლიტიკური ავტონომია და აი, რატომ: მართალია – მაჰმადიანი ქართველები ჩვენი ძმები არიან, მართალია, ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო და მათი მიწა-წყალი მხოლოდ ნაწილია ჩვენი რესპუბლიკისა, მაგრამ ისტორიის ტრიალმა მოგვკვეთა ეს კუთხე და მოგვაშორა. რამდენიმე საუკუნე ჩვენ ვცხოვრობდით სხვადასხვა პირობებში და ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ შეგნებით, ცხოვრებით, რწმენა-შეხედულებით, რელიგიით მაჰმადიანი ქართველები დანარჩენ ქართველობას ჩამოშორდნენ. მათ ბევრი რამ აქვთ განსხვავებული და თავისებური... იმ განსხვავებას შეეფერება თავისებური პოლიტიკური ცხოვრებაც, ფართო თვითმართველობა და ავტონომია“.

შემდეგ ავტორს მოაქვს სრული ტექსტი საქართველოს მთავრობის სამუსლიმანო საქართველოსადმი მიმართვიდან, რომელსაც აქ მხოლოდ ნაწილობრივ მოვიტანთ. მიმართვა იწყება ასე:

„სამუსლიმანო საქართველო!... თქვენ დროთა ვითარებაში მოწყდით მთელ საქართველოს და მას ჭირსა და ლხინში გამოეთიშეთ, მაგრამ თქვენი სულიერი კავშირი სამშობლო კერასთან არასოდეს არ შეწყვეტილა... მიუხედავად სასტიკი დევნისა, თქვენ შეინარჩუნეთ მამა-პაპათა ენა და ადათები...

ძმებო მუსლიმანებო, სანამ აჭარა-ქობულეთში, გონიო-ბათუმსა და შავშეთ-ერუშეთში არ დამსხვრეულა მონობის ბორკილები, ქართველი ერი ვერ მოისვენებს.

მოსყიდული პირები თქვენ ჩაგჩიჩინებენ, თითქოსდა საქრისტიანო საქართველო თქვენს რჯულს ემუქრებოდეს. არ დაუჯეროთ ცილისმწამებლებს. დამოუკიდებელ საქართველოში ყველა სარწმუნოება თანასწორია... ყველას უფლება აქვს თავისი რჯულისამებრ ილოცოს და თავისი სარწმუნოება დაიცვას...

თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ:

სამუსლიმანო საქართველოს ენიჭება ავტონომია!

თვით მუსლიმანი ქართველების წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის გემოზე და თავის სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას. მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებს, მოაწყობენ ადგილობრივ საქმეებს“...

მიმართვას ხელს აწერს ნოე ჟორდანია – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (იხ. გაზეთი – „სახალხო საქმე“, №430, 1919 წ.).

სამწუხაროდ, ანტანტის ჯარების მიერ ოკუპაციის გამო იმ დროს ვერ მოხერხდა ამ მხარის დაბრუნება, მაგრამ ადგილობრივი საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ბათუმში შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, ხოლო შემდგომ აირჩიეს მეჯლისი მემედ აბაშიძის მეთაურობით,

რომელმაც დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გასაღვიძებლად და სამშობლოსთან შესაერთებლად.

აჭარის მეჯლისმა 1920 წლის 28 აპრილის დადგენილებით გამოაცხადა ბათუმის ოლქის სამშობლოსთან ავტონომიის უფლებით გაერთიანების განზრახვა. პარიზის კონფერენციის დადგენილებით 1920 წლის ივნისში ინგლისის ჯარები ბათუმიდან ევაკუირებულ იქნენ, ხოლო ივლისში ბათუმში აღიმართა ქართული ეროვნული დროშა.

საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციით სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარეს) დაუკანონდა ავტონომია.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინისა და არტანუჯის ოლქები თურქეთის ხელში გადავიდა, ხოლო ბათუმის ოლქის ავტონომიის სტატუსმა საერთაშორისო მხარდაჭერა მიიღო. იგივე გაიმეორა ყარსის ხელშეკრულებამაც, რომელსაც უკვე საბჭოთა საქართველომ მოაწერა ხელი. ასეთია საკითხის მოკლე ისტორია, – ასკვნის ავტორი.

აჭარის ავტონომიის ისტორიასთან დაკავშირებით მკითხველს ვრცლად იმიტომ მივაწოდე მასალა, რომ ბოლო პერიოდში აჭარის ავტონომიის შესახებ ძალიან ბევრი არასწორი ინფორმაცია დაიბეჭდა პრესის ფურცლებზე, ამიტომ, ვფიქრობ, პროფესორ ნოდარ კომახიძის მიერ მოტანილი მასალები მკითხველს ამ საკითხზე ობიექტური განსჯის საშუალებას მისცემს.

თავში „ქართული დიასპორა თურქეთში" ბატონი ნოდარ კომახიძე აღნიშნავს, რომ დღევანდელ თურქეთში, როგორც მიაჩნიათ, ორ მილიონზე მეტი ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქე ცხოვრობს.

შეუძლებელია ჟრუანტელი არ მოგგვაროთ მათმა მეტყველებამ, დროის ულმობელ სრბოლაში გამოტარებულმა, სიყვარულითა და მშობლიური სითბოთი შემონახულმა ქართულმა.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის საკითხი ყოველთვის იყო ჩვენი საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ინტერესის საგანი. პირველი სერიოზული ნაბიჯი თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობისაკენ გადაიდგა 60-იან წლებში, როდესაც საქართველოში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელად წლების განმავლობაში მუშაობდა პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი. სწორედ 60-იან წლებში გაიბა პირველი კონტაქტები თურქეთის ქართულ დიასპორასთან, მისი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება-გაღვივების მიზნით.

თურქეთის ქართველობა ამ ქვეყანაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნის სახელმწიფოებრივ იერარქიაში, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში. ამჟამად თურქეთის ორი მინისტრი ქართველია – სატყეო მეურნეობის მინისტრი ჰასან ექინჯი (ქურციკიძე) და სოფლის მეურნეობის მინისტრი რეფაედინ შაჰინი (ლორთქიფანიძე). რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე ოზდენიც ქართველია, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტიის გენერალური მდივანი კარაიალჩინი და მთავრობის ოპოზიციური პარტიის – დედასამშობლოს ლიდერი ილმაზიც ლაზები არიან, ე. წ. შავიზღვისპირელები (კარადენიზლი – როგორც თურქები უწოდებენ).

ამჟამად თურქეთში ქართული სათვისტომოები არსებობს. ქალაქებში: ბურსაში – ორი, სტამბოლში – ერთი, ანკარაში – ერთი და იზმირში – ერთი.

თურქეთის ქართული მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საკუთარ ისტორიაზე, საქართველოზე, ბევრმა ბათუმის გარდა სხვა საქართველო არ იცის. მხოლოდ ერთეულებმა იციან ქართული წერა-კითხვა, სამაგიეროდ, ერთმანეთს შესანიშნავი ძველი ქართულით ესაუბრებიან, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრმა ქართული ენა არც იცის. უკანასკნელ ხანს საგრძნობლად შეიცვალა თურქეთის ხელისუფლების დამოკი-

დებულება ქართველებისადმი. სულეიმან დემირელმა – თურქეთის პრეზიდენტმა მათ „სანდო ხალხი“ უწოდა.

1993 წლიდან ქ. ბურსაში ჩვენი თანამემამულეების ძალისხმევით განახლდა ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა, რომელიც ადრე, 80-იანი წლების დამდეგამდე გამოდიოდა. მისი პირველი ნომერი 1977 წელს სტოკჰოლმში გამოიცა. 1977-1978 წლებში შვედეთის დედაქალაქში „ჩვენებურის“ 5 ნომერი დაისტამბა, შემდგომი ნომრები კი აჰმედ ოზგანის (მელაშვილის) რედაქტორობით და გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის თანადგომით გამოვიდა. 1980 წლის ივლისში რედაქტორის ტრაგიკულმა სიკვდილმა ჟურნალის გამოცემა შეაჩერა.

13 წლის შემდეგ, როდესაც დემოკრატიზაციის პროცესის შედეგად ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი ნიშანსვეტი გამოჩნდა, თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების ძალისხმევით კვლავ აღდგა ჟურნალის გამოცემა. „ჩვენებურმა“ ამჯერად ქ. ბურსაში დაიდო ბინა.

თურქეთში საკმაოდ ძლიერი ლაზური სათვისტომოებიც მოქმედებენ, რომლებიც სცემენ ჟურნალ „ოგნის“ (ისმინე) და „ფარფალს“ (პეპელა). აღნიშნული ჟურნალები მკითხველებს მოუთხრობენ ლაზურ-ჭანურ-მეგრულ კავშირ-ურთიერთობებზე.

ბატონი ნოდარ კომახიძის ხსენებული წიგნი, რომელიც 245 გვერდს მოიცავს, კიდევ ბევრ სხვა საინტერესო მასალას აწვდის მკითხველს. მაგრამ საგაზეთო სტატია არ იძლევა ამ ნაშრომის უფრო ფართოდ განსაზღვრის საშუალებას.

ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ ამ ანოტაციის წარმოდგენით მკითხველის ინტერესი გამეღვიძებინა აღნიშნული მეტად სასარგებლო წიგნის მიმართ და თუ ამას მივაღწიე, ჩემს ამოცანასაც შესრულებულად ჩავთვლი.

ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ბექა ჭილაძე) 1955 წელს დაიბადა ორდუს ილის უნუს ილჩეს ერთ-ერთ ქართულ სოფელ აქაბაბაში. იგი წარმომადგენელია იმ ოჯახებისა, რომლებიც 1877-1878 წლების თურქეთ-რუსეთის ომის შემდეგ მაჭახლიდან გადასახლდნენ თურქეთში. ქართული სამეტყველო ენა ოჯახში შეისწავლა. 1980 წელს სტამბოლში დაამთავრა ჟურნალისტიკისა და ხალხთა ურთიერთობის უმაღლესი სასწავლებელი და იქვე დასახლდა. 1983 წლიდან პრესაში და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში მუშაობდა. 1981 წელს მას ხელში ჩაუვარდა ქართული ანბანი და დაიწყო დამოუკიდებლად მისი შესწავლა, შემდეგში კი იწყებს ქართული ენისა და კულტურის საფუძვლიან შესწავლას. 1988 წელს დაიბეჭდა პირველი წერილი ქართული კულტურის შესახებ „ქართული ლიტარატურის“ სახელწოდებით. მოგვიანებით აქვეყნებს წერილებს სხვადასხვა ჟურნალებში: „ისტორია და საზოგადოება,“ „ყოფიერება“, „ერთობა“, „სინამდვილე, „ოგნი“, „ჩვენებური“. იბეჭდება აგრეთვე გაზეთებში: „ჯუმჰურიეთი“, „გიუნე“, „ახალი კავკასია“ და სხვ. 1993 წლიდან ფაჰრეთინ ჩილოღლუ არის ჟურნალ „ჩვენებურის“ რედაქტორი. მან სხვადასხვა დროს გამოცემული წერილები წიგნად აკინძა და გამოსცა „ქართველთა ისტორიის“ სახელწოდებით, გთავაზობთ რეცენზიას მის წიგნზე.

ქართველებს, ბუნებრივია, აინტერესებთ თურქეთში მცხოვრები თავიანთი თანამოძმეების მდგომარეობა, მათი ცხოვრების წესისა და მოსახლეობის რაოდენობის საკითხები. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გაიხსნა სარფის კარი და როგორც საქართველოში, ისე თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება მიეცათ. ბევრმა მათგანმა ნათესაური კავშირი აღადგინა. მიმდინარე წლის 30 ივლისს გაიხსნა აგრეთვე ფოცხოვთიურქგიუზუს სასაზღვრო კარიც, რითაც ანატოლიის აღმოსავლეთ რაიონებში, განსაკუთრებით - ართვინისა

და ყარსის ადგილებში მცხოვრებ ქართველებს კიდევ უფრო გაუადვილდათ საქართველოსთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება.

ანკარა, საქართველოს საელჩოს წინ, 1994 წელი

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს დაწყებულმა ინტენსიურმა მიმოსვლამ თურქეთში პროფესორ ნოდარ კომახიძის, პროფესორ შუშანა ფუტკარაძის, მწერლების – ფრიდონ ხალვაშის, ალექსანდრე ჩხაიძის წიგნებმა, გამოკვლევებმა და პუბლიცისტურმა წერილებმა, აგრეთვე თურქეთში ისტორიული ძეგლების შესა-

სწავლად მოწყობილმა ექსპედიციებმა ერთგვარად შეავსეს ჩვენი ცოდნა თანამედროვე თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს: თურქეთში და საქართველოში მცხოვრები ქართველები ნაკლებად იცნობენ ერთმანეთს. პროფესორი ნოდარ კომახიძე სამართლიანად წერს: „თურქეთის ქართველობის უპირატეს ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საქართველოზე". ჩვენ კი, დავამატებდით: საქართველოში მცხოვრებ ქართველებსაც ანალოგიურად ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ნათელი წარმოდგენა თურქეთის ქართულ დიასპორაზე.

თურქეთში მცხოვრები ქართველების გაცნობაში ერთგვარი წვლილი შეაქვს ფაპრეთინ ჩილოღლუს (ბექა ჭილაძეს).

როგორც ცნობილია, წინათ თურქეთში ტაბუ ჰქონდა დადებული ეროვნულ უმცირესობაზე წერას. ადრინდელი თურქული იდეოლოგიის მიხედვით, თურქეთში მხოლოდ თურქები ცხოვრობდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ დღესაც თურქეთის ერთ-ერთ მრავალტირაჟიანი ძველი გაზეთის, „ჰურიეთის" დევიზია: „თურქეთი თურქეთისაა", მაგრამ, უკანასკნელ ხანს, როგორც მოვლენები მოწმობენ, თურქეთის ხელისუფლებამ საგრძნობლად შეცვალა თავისი დამოკიდებულება არათურქული წარმომავლობის მოქალაქეების მიმართ, რაც შეეხება თურქეთის ქართულ დიასპორას, თურქეთის პრეზიდენტმა მას „სანდო ხალხი" უწოდა და ისინი საქართველოსთან დამაკავშირებელ საიმედო ხიდად მიიჩნია.

„თურქეთის ქართველები", – ასე დაასათაურა ფ. ჩილოღლუმ თავისი წიგნის „ქართველთა ისტორიის" ერთ-ერთი თავი, მკითხველის ყურადღებაც სწორედ ამ თავს მინდა მივაპყრო. იგი ავტორს დაყოფილი აქვს რამდენიმე ქვეთავად. ქვეთავში „ისტორია", ფ. ჩილოღლუ წერს, რომ საქართველოსთან თურქეთის დამეზობლება დაიწყო მე-15 საუკუნიდან, როცა სულთანმა მეჰმედ ფათიჰმა ტრაპიზონი დაიპყრო (1461 წელი). ამ წლიდან მოყოლებული, ოსმალეთი მიიწევს შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთისაკენ და თანდათანობით იპყრობს ლაზეთს, აჭარას და გურიას,

ისტორიული ცნობით სულთანმა სელიმ ივუზმა 1479 წელს მთლიანად ჩაყლაპა ლაზეთი და აჭარა. სამცხე-საათაბაგოს მმართველი მზეჭაბუკის პერიოდში ოსმალებმა ხელთ იგდეს იმერეთის სამეფოც და 1510 წელს ქ. ქუთაისშიც შეეიდნენ. 1545 წელს ბასიანი ოსმალებმა მიიტაცეს და ამ პერიოდისათვის ლაზეთის და აჭარის დაპყრობის შემდეგ სამცხეს დასავლეთი ნაწილიც ოსმალების ხელში გადავიდა. როგორც წარმოდგენილი ცნობებიდან ირკვევა, მე-16 საუკუნეში საქართველოს მნიშვნელოვანი სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ოსმალების ხელში გადავიდა. 1578 წელს ლალა მუსტაფა-ფაშის სარდლობით საქართველოს კარის სახელწოდებით ცნობილი არტაანის ციხეც ოსმალებმა აიღეს და გაეხსნათ გზა ახალციხისაკენ, იქიდან კი თბილისისაკენ. იმავე წლის 24 აგვისტოს ოსმალებმა თბილისიც აიღეს, დაიმორჩილეს ჩილდირის მხარეც და ახალციხე აქციეს ოსმალო მმართველის რეზიდენციად, ანუ ამ მხარის ვილაიეთი საფაშალიკოდ გახადეს. 1590 წლის 21 მარტის ირან-ოსმალეთის სტამბოლის ხელშეკრულებით 1160 ქართული სოფელი მოექცა ოსმალეთის სამფლობელოში. 1625 წლიდან სამცხე-საათაბაგოს მმართველის ბექას მიერ მუსლიმანობის მიღების შემდეგ დაიწყო სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის ისლამიზაცია. ეს პროცესი გაგრძელდა მე-18 საუკუნემდე.

1631 წლიდან ოსმალეთის საზღვარი გადიოდა ბათუმის დასავლეთიდან არზრუმის ჩრდილოეთ მხარემდე. 1694-1732 წელს ჯაბა დავთარის მიხედვით შედგენილი რუკის მიხედვით ჩილდირის ვილაიეთი (სალუთი) მოიცავდა ახალციხეს, ახალქალაქს, ჩილდირს, ფოცხოვს, ასპინძას, ხერთვისს, არტანუჯს, ოლთიზს, ლივანს, ნისფილვანას, შავშეთს, ფანაქს, მამერვანს, არტაანს, ბუ-ზურგს, ჯაჯარაგს, ალთუნ კალეს, ოცხეს და აჭარას.

შემდეგ ავტორი წერს, რომ 1801 წლიდან საქართველო რუსეთმა დაიპყრო. ამის გამო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ჩილდირის ვილაიეთმა რყევა დაიწყო. 1803 წელს ახალციხის ფაშამ სელიმ ხიმშიაშვილმა რუსეთზე დაყრდნობითა

და მხარდაჭერით დამოუკიდებელი ისლამური ქართული მმართველობის დამყარება მოინდომა, მაგრამ მისი ეს ნაბიჯი მარცხით დამთავრდა 1815 წელს არზრუმის ფაშამ იგი სიკვდილით დასაჯა.

1828-1829 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ რუსეთის ხელში აღმოჩნდა ახალციხე, ახალქალაქი და სამცხეს სახელწოდებით ისინი საქართველოს შეუერთდნენ. 1828-1829 წლების ომის შემდეგ აჭარაც რუსეთს მიეკუთვნა.. ამის შემდეგ, 1832 წელს, ოსმალეთის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე სელიმ ფაშას შვილი ქორ ხუსეინ ბეი ხიმშიაშვილი. 1844 წელს აჭარა ტრაპიზონის საბეილიქოს შეუერთეს. 1846 წელს ქორ ხუსეინ ბეიმ ზემო აჭარა ისევ ააჯანყა ოსმალეთის წინააღმდეგ.

1851 წელს ქვემო გურია და აჭარა ახალდაარსებულ ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში შეიყვანეს.

ყირიმის ომის დროს (1853-1856 წლები) აჭარა ოსმალეთის მხარეზე აღმოჩნდა, მაგრამ აჭარლების ჯარში გაწვევა რომ დაეპირეს, ისინი ისევ აჯანყდნენ. აჯანყებამ იფეთქა აგრეთვე 1858, 1859 და 1875 წლებში. 1877-1878 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შედეგად ბერლინის ხელშეკრულების საფუძველზე, აჭარა საქართველოს შეუერთდა, მასთან ერთად ქობულეთი (ჩურუქსუ), ბათუმი, ყარსი, არდაგანი, ართვინი, არტანუჯი, ბორჩხა, შავშეთი და ხოფა. მაგრამ აჭარლების გარკვეულმა ნაწილმა რუსეთის შიშით ოსმალეთში იწყო გადმოსახლება, მათი დიდი ნაწილი ჩასახლდა გირესუნში, ორდუში, სამსუნში, სინოპში, სტამბოლში და შავიზღვისპირეთის სხვა რაიონებში. ბევრი მათგანი დასახლდა ბურსაში, ადაფაზარში, ამასიაში და ბალიქესირის სოფლებში. შემდეგში საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა.

თავში „ცხოვრება და კულტურა“ ფაჰრეთინ ჩილოღლუ წერს, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების მიერ მე-17-18 საუკუნეებში ისლამის რელიგიის მიღების შემდეგ ქართველთა ცხოვრების წესმა გარკვეული ცვლილება განიცადა. ეთნიკურად ისინი დარჩნენ ქართველებად, მაგრამ ისლამის რელიგი-

ის აღმსარებლები გახდნენ, ამის გამო ქრისტიანული საქართველოსათვის ისინი იქნენ მონათლული „ოსმალებად, თათრებად, თურქებად, მუსლიმანად“, და მაინც, აქაურმა ქართველებმა, — წერს ჩილოღლუ, — შეინარჩუნეს ეროვნული ჩაცმულობა, ტრადიციები, თუმცა საკუთარ ენაზე სწავლა-განათლების მიუღებლობა გარკვეულ გავლენას ახდენს მათი ეროვნულობის შენარჩუნებაზე.

1893 წელს მეჰმედ არიფს სამსუნის აჭარული სოფლები შემოუვლია და წიგნიც კი გამოუცია „ქართული სოფლების“ სახელწოდებით, რომელშიც წერს: შავიზღვისპირეთში გადმოსახლებული ქართველები წააწყდნენ მალარიას, რის გამოც შემდეგში ისინი მთებში ავიდნენ და 5-6 წლის განმავლობაში ცხოვრებაც კი მოაწყვეს. სახლებს უპირატესად წაბლის მასალისაგან აშენებდნენ, სახურავად კი ყავარს იყენებდნენ. სახლებს ერთმანეთისაგან მოშორებით აშენებდნენ, სახლთან სიმინდის გასახმობად ნალიებსაც აშენებდნენ. ჰქონდათ ბეღლებიც. ბეღლებს ოთხი ბოძი ჰქონდა, სადაც თაგვებისაგან დამცავი მრგვალი ბორბალი იყო ჩატანებული. სოფლებში, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, ააშენეს სკოლებიც და ჯამეებიც.

როცა ქართველები თურქეთში ჩამოვიდნენ, 30 ყურუშიც კი არ ჰქონდათ ჯიბეში, მაგრამ მუყაითი შრომით ააწყვეს ცხოვრება. მოჰყავდათ სიმინდი და ბაღჩეული: ფხალი, კარტოფილი, ჭარხალი, ლობიო და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ძალიან დიდი რაოდენობით გაახარეს ხეხილი — ვაშლი, მსხალი, ბჟოლი, ლეღვი, ქლიავი, ტყემალი და სხვა.

ქართველები ყველაფერს თვითონ აკეთებენ — ურემს, სახლს, ნალიას, ბეღელს; თოკისათვის კანაფს თესავენ, აბრეშუმის ჭიაც გამოჰყავთ. სიმინდს მდინარის პირებზე გაკეთებულ წისქვილებში ფქვავენ. თხილის წნელისაგან ქსოვდნენ კალათს, მჭადს მათ მიერვე გაკეთებულ კეცებზე აკრავდნენ (აცხობდნენ). მჭადს უმთავრესად ცხელს მიირთმევენ. მთავარი შეჭამადი ქართველებისათვის არის ფხალი, ლობიო და სიმინდი, ბურღულის ჩორბა (წვნიანი). საჭმელს ამზადებენ სახლზე მიდგმულ ცალკე სამზარეულოში ან

უშუალოდ სახლში. გადმოსახლების ადრეულ პერიოდში ქართველების სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდი იყო, შვილთაშვილების მომსწრენიც ძალიან ბევრნი არიან, მაგრამ თანდათან ჯანმრთელობა შეუსუსტდათ. ქართველები თვითმკურნალობას მიმართავენ, ოფლს იდენენ, ძალიან უყვართ იარაღიც.

ქართველებმა იციან ერთმანეთის დახმარება, რასაც მეჯი ანუ ნადი ჰქვია. ნადის საშუალებით აგროვებენ და სახლში ეზიდებიან შეშას; ნადის მომწვევი პირი წინდაწინ აკეთებს სადილს და ნადის მონაწილეებს უმასპინძლდება, ქართველებს შორის ბევრია ისეთიც, ვინც სტამბოლში ღებულობს განათლებას, სახელმწიფო სამსახურშიც დგებიან, მაგრამ ბოლოს მაინც თავიანთ სოფლებს უბრუნდებიან.

,ქართველი ქალები „ფისტანის" სახელწოდების ქვედაწელს, ზევით კი ჟილეტს იცვამენ (იელექს). სტუმრად წასვლისას კი უფრო უკეთ იმოსებიან, რა თქმა უნდა, ქონებრივი მდგომარეობის შესაფერისად. ქართველი ქალები თავიანთ ქმრებს პატივს სცემენ და კარგადაც უვლიან. ქართველები პატივს სცემენ მრავალი შვილის დედას. როცა ვაჟი იბადება, ქვეყანას ამცნობენ იარაღის სროლით. ქართველი მამაკაცები თავსაბურავს იხურავენ და იცვამენ „ძიქვას" სახელით ცნობილ შარვალს. ტანსაცმელს ქართველები თვითონ ქსოვენ. ქართველებში ნათესავებს შორის ქორწინება დაუშვებელი იყო, მაგრამ თურქეთში ჩამოსახლებულ ქართველებში ეს წესი მოიშალა და ახლა ნათესავებს შორისაც თხოვა-გათხოვება მომრავლდა. არაქართველზე გოგოს არ ათხოვებენ, მაგრამ ზოგჯერ უშვებენ გამონაკლისსაც.

ბიჭებს 20-25 წლის ასაკში აქორწინებდნენ. ქალის გათხოვების დროს საპატარძლოს სახლიდან გაყვანისას საპატარძლოს ამხანაგი ან მისი რომელიმე ახლობელი სიძის ახლობლისაგან საჩუქარს ითხოვდა, სანამ ვაჟის მხარე საჩუქარს არ გაიღებდა, დედოფალს სახლიდან არ გაიყვანდნენ. საპატარძლოს სახლიდან გასვლის შემდეგ ცხენზე შესვამდნენ და ახლობლების თანხლებით მიჰყავდათ საქმროს სახლში. სიძის ოჯახში მას

ქალები შეხვდებოდნენ, სიძე მიდიოდა, თავის საცოლეს – „პატარძალს“ თავსაბურავს ხდიდა და მას გასათხოვარი ქალის მხარეზე გადააგდებდა.

ქორწილებში ქართველები ცეკვავენ „ხორონს“. „ხორონის“ ილეთები სწრაფად სრულდება, მას უმთავრესად ასრულებს სამი კაცი. ქორწილის დროს იციან თოფის გასროლაც. შემდეგ სტუმრებს იწვევენ სახლში საქორწილო სუფრაზე. როცა სუფრაზე ფლავს შემოიტანდნენ, ყველანი წყვეტდნენ ჭამას და სახლის პატრონისაგან ითხოვდნენ ქათამს, ცხვარს და ხილს. ამ დროს ძალიან ბევრ იარაღს ისროდნენ და სახლი ტყვიებისგან იცხრილებოდა, ბოლოს მათ მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ. რასაც სუფრაზე მოიტანდნენ, ან შეიჭმებოდა, ან ისევ უბრუნებდნენ მის პატრონს.

ქართველები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ოქრო-ვერცხლს.

თურქეთში გადმოსახლებული ქართველები ქართულს მხოლოდ სასაუბროდ იყენებენ, უმრავლესობამ არც იცოდა წერა-კითხვა; ქართულად წერა-კითხვის მცოდნეთა უმრავლესობა ქობულეთელები იყვნენ. ოსმალეთისა და რესპუბლიკის პერიოდშიც ქართველები რაიმე პოლიტიკურ კულტურულ ორგანიზაციებში არ იღებდნენ მონაწილეობას, ისინი უმთავრესად სოფლებში ცხოვრობდნენ და თავისთავადობაც ამიტომ შეინარჩუნეს, – წერს ჩილოღლუ.

თურქეთში იქაურმა ქართველებმა პირველად დაბეჭდეს ეგნატე ნინოშვილისა და ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები. 1941 წელს გამოიცა ყაზბეგის „ელგუჯა“, 1964 წელს იგი განმეორებით დაიბეჭდა, ოღონდ ახალი სახელწოდებით – „კავკასიის სიყვარული“. დაიბეჭდა აგრეთვე სიმონ ქვარიანის „დიდი მოურავი“.

აჰმედ ოზგანმა (მელაშვილმა) 1960 წელს ინეგიოლუს სოფ. ჰაირიეში დაიწყო ქართული კულტურის სახლის მშენებლობა. 1968 წელს კი გამოსცა წიგნი საქართველოზე „გიურჯისტანის“ სახელწოდებით. მაგრამ ამის გამო მან დევნა განიცადა. თურქე-

თში ქართველების ვინაობის შესახებ წერის მოწინააღმდეგეებმა იგი მკაცრად გააკრიტიკეს. თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მაინც ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა იყო, რომლის ბეჭდვა 1977 წელს დაიწყო შვედეთში, შემდეგ კი გაგრძელდა თურქეთში ახმედ მელაშვილის ხელმძღვანელობით.

1977 წელს იბრაიმ გორაძემ თარგმნა და თურქეთში გამოსცა იუსუფ ფაღავას წიგნი „ჩაუმქრალი კერა“. მანვე ხელახლა თარგმნა სიმონ ქვარიანის „დიდი მოურავი“ და 1980 წელს „გიორგი საკაძის“ სახელწოდებით გამოსცა თურქეთში. თურქეთში ითარგმნა და დაიბეჭდა აგრეთვე ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. ჰაირი ჰაირიოღლუმ თარგმნა და გამოსცა ქართული ზღაპრები 1983-1986 წლებში – „მზის ქალიშვილი“ და „ზარმაცი კაცი“. თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა განსაკუთრებით გააძლიერეს მუშაობა 1980 წლიდან, თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობის გააქტიურების შემდეგ. ძალიან ბევრი ახალგაზრდა გაიგზავნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. ბურსაში, სტამბოლში, იზმირში და ანკარაში დაარსდა ქართული სათვისტომოები. მათ შორის ყველაზე ნაყოფიერად ბურსის სათვისტომო იღვწის. მათ მიერ დაარსებულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ 1992 წელს თბილისშიც კი გამართა კონცერტები.

ბოლო წლებში თურქულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ძალიან ბევრი ქართული წიგნი. თურქეთში დაიბეჭდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ფრიდონ ხალვაშის წიგნები. 1993 წელს განახლდა ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა, რომელსაც თურქეთის ხალხთა მოზაიკაში თავისებური ელფერი შეაქვს.

თავში – „ეთნიკური ვინაობა“ – ფ. ჩილოღლუ წერს: პ. მაგნარელა, რომელმაც დაწერა გამოკვლევა კავკასიის ხალხთა თურქეთში განსახლების შესახებ, აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთში გადმოსახლებულმა ქართველებმა, ჩერქეზებმა და კავკასიის სხვა ხალხებმა განიცადეს ასიმილირება.

შემთხვევითი არ არის თურქეთის ერთ-ერთ დიდ გაზეთს „ჰურიეთს“ დევიზად წამძღვარებული აქვს „თურქეთი თურქებისაა“, და ეს მაშინ, როდესაც თურქეთი სინამდვილეში ხასიათდება ეთნიკური სიჭრელით. თურქეთის რესპუბლიკა მთელი მისი არსებობის მანძილზე უგულებელყოფდა თურქეთში სხვადასხვა ეროვნების ხალხთა არსებობის სინამდვილეს. ასე გაგრძელდა 1980 წლამდე. ამ წლიდან თურქეთში სხვა ხალხთა არსებობის უგულებელყოფის პოლიტიკა შემსუბუქდა.

ისმეთ ზადე დოქტორ მეჰმედ არიფი, რომელმაც ქართულ სოფლებში იმოგზაურა და შემდეგში თავისი მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები წიგნად გამოსცა „ქართული სოფლების“ სახელწოდებით, წერს ოსმალეთის ჰეგემონიის ქვეშმყოფ ქართველთა ყოფის შესახებ, რაზეც, ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა უკვე ლაპარაკი. იგი მიუთითებს სწორედ ქართველთა ასიმილაციის დაწყებულ პროცესზე. თურქეთში გადმოსახლებულთა უმეტესობა აჭარიდანაა, ისინი 1851 წლიდან ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში იყვნენ.

თავში „ისლამურ უმცირესობათა ენა“ ნათქვამია, რომ 1970 წლიდან ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა აღწერა, სადაც ქართველებიც ირიცხებოდნენ, მაგრამ ამას თავისებური განმარტება ეძლეოდა.

დღეს კი თურქეთში მცხოვრები ქართველები მშობლიურ ენად ქართულს თვლიან. რაც შეეხება ეთნიკურ წარმომავლობას, აქ ისინი თავისებურ შინაარსს დებენ, მაგალითად: „ქართველი ვარ, მაგრამ თურქი ვარ“, „ჯერ თურქი ვარ და შემდეგ კი – ლაზი“. გამოკვლევით დადგენილია, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ქართულად მხოლოდ ოჯახში ლაპარაკობს.

თავში „მოსახლეობა“, ჩილოღლუ წერს, რომ საქართველოს გარდა ქართველები ცხოვრობენ თურქეთში, საფრანგეთში, ამერიკაში, ირანში, ისრაელში, აზერბაიჯანში, რუსეთის ფედერაციაში, ავსტრიაში, შვედეთში, მაგრამ ყველაზე მეტი ქართველი მაინც

თურქეთში ცხოვრობს. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქეთში ძალიან ბევრი ქართველი გადმოსახლდა, განსაკუთრებით აჭარიდან და დასახლდა ორდუში, სამსუნში, სინოპში, თოქათში, ამასიაში, ადაფაზარში, ბოლუში, ბალიქესირში, ბურსაში და სტამბოლის მხარეს.

თუ რამდენი ქართველი ცხოვრობს თურქეთში, დღეს ამის თქმა ზუსტად არავის შეუძლია, არსებობს მხოლოდ სხვადასხვა ვარაუდი. 1950 წლის აღწერის შედეგად თურქეთში ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველთა რაოდენობა 72.604-ს უდრიდა. 1955 წელს – 51982-ს, 1960 წელს - 32.944-ს, 1965 წელს – 34. 330-ს, 1965 წლის აღწერით ართვინში 17.698 ქართველი ცხოვრობდა, ორდუში – 4.815, საქარიაში – 2. 755, სამსუნში – 2.350, გირესუნში – 2.029, ბოლუში – 1.543, ამასიაში – 1.378, ბალიქესირში – 1.281, სინოპში – 1.144, სტამბოლში – 846, თოქათში – 412 (იგულისხმება, რომ ქართველები აღნიშნულ ქალაქში კი არ ცხოვრობდნენ, არამედ დასახლებული ქალაქების ილაებში, ანუ ოლქებში).

ფ. ჩილოღლუ კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, რომ თურქეთში 4 მილიონი ქართველი ცხოვრობს, მისი აზრით, თურქეთში შესაძლებელია მხოლოდ 1-1,5 მილიონი ქართველი ცხოვრობდეს. ქართველთა რაოდენობის შესახებ ჩილოღლუ ანალოგიურ ციფრს ასახელებს თავის სტატიაშიც, რომელიც 1995 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ისტორიულ კრებულში". მასში ფ. ჩილოღლუ აღნიშნავს, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის 48,9 პროცენტი ქალია, 51,1 პროცენტი – მამაკაცი. ქართველთა 22, 4 პროცენტი ცხოვრობს ართვინში, 14 – ორდუში, 13,2 – საქარიაში, 8,5 – ბურსაში, 8 – კალეში, 6,8 – სამსუნში, 5,9 – გირესუნში, 4,5 – ბოლუში, 4 – ამასიაში, 3,7 – ბალიქესირში, 3,3 – სინოპში, 2,4 – სტამბოლში, 1,2 – თოქათში.

თავში „თურქეთის ქართული სოფლები" ფ. ჩილოღლუს დასახელებული აქვს ყველა ის სოფელი, სადაც ქართველები ცხოვ-

რობენ. მაგალითად, ამასიის ვილაიეთში ქართველებით დასახლებული 6 სოფელია მითითებული, ართვინის ვილაიეთში – 50 სოფლამდე. 7 სოფელია დასახლებული ბალიქესირის ვილაიეთში, ბოლუში – 3 სოფელი, 40-ზე მეტი სოფელია მითითებული ბურსას ილაში, 40 სოფელია დასახლებულია ორდუს ვილაიეთში. ჯამში სამასამდე სოფელი და ქალაქია, სადაც ქართველები არიან დასახლებული (შენიშვნა: ვილაიეთი ილას ძველი სახელწოდებაა და გუბერნიას, ოლქს ნიშნავს). ფ. ჩილოღლუს თავის წიგნში გამოყენებული აქვს ქართული, თურქული და სხვა უცხოური ლიტერატურა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ისმეთ ზადე დოქტორ მეჰმედ არიფის წიგნი „გიურჯუ ქიოლური" („ქართული სოფლები"), შულე ფერინჩექის „გიურჯულერ" – (ქართველები), აგრეთვე ინგლისურ და სხვა უცხო ენებზე დაწერილი გამოკვლევები.

წიგნის სხვა თავებში განხილულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე: დიაოხი, კოლხა, ქართლი ანუ იბერია, საქართველო და ძველი საბერძნეთი, საქართველო და რომი, ლაზიკა-ეგრისი, ქრისტიანობის მიღება, ვახტანგ გორგასალი, ირანის წინააღმდეგ ბრძოლები, ტაო-კლარჯეთი, ქვეყნის გაერთიანება, დავით კურაპალატი, სელჯუკებისა და მონღოლების შემოსევები... საბჭოთა პერიოდი და ბოლოს, დამოუკიდებლობის მიღება. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, დაბეჭდილია ქართული ანბანიც.

ფ. ჩილოღლუს (ბ. ჭელიძის) წიგნი „ქართველთა ისტორია" სასარგებლოა არა მარტო თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის, არამედ ჩვენთვისაც. ქართველი მკითხველი ზოგიერთი ახალი ცნობით შეავსებს თავის ცოდნას თურქეთის ქართველებზე, თურქეთში მცხოვრები ქართველები კი გაეცნობიან საქართველოს ისტორიულ წარსულს და მის მდიდარ კულტურას.

14 ოქტომბერი, 1995 წელი.

ანატოლიის ეთნიკური მოდელი თურქი მეცნიერების თვალთახედვით

ანატოლიის წარსულისა და მისი ეთნიკური შემადგენლობისადმი ქართველები დიდ ინტერესს იჩენენ, ვინაიდან უძველესი დროიდან მეზობლური და ნათესაური ურთიერთობით არიან დაკავშირებული ანატოლიაში მცხოვრებ ზოგიერთ ხალხთან.

ცნობილი მეცნიერების ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში, რომელიც 1943 წელს გამოვიდა, ქართველი ერის ისტორია ანატოლიაში მცხოვრები უძველესი ხალხების – ხეთებისა და სუბარების (შუმერები) ისტორიით იწყება.

ანატოლიის მხარე ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. თურქი მეცნიერების სენჯერ შაჰინის, ომერ ჰასანის, აქურალისა და სხვათა გამოკვლევებით 8000 წლის წინათ ანატოლიაში დიდად განვითარებული კულტურის ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ მათი ვინაობის შესახებ ჯერ კიდევ არასაკმარისი ცნობები მოგვეპოვება. შედარებით უფრო ვრცელი ცნობები მოგვეპოვება მომდევნო პერიოდში მცხოვრები ხალხების – ხათებისა და ხეთების შესახებ, რომლებიც ანატოლიის ცენტრალურ ნაწილში ბინადრობდნენ და უძველესი სახელმწიფო გაერთიანებები შექმნეს.

ხეთების სამეფომ ჩვ. წ-აღ-მდე 2500 წლიდან 1100 წლამდე იარსება (ხეთები ინდოევროპულ ენაზე ლაპარაკობდნენ). ამავე პერიოდში ანატოლიაში სახლობდნენ აგრეთვე ხურიტები, რომელთა არსებობა განსაზღვრულია ძვ. წ. 2200-1270 წლების ჩარჩოებში. მათ უშუალო მემკვიდრეებად ითვლებოდნენ ურარტუელები, რომლებიც ისტორიის ასპარეზზე იყვნენ ძვ. წ. 860-580 წლამდე. ურარტუელები სახლობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში.

ჩვენი მეცნიერები გ. მელიქიშვილი, შ. გაბესკირია და სხვები ურარტუელებს ქართველების წინაპრად მიიჩნევდნენ. გ. მელიქიშვილი მონოგრაფიაში „ურარტუ“ წერს, რომ ქართულში დღესაც

ვხმარობთ ურარტულ სიტყვებს. ასე მაგალითად, ვამბობთ თავდაყირას, ყირამალას, მაგრამ სიტყვა ყირას მნიშვნელობა დღეს ჩვენთვის გაუგებარია, ურარტულ ენაზე კი თურმე ყირა მიწას ნიშნავს, ე. ი. თავდაყირა ნიშნავს თავით მიწისკენ დგომას. პოპულარული ქართული ხალხური სიმღერების მისამღერი სიტყვა „თარი არალო, თარი არალოო“ ქართველისათვის დღეს გაუგებარია, მაგრამ თარი ურარტულში თურმე ღმერთების სახელი ყოფილა. ურარტულში ლაზური სიტყვებიცაა დაფიქსირებული, მაგალითად, ჩილი ლაზურადაც და ურარტულადაც ცოლს ნიშნავს. ქური ლაზურშიც ქუსლს ნიშნავს და ურარტულშიც და ა. შ. მაგრამ სხვა უცხოელი მეცნიერები ამ აზრს არ იზიარებენ და ურარტუელებს სომხების წინაპრებად მიიჩნევენ.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავოა: ქართველებს უძველესი დროიდან ახლო მეზობლური და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ სომხებთან. ვლ. ალფენიძე ერთ-ერთ საგაზეთო წერილში წერს: „სომეხი მამიკონიანები ლაზური წარმოშობის ყოფილან, რასაც სომეხი მეცნიერებიც ადასტურებენო. ცურტაველის დიდი მოთხრობის მთავარი გმირი ქალი — შუშანიკი, ჰერეთის საპიტიახშოს დედოფალი სომხეთის ასულია, მაგრამ ამავე დროს ისტორიული წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ მამიკონიანები წარმოშობით ლაზები არიან, რაც ფიქსირებული ყოფილა როგორც სომხეთში, ისე საზღვარგარეთ გამოცემულ ლიტერატურაში“.

ცენტრალურ ანატოლიაში ხათების უშუალო მემკვიდრეები ხეთები იყვნენ. ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილის აზრით, ხეთებს ქართულ სამყაროსთან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ. ენათმეცნიერი შ. გაბესკირია, რომელიც ხეთოლოგიაში მუშაობს, ხეთურ ენაში ქართული სიტყვების ანალოგებს ნახულობს. ხეთებისა და ქართველური ტომების ნათესაობას თურქი მეცნიერებიც ადასტურებენ.

თურქი მეცნიერების ვარაუდით, ჩვ.წ. აღრიცხვამდე 2 ათასწლეულის წინ დასავლეთ ანატოლიაში ევროპელი ხალხების მიგრაცია იწყება, რომელსაც ისტორია იცნობს ლუვიელების სახე-

ლით. უფრო მოგვიანებით, დაახლოებით ძვ. წ. 1100 წლიდან ევროპიდან მოდის ახალი ნაკადი, რომლებიც, როგორც თურქი ისტორიკოსები წერენ, ძალიან ჰგავდნენ ელინებს (ბერძნებს).

უფრო ადრე, ძვ. წ. 3000-2000 წლებში დასავლეთ ანატოლიაში სახლობდნენ პელაზგებიც, რომლებიც ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ქართველური ხალხის – ლაზების წინაპრები იყვნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს რ. გორდეზიანს ამ საკითხზე სპეციალური გამოკვლევაც აქვს გამოქვეყნებული. ბერძენმა მწერალმა ქალმა ფ. იანაკოპულომაც ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ საბერძნეთში დამკვიდრებული აზრითაც, პელაზგებს ლაზებად თვლიან, ამასთან დაკავშირებით წერილიც გამოვაქვეყნე რაიონულ გაზეთში „ოქტომბრის გზით“.

მომდევნო პერიოდებშიც ანატოლიაში გრძელდებოდა ევროპის ქვეყნებიდან ხალხთა მძლავრი ნაკადის მიგრაცია. თურქი მკვლევრების აზრით სომხები და ქურთებიც ანატოლიაში ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1050 წელს მოვიდნენ.

როგორც ცნობილია, ქართველები და ქართველური ხალხი – ლაზები უძველესი დროიდან სახლობდნენ ანატოლიის ჩრდილოაღმოსავლეთში და შავიზღვისპირეთში. მაგრამ ზოგიერთი ქართველი მეცნიერი უფრო შორსაც მიდის და ცენტრალურ ანატოლიაშიც ნახულობს ქართველთა წინაპრების კვალს.

საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული გ. გოზალიშვილს იმის შესახებ, რომ უძველეს დროში ქართველთა წინაპრები ცხოვრობდნენ კაბადოკიაშიც (ანკარის სამხრეთით 300 კილომეტრზე, რომლის ფართობი შეადგენს 5 ათას კვადრატულ კილომეტრს). კაბადოკია ძალიან ჰგავს საქართველოს კლდოვანი ადგილებითა და კლდეში ნაკვეთი ქალაქებით. კაბადოკიაში, როგორც საქართველოში, დიდად არის განვითარებული ღვინის კულტურა. აქ დღესაც აყენებენ საუკეთესო ღვინოს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ნინო კაბადოკიელმა საქართველოში იქადაგა ქრისტიანობა და ქვეყანა ქრისტეს სჯულზე მოაქცია. როგორც მეცნიერი ვარაუდობს, ნინოს შეეძლო მხოლოდ ქართულ ენაზე ექადაგა.

საყურადღებო გამოკვლევა აქვს ზურაბ ქაფიანიძეს შუმერების ქართველთა წინაპრებთან ნათესაური კავშირის შესახებ. მაგრამ ამ ჰიპოთეზას დაზუსტება და შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიების გაგრძელებით დასაბუთება სჭირდება.

ცენტრალური ანატოლიის მკვიდრ ხეთებს ბოლო მოუღო ტროას სამეფომ. ტროელები ანატოლიის დასავლეთ ნაწილში იყვნენ დამკვიდრებული და ძლიერი სახელმწიფო გაერთიანება ჰქონდათ. ტროას სამეფოს დამხობის შემდეგ ანატოლიაში სამხრეთიდან შემოდიან და ანატოლიას ეუფლებიან სემიტური წარმოშობის ხალხები (მათ შორის არაბები და ებრაელები).

ჩვ. წ. აღრიცხვამდე 750 წლიდან ანატოლიაში ფრიგიელები ჩნდებიან, ხოლო იგივე წელთაღრიცხვით 277 წლიდან აქ შემოდიან გალებიც, I საუკუნეში კი ანატოლიას რომაელები იპყრობენ. მათ აქ ოთხი საუკუნის განმავლობაში იბატონეს.

ჩვ. წ. აღრიცხვით მე-4 საუკუნის დასასრულიდან – 395 წლიდან 1453 წლამდე ანატოლია ეპყრათ ბიზანტიელებს. 15 საუკუნის განმავლობაში განაგებდნენ ანატოლიას რომაელები და ბერძნები, რომელთა კულტურის ნაკვალევი დღესაც ძალუმად ატყვია ამ მხარეს, განსაკუთრებით მის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რომელიც მოფენილია რომაული და ბიზანტიური მატერიალური კულტურის ძეგლებით.

თურქ-სელჯუკების ანატოლიაში მოსვლამდე ანატოლიის მკვიდრი მცხოვრებლები იყვნენ ბერძნები, სომხები, ქურთები, არაბები და ქართველები. ბერძნები ძირითადად ცხოვრობდნენ ანატოლიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, ქურთებს ეჭირათ სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონი, არაბები ძირითადად სახლობდნენ ანატოლიის აღმოსავლეთით, ხოლო ქართველები ანატოლიის ჩრდილო აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ.

როგორც თურქი ისტორიკოსები წერენ, ოსმალეთის იმპერიის პერიოდშიც გრძელდებოდა ანატოლიაში ევროპელი ხალხების მიგრაცია. „აქედან გამომდინარე, გვინდა თუ არ გვინდა ვაღიაროთ, გამოდის, რომ ჩვენც ევროპელები ვართ“, – ასკვნიან

თურქები, მე კი დავუმატებდი, რომ ოსმალეთის იმპერიის დროს, რომელიც ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ბალკანეთიდან შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკამდე, ანატოლიაში არა მარტო ევროპელები შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ, არამედ სემიტური და კავკასიური წარმოშობის ხალხებიც. კავკასიელების დიდი ჯგუფი შემოვიდა შამილის დამარცხების (1864), და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლებისა და პირველი მსოფლიო ომის დროს, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში და შავიზღვისპირეთში უძველესი დროიდანვე სახლობდნენ ქართველები და ქართველური ხალხი – ლაზები, მაშინ თანამედროვე თურქებში სუფთა, ნამდვილი თურქი 20-30 პროცენტი თუ იქნება. ახლა თურქეთში 10-12 მილიონამდე ქურთული მოსახლეობაა, 7 მილიონი კავკასიური წარმოშობის ხალხები – ჩერქეზები, ჩეჩნები, აფხაზები, ქართველი და ქართველური ხალხი – ლაზები ცხოვრობენ (1,5 მლ. ქართველი, 1,5 მლ. ლაზი).

აი, რას წერს თურქი მეცნიერი და ისტორიკოსი სენჯერ შაჰინი: „დღევანდელი თურქეთი წარმოადგენს ევროპისა და შუა აზიის ხალხების სინთეზს. თურქებმა მიიღეს ანატოლიის ხალხების: ბერძნების, სომხების, ლაზების, ქურთების და სხვათა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომლებმაც თავის მხრივ შეითვისეს ხეთების, ელინების, სპარსელების, სხვა უძველესი ხალხების კულტურა“.

ანატოლიაში ცხოვრობენ აგრეთვე არაბები, სომხები, ალბანელები. აქ სულ 70-მდე ეროვნების ხალხია წარმოდგენილი. ასე რომ, თურქეთში ევროპელების გარდა, მნიშვნელოვანი რაოდენობის სხვა ეროვნების ხალხებიც სახლობენ, რომლებიც ერთიან ძმურ ოჯახში „ხალხთა საინტერესო მოზაიკას ქმნიან“.

აღსანიშნავია, რომ თურქეთში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხები, გარდა ებრაელების, სომხებისა და ბერძნებისა, გამუსლიმანებული არიან, თურქულად მეტყველებენ და თურქეთის დიდი პატრიოტებიც არიან.

ოსმალეთში საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება ეროვნულობას, ოსმალეთის მოქალაქეობისათვის საკმარისი იყო მხოლოდ მუსლ-

იმანობა. ამასთან დაკავშირებით თურქი ისტორიკოსი წერს: „ოსმალეთის 36 სულთნიდან მხოლოდ 2-ს ჰყავდა თურქი დედა, დანარჩენი 34 სულთნის დედა ევროპელი ან კავკასიელი იყო, ხოლო დიდვეზირებს შორის 124 თურქი იყო, 19 – ალბანელი, 14 – ბოსნიელი, 15 – სლავი, 6 – ბერძენი, 22 – ქართველი და აფხაზი, 1 – სომეხი და 1 – რუსი, იანიჩრების (ჯარის სახეობა) მეთაურთა უმრავლესობაც არათურქი იყო, ანუ ოსმალეთის მმართველობის ერთი მესამედი არათურქი იყო“.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ ლაიცისტურ თურქეთის რესპუბლიკაში, რომლის ლიდერი იყო მუსტაფა ქემალ-ფაშა, წინა პლანზე წამოიწია თურქობა, ვინაიდან ლაიცისტური რეჟიმისათვის (ოსმალეთის პერიოდის შარიათული რეჟიმისაგან განსხვავებით) თურქეთის მოქალაქეობისათვის რელიგიურ რწმენას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

შარიათული ოსმალეთის სახელმწიფოში არამუსლიმანები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ითვლებოდნენ. მუსლიმანები, არამუსლიმანებთან შედარებით, მეტი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, მაგრამ მუსლიმან არათურქსაც შეეძლო სახელმწიფო იერარქიაში უმაღლესი პოსტები დაეკავებინა, რასაც ზემოთ მოტანილი ფაქტებიც ცხადყოფს.

თურქები შედარებით უფრო შემწყნარებლები იყვნენ სხვა არამუსლიმანური რელიგიებისადმი. თურქების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ქრისტიანი და სხვა რელიგიის აღმსარებელი ხალხი ძირითადად ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებისა და პრივილეგიების მიღებისათვის იღებდნენ მუსლიმანობას (თუმცა ზოგჯერ ძალადობაც არ იყო გამორიცხული). რესპუბლიკის პირველ წლებში ოფიციალურად აიკრძალა არათურქულ ენაზე ლაპარაკიც კი და გამოცხადდა, რომ „თურქეთი თურქების ქვეყანაა“, ასეთი დევიზი დღესაც აქვს წამძღვარებული გაზეთ „ჰურიეთს“. ამიტომაც არის, რომ თუ ოსმალეთის დროს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი თავის ენაზე ლაპარაკობდა, თანამედროვე თურქეთში კი, გარდა ქურთებისა, თითქმის ყველა

სხვა ეროვნების ხალხი მხოლოდ თურქულად მეტყველებს. მაგრამ თუ თურქულ ენაზე ლაპარაკობ, ე. ი. თურქობას აღიარებ, მაშინ წარმომავლობა (ქართველობა, ქურთობა, ჩერქეზობა და ა. შ.) ხელს არ შეგიშლის სახელმწიფო იერარქიაში ნებისმიერი პოსტის დაკავებაში. ხომ ცნობილი ფაქტია, რომ ათათურქის შემდეგ პრეზიდენტებს შორის უდიდეს პატივს მიაგებენ ქურთული წარმომავლობის მქონე თურგუთ ოზალს, ჩილერის მთავრობაში ყოფილ პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი სამი წლის განმავლობაში ეკავა ქურთ ჰიქმეთ ჩეთინს, არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გიურეში ჩეჩენია, ახლო წარსულში მთავრობის ორი მინისტრი ქართველი იყო და ა. შ. ასე, რომ ადამიანის ნიჭი და უნარი თურქეთში დაუფასებელი არ რჩება.

საბჭოთა პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვლაპარაკობდით ინტერნაციონალურ აღზრდაზე, მაინც იყო ხალხთა დაპირისპირება, ვინაიდან, მეტისმეტად ხაზგასმული იყო ეროვნება. მაშინ, როდესაც თურქეთში, განსაკუთრებით ქალაქებში, ყველა თურქულად მეტყველებს, ჩვენთან პატარა დაბებშიც კი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები მოგხვდებათ თვალში, კიდევ მეტი, საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთ არაქართველს სიტყვაც არ ესმის ქართული და ზოგჯერ უპატივცემულობასაც კი იჩენს ქართულისადმი, ეს იმის შედეგია, რომ ეროვნულ სკოლებში არასწორად გვაქვს დაყენებული არაქართველი ბავშვის აღზრდა. შეიძლება თურქეთის მოქალაქეობის მაგალითი ჩვენ არ გამოგვადგეს, მაგრამ ეროვნულ სკოლებში უთუოდ სავალდებულო უნდა გავხადოთ ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის სწავლება. ვინც ქართულ ენას საფუძვლიანად არ დაეუფლება, სიმწიფის ატესტატი არ უნდა მიეცეს. ერთი სიტყვით, საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქე უნდა ფლობდეს ქართულ ენას. სხვანაირად არაქართველს ვერ აღვზრდით საქართველოს პატრიოტ მოქალაქედ.

დასასრულ იმასაც ვიტყვით, რომ თანამედროვე თურქეთში, დემოკრატიზაციის განვითარების კვალობაზე, ისტორიის არაობიექტურად წერას არადემოკრატიულად აღიქვამენ და ცდილობენ თურქეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ მცდარი, დამახინჯებული და არასწორი შეფასებების გასწორებას.

30 აგვისტო-ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთის გამარჯვების დღე

თურქეთი ყოველი წლის 30 აგვისტოს ზეიმით აღნიშნავს ინტერვენტების წინააღმდეგ გამარჯვების დღეს.

როგორც ცნობილია, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთი გერმანია-ავსტრია-უნგრეთის მხარეზე იბრძოდა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის ბლოკის ე. წ. ანტანტის ქვეყნების წინააღმდეგ.

1913 წ. ოსმალეთის ხელისუფლების სათავეში მოექცა „ახალგაზრდა თურქების" ორგანიზაცია სამეულის: ენვერ ფაშას, ჯემალ ფაშასა და თალათ ფაშას ხელმძღვანელობით. ისინი გერმანიის მეშვეობით ცდილობდნენ პანთურქისტული იდეების განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, კავკასიისა და შუა აზიის თურქულენოვანი და მუსლიმანური მოსახლეობის შემოერთებით. 1914 წლის 11 ნოემბერს ოსმალეთის მთავრობამ საღვთო ომი (ჯიჰადი) გამოუცხადა ანტანტის ქვეყნებს და გამოაცხადა ტოტალური მობილიზაცია, მილიონობით ადამიანი ჯარში იქნა გაწვეული, მაგრამ თურქეთი ამ ომში დამარცხდა. აღმოსავლეთ ანატოლიაში რუსეთმა ხელთ იგდო ერზრუმი და ტრაპიზონი, ხოლო დასავლეთში ინგლისმა და საფრანგეთმა დაიმორჩილეს ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ყველა არაბული ქვეყნის ტერიტორია. მძიმე ზარალი მიადგა ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. ორჯერ და მეტჯერ შემცირდა ნათესი ფართობი და პირუტყვი, მილიონობით გლეხი გაღატაკდა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი

ნაწილი შიმშილობდა. ოფიციალური ცნობით თურქეთმა ომში დაკარგა 500 000-მდე კაცი. ხალხში და არმიაში დაიწყო უკმაყოფილება „ახალგაზრდა თურქების“ პოლიტიკის გამო. დაიწყო დეზერტირობა, არ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე, ადგენდნენ პარტიზანულ რაზმებს, ჩეტეებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ გერმანელ ჯარისკაცებს და კლავდნენ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებას ჰქონდა ომიდან გამოსვლის შესაძლებლობა, მაგრამ გერმანიასთან ერთად რუსეთს თავს მოახვიეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და დაიწყო ინტერვენცია კავკასიაში, რაც კიდევ უფრო ძვირად დაუჯდათ „ახალგაზრდა თურქებს“. ომში დამარცხებისა და ქვეყნის გაჩანაგების გამო ხალხის რისხვით შეშინებული „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობა იძულებული შეიქმნა საზღვარგარეთ გაქცეულიყო. შედგენილი იქნა ახალი მთავრობა, რომელმაც 1918 წ. 30 ოქტომბერს მუდროსში ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას.

აღნიშნული ხელშეკრულებით ოსმალეთის მთავრობა სრულ კაპიტულაციას აცხადებდა ანტანტის წინაშე. მოკავშირეებმა ჯარი შეიყვანეს სრუტეებზე და კონტროლს დაუქვემდებარეს თურქეთის მთავრობა. მუდროსის ხელშეკრულების დადების შემდეგ ანტანტის ქვეყნები არ დაკმაყოფილდნენ ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების დანაწილებით და დაიწყეს თვით თურქეთის ტერიტორიის დანაწილებაც, დაიკავეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლია, კილიკია და იზმირის ნავსადგური, აიღეს ქალაქი სამსუნიც, აღნიშნულმა ვითარებამ იმოქმედა თურქი ხალხის ეროვნულ გრძნობებზე, რამაც საბოლოო ჯამში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება გამოიწვია.

1919 წლის 19 მაისს სტამბოლიდან სამსუნში ჩამოვიდა გენერალი მუსტაფა ქემალი და სათავეში ჩაუდგა პარტიზანულ მოძრაობას. პარტიზანულმა მოძრაობამ მუსტაფა ქემალ ფაშას მეთაურობით ორგანიზებული ხასიათი მიიღო და მოიცვა მთელი ანატოლია.

1919 წლის ივლისის ბოლოს ერზრუმში მოწვეულ იქნა აღმოსავლეთი ანატოლიის კონგრესი, ხოლო 1919 წლის 4 სექტემბერს ქ. სივასში „თურქეთის ხალხთა უფლებათა დაცვის კონგრესი", რომელმაც გააერთიანა მთელი თურქეთის პატრიოტული ძალები და განსაზღვრა მისი ამოცანები. 1920 წლის 28 იანვარს სტამბოლში მოწვეული იქნა პარლამენტის სხდომა. მან მიიღო ნაციონალური აღთქმა, რომელიც მოითხოვდა თურქეთის დამოუკიდებლობას მის ეთნოგრაფიულ საზღვრებში. ამან ანტანტის ქვეყნების უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებსაც სურდათ არამარტო ოსმალის იმპერიაში შემავალი ქვეყნების, არამედ თვით თურქეთის დანაწილებაც. 1920 წლის 16 მარტს დესანტი გადმოსხეს სტამბოლში, პარლამენტი გარეკეს და დეპუტატების ნაწილი მალტაში გაასახლეს.

1920 წლის 23 აპრილს ოკუპანტების მიერ გარეკილი პარლამენტის ნაცვლად ნაციონალისტებმა ანკარაში მოიწვიეს ახალი პარლამენტი, რომელმაც მიიღო თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელწოდება. 3 მაისს მეჯლისმა შეადგინა ახალი მთავრობა. ანკარაში მთავრობის შედგენით თურქეთში ფაქტიურად ჩამოყალიბდა ორხელისუფლებიანობა.

ანკარის ეროვნული მთავრობის შექმნის შემდეგ თურქეთის ხალხი სულ უფრო ერთიანდებოდა დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, რაც საფრთხეს უქმნიდა ანტანტის ქვეყნების გეგმას თურქეთის დანაწილების შესახებ. ამიტომ ანტანტა შეუდგა თავისი გეგმის პრაქტიკულად განხორციელებას, რისთვისაც გადაწყვიტა პირველ რიგში ანკარის აღება. ეს მისია იკისრა საბერძნეთის მთავრობამ.

1920 წლის ივნისის ბოლოს საბერძნეთის არმიამ შეტევა დაიწყო თურქეთის წინააღმდეგ. მოახდინა აღმოსავლეთი ფრაკიის ოკუპაცია, ხელთ იგდო ედირნე და დასავლეთით მდებარე ზოგიერთი ქალაქი, მაგრამ საბერძნეთის არმია თურქი პარტიზანების მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ ანტანტის ქვეყნებმა შეიმუშავეს კაბალური საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც

ჯერ სანრემოში განიხილეს, ხოლო შემდეგ კი 1920 წლის 10 აგვისტოს, ქალაქ სევრში სულთნის მთავრობას ხელი მოაწერინეს მასზე. სევრის საზავო ხელშეკრულების თანახმად, სტამბოლი და სრუტეები გადადიოდა საერთაშორისო შერეული კომისიის ხელში.

სირია, ლიბანი და ტუნისი საფრანგეთის კუთვნილება ხდებოდა.

საუდის არაბეთი, ერაყი, პალესტინა, კვიპროსი, სუდანი და ეგვიპტე გადადიოდა ინგლისის მფლობელობაში.

იზმირი, ფრაკია და კუნძულები საბერძნეთს მიეკუთვნა.

რიზე, ტრაპიზონი, მუში ბინგიოლი, ერზინჯანი სომხეთს ეძლეოდა და ყალიბდებოდა ე. წ. დიდი სომხეთის სახელმწიფო. მუღლა, ანთალია, კონია, ბურსა, აფიონი იტალიას ეძლეოდა.

1920 წლის 24 სექტემბერს ოსმალეთსა და სომხეთს შორის ატეხილი ომის გამო ამიერკავკასიაში რთული ვითარება შეიქმნა: ოსმალეთის ჯარმა სომხეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო და საქართველოს საზღვრებსაც მიუახლოვდა. საქართველოც დღე-დღეზე მოელოდა თავდასხმას (ქვეყანაში მობილიზაციაც კი გამოცხადდა), ქემალ ათათურქმა თავისი წარმომადგენელი გაგზავნა თბილისში და საქართველოს ახლად შექმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლებას ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების წინადადება შესთავაზა. საქართველომ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მიიღო თურქეთის ახალი მთავრობის წინადადება და თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად (ელჩად) თურქეთში გაგზავნა ცნობილი კომუნისტის ბუდუ მდივნის ძმა სვიმონ მდივანი (ქართველი მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება ასეთი ცნობის მიწოდებაც: 1920-21 წლებში ორივე ძმა ანკარაში ელჩად მუშაობდა: ბუდუ მდივანი — რსფსრ-ს, ხოლო სვიმონ მდივანი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა). სამწუხაროდ, სულ მალე საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და საკმაოდ დიდი დროით გადაიდო დიპლომატიური ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის.

1921 წლის ივლისში საბერძნეთის არმიამ თურქეთს ახალი ძალით შემოუტია, გადმოლახა მდინარე საქარია და ანკარას 75 კმ-ზე მიუახლოვდა. თურქეთის არმია მალე კონტრშეტევაზე გადავიდა და უკუაგდო ინტერვენტები საქარიის გაღმა. ამ ბრძოლას უშუალოდ ქემალი ხელმძღვანელობდა, რომელსაც ინტერვენტებზე გამარჯვებისათვის გამარჯვებულის ანუ გაზის სახელი და მარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება მიენიჭა. 1922 წლის აგვისტოს ბოლოს თურქეთის არმია გაშლილი ფრონტით გადავიდა შეტევაზე და უდიდესი გამარჯვება მოიპოვა მტერზე.

1922 წლის 11 ოქტომბერს მუდანთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერით დასრულდა თურქეთის ომი ინტერვენტების წინააღმდეგ.

1922 წლის 20 ნოემბერს ლოზანაში გაიხსნა საზავო კონფერენცია, რომელიც დამთავრდა საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით. ხელშეკრულებას ერთის მხრივ ხელს აწერდა თურქეთი, ხოლო მეორეს მხრივ – ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, საბერძნეთი, რუმინეთი და იუგოსლავია. 1923 წლის 6 ოქტომბერს ინტერვენტთა უკანასკნელმა ჯარისკაცმა დატოვა თურქეთის ტერიტორია.

1919-1923 წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომში გამარჯვებით თურქეთმა შეძლო იმ საზღვრების შენარჩუნება, რომელიც მან ანტანტის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში მოიპოვა.

1923 წელს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა და გაუქმდა სულთანატი და ხალიფატი, გატარდა მნიშვნელოვანი პროგრესული რეფორმები, რამაც თურქეთი ევროპული ყაიდის ქვეყნების რიგში ჩააყენა და დღეს სარგებლობს დიდი ავტორიტეტით ისლამურ სამყაროში.

ქემალისტების ბრძოლა თურქეთში ლაიცისტური დემოკრატიული რესპუბლიკის რეჟიმის დამყარებისათვის

1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთში ოფიციალურად შემოღებული იქნა რესპუბლიკური რეჟიმი, მაგრამ სინამდვილეში ქვეყანაში ახალ სახელმწიფოებრივ წყობილებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ანატოლიის ეროვნული მოძრაობის პერიოდში, 1919 წლის 1 აგვისტოდან, როცა ერზრუმის კონგრესმა აირჩია „წარმომადგენლობითი კომიტეტი", რომელიც ფაქტიურად ასრულებდა დროებითი მთავრობის ფუნქციას. რესპუბლიკური რეჟიმის შემოღების გზაზე პირველი დიდი ნაბიჯი იყო 1920 წლის 23 აპრილს ანკარაში დიდი ეროვნული კრების მოწვევა, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მუსტაფა ქემალი. კრებამ განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას თურქეთში, აქედან გამომდინარე, ხელში აიღო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციები.

მკითხველს შევახსენებ, რომ აღნიშნულ პერიოდში სტამბოლში პარალელურად არსებობდა სულთნის ხელისუფლება, რომელსაც არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა — იგი ოკუპანტთა ნება-სურვილის შემსრულებელი იყო მხოლოდ.

დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით თურქეთი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ რესპუბლიკური რეჟიმის შემოღების გზაზე, მაგრამ ომის მიმდინარეობის დროს ჯერ კიდევ ფორმალურად არსებობდა სულთნის და ხალიფის ინსტიტუტი. იურიდიულად ჯერ კიდევ მოქმედებდა 1876 წელს მიღებული ე. წ. მიდხადის კონსტიტუცია 1909 წლის შესწორებით.

გამათავისუფლებელი ომის წარმატებით დასრულების შემდეგ, 1922 წლის 1 ნოემბერს მუსტაფა ქემალმა დიდ ეროვნულ კრებას განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი სულთანატის გაუქმების შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროისათვის რესპუბლიკური რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალთა ზეგავლენა ჯერ კიდევ

ძლიერი იყო, არ იყო გამოცხადებული რა ფორმის მმართველობა იქნებოდა შემოღებული ქვეყანაში სულთანატის გაუქმების შემდეგ. სულთანატის გაუქმებასთან ერთად ქემალმა თავი შეიკავა აგრეთვე ხალიფატის გაუქმებისგანაც.

მუსტაფა ქემალი, როგორც მოსალოდნელი იყო, წინააღმდეგობას წააწყდა სასულიერო პირთა და სხვადასხვა ჯურის ოპოზიციონერ-რეაქციონერთა მხრიდან. ისინი აცხადებდნენ, რომ ხალიფატი არ შეიძლება სულთანატს გამოეყოს (სულთანატი ამავე დროს ხალიფატიც იყო). მუსტაფა ქემალი მაშინ იძულებული გახდა მუქარისათვის მიემართა. მან დეპუტატებს განუცხადა, რომ „სუვერენტიტეტი და ძალაუფლება ხალხის კუთვნილებას წარმოადგენს და მისი სხვაზე გადაცემა დისკუსიის გზით არ შეიძლება. ახლა ჩვენი ამოცანაა მომხდარი ფაქტის კონსტატირება მოვახდინოთ, თუ ამას თქვენ ვერ შეიგნებთ, სინამდვილე ადრე თუ გვიან მაინც თავს იჩენს, მაგრამ როგორც ჩანს, იგი უსისხლოდ არ მოხდება“. დეპუტატებმა ქემალის ასეთი მკაცრი განცხადების შემდეგ ერთხმად ხმა მისცეს პარლამენტში სულთანატის გაუქმების კანონპროექტს. ამრიგად, 1922 წლის 1 ნოემბერს მონარქია გაუქმებული იქნა. ყოფილი სულთნის — ვაჰიდ-ედ-დინის მაგივრად ხალიფად არჩეულ იქნა ოსმალეთის დინასტიის წევრი აბდულმეჯიდი.

მემარჯვენე ოპოზიციონერები: ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რეუფი, რიფათი, ქიაზიმ, კარაბექირი და სხვები ქემალის მიერ გატარებულ რადიკალურ ღონისძიებებს ნაადრევად თვლიდნენ, მაგრამ აშკარად ვერ ბედავდნენ გამოსვლას და კულისებში განაგრძობდნენ ბრძოლას. მიუხედავად ამისა, პროგრესული ძალები მუსტაფა ქემალის მეთაურობით უკან არ იხევდნენ და შეუპოვრად განაგრძობდნენ ქვეყნის რადიკალურად გარდაქმნისათვის დასახული გეგმის თანმიმდევრულად განხორციელებას.

1923 წლის 13 ოქტომბერს დიდმა ეროვნულმა კრებამ (პარლამენტმა) თურქეთის დედაქალაქად სტამბოლის ნაცვლად ანკარა

გამოაცხადა, ხოლო იმავე წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. პრეზიდენტად არჩეულ იქნა მუსტაფა ქემალ ფაშა, პრემიერ-მინისტრად – ისმეთ ინენიუ. რამდენიმე თვის შემდეგ, 1924 წლის 2 მარტს ხალიფათიც გაუქმდა. ხალიფა აბდულ მეჯიდმა (ისევე, როგორც ყოფილმა სულთანმა ვაჰიდ-ედ-დინმა) დატოვა თურქეთი და საზღვარგარეთ წავიდა.

1924 წლის 20 აპრილს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით თურქეთი ლაიცისტურ-დემოკრატიულ რესპუბლიკად, ანუ სახელმწიფოდ იქნა გამოცხადებული. გატარდა აგრეთვე მრავალი პროგრესული რეფორმება. იმავე წლის 8 აპრილს გაუქმდა რელიგიურ-შარიათულ კანონებზე აგებული სასამართლოები, ხოლო 1926 წელს აიკრძალა ორცოლიანობა და შემოღებული იქნა ქორწინების სამოქალაქო კოდექსი. დაიხურა რელიგიური სკოლა-მედრესეები და შემოღებული იქნა 5-წლიანი სავალდებულო სწავლება. 1929 წელს გაიხსნა აგრეთვე სახალხო სკოლები. წერა-კითხვის შესწავლისა და მოსახლეობის საერთო განათლების დონის ამაღლების მიზნით 1928 წლის 1 ნოემბერს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ლათინური ალფაბეტის შემოღების შესახებ, რაც 1929 წლიდან თურქეთის ცხოვრებაში მტკიცედ იქნა დანერგილი. როგორც ქემალ ფაშა მიუთითებდა, თუ ლათინური ალფაბეტის შემოღებამდე თურქეთში მოსახლეობის 91% წერა-კითხვის უცოდინარი იყო, 1936 წლისათვის ოფიციალური მონაცემებით მათი რიცხვი შემცირდა 50%-მდე. ერთიორად გაიზარდა აგრეთვე მოსწავლეთა რაოდენობა სკოლებში.

ქვეყანაში გაიშალა მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო შუასაუკუნეობრივი ადათ-წესების უკუგდებისა და ევროპული ცხოვრების წესზე გადასვლისაკენ. 1925 წელს აიკრძალა ფესები, მამაკაცებს სავალდებულოდ გაუხადეს შლიაპებისა და „შაპკების“ ტარება. 1934 წელს ქალებს კანონის ძალით აეკრძალათ ჩადრებით სიარული, სახელმწიფო დაწესებულებებში თავსაფრით გამოცხადება (აღნიშნული კანონი დღესაც ძალაშია). 1930 წლის

კანონით ქალებს მუნიციპალიტეტის, ხოლო 1934 წელს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცათ.

1934 წელს გაუქმდა აღის, ეფენდის, ფაშის წოდებები. მუსლიმანურ-რელიგიური კალენდრის მაგივრად შემოღებული იქნა ევროპული კალენდარი. გაჩაღდა სპარსული და არაბული ენების გავლენისაგან თურქული ენის გაწმენდისათვის ბრძოლა (ე. წ. „თურქიზაცია“).

1936-1937 წლებში ჩატარდა მიწის რეფორმა. უმიწაწყლო გლეხებს დაურიგდათ მიწა. მიწის რეფორმის ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან გლეხთა 50%, ხოლო ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთში – 75%, რეფორმის ჩატარებამდე უმიწაწყლოდ იყო.

აღნიშნულმა და სხვა პროგრესულმა რეფორმამ თურქეთი აშკარად დაიხსნა შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობისაგან და დააყენა იგი ევროპული განვითარების რელსებზე. პროგრესული ძალების გვერდით თურქეთში აქტიურად მოქმედებდნენ რეაქციული ძალებიც, რომლებმაც 1926 წელს ტერაქტი მოუწყვეს რესპუბლიკის პრეზიდენტს მუსტაფა ქემალს. ამ ინციდენტის ორგანიზატორები მხილებული და ლიკვიდირებული იქნენ.

რესპუბლიკური რეჟიმის მოწინააღმდეგე რეაქციული ძალები ქვეყანაში დღესაც ცდილობენ ჩარხის უკულმა დატრიალებას, შარიათული რეჟიმის აღდგენას და შუასაუკუნეობრივი ცხოვრების წესების დაბრუნებას. რეაქციული ძალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ 80-90-იან წლებში, როცა ასპარეზზე გამოჩნდა „კეთილდღეობის პარტია“ ნეჯმეთინ ერაბაქნის ხელმძღვანელობით. მისმა თანამოაზრეებმა თურქეთის სინამდვილეში შექმნეს ერთერთი მძლავრი პარტია (ოფიციალური მონაცემებით „კეთილდღეობის პარტიის“ წევრთა რაოდენობა 4 მილიონს აღემატება) და მოახერხეს 1995 წლის 25 დეკემბრის პალამენტის არჩევნებში 157 დეპუტატის გაყვანა 550 დეპუტატიდან, მაშინ როდესაც სწორი გზის პარტიამ (თ. ჩილერი) 135 დეპუტატი გაიყვანა მეჯლისში, დედასამშობლოს პარტიამ (ლიდერი მ. ილმაზი) – 126,

დემოკრატიულმა სოციალისტურმა პარტიამ – 75 (ლიდერი ბ. ეჯევითი), სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ (ლიდერი დ. ბაიკალი) – 49, დიდი ერთიანობის პარტიამ (ლიდერი მ. იაზიჯოღლი) –7.

რეფახისტებმა უკანასკნელ წლებში ტერაქტი მოუწყვეს ცნობილ ქემალისტებს – ულურ მუმჯუს, ონურ ქუთლიარს და სხვებს. თავდასხმა მოუწყვეს აგრეთვე პროგრესულ მოღვაწეს ათეშ თოქთამიშსაც, რომელიც შემთხვევით გადაურჩა დაღუპვას. 1996 წლის ივნისის თვეში, რეფახელები ხელისუფლებაშიც კი მოექცნენ სათავეში „სწორი გზის" პარტიასთან კოალიციის გზით. ერბაქანის მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აშკარად დაიწყო ქემალიზმის, ანუ ლაიცისტური რესპუბლიკური დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა.

რეფახელებმა დაიწყეს ქ. ათათურქის კრიტიკა, რამდენიმე ადგილას მისი ძეგლიც კი ჩამოაგდეს. მოითხოვდნენ ქემალ ათათურქის დროს გატარებული პროგრესული რეფორმების გაუქმებას ქვეყანაში. მომრავლდა ე. წ. ჰათიბის სკოლები (მედრესეები) და ყურანის შემსწავლელი კურსები.

გაზეთ „ჯუმჰურიეთის" ცნობით, რეფახელები საერო სკოლების და საავადმყოფოების ნაცვლად ჯამეებს აშენებდნენ. მაგალითად, ქ. სინჯაში, სადაც 3000 სულზე 1 სკოლა მოდის, რაფახელმა ბელედიე ბაშკანმა (მერმა) 38 ჯამეს საფუძველი ჩაუყარა. ერთ-ერთ სოფელში, სადაც 60 კომლი ცხოვრობს 64 ჯამე აშენდა.

ისლამისტები ისე გათავხედდნენ, რომ საზღვარგარეთ ჩამოაყალიბეს ემიგრანტული მთავრობაც, რომელიც მოითხოვდა სულთნისა და ხალიფის ინსტიტუტის აღდგენას, მაგრამ თურქეთის პროგრესული ძალები პრეზიდენტის – ს. დემირელის მეთაურობით წინ აღუდგა ერბაქანის მთავრობას რეაქციული მიზნების განხორციელებაში. რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამხედროებმა. 1997 წლის თებერვლის თვეში მოწვეულ იქნა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა ს. დემი-

რელის ხელმძღვანელობით (უშიშროების საბჭოს 9 წევრიდან 5 სამხედრო პირია, საბჭოს გენერალური მდივანიც სამხედრო პირია), რომელმაც განიხილა რეაქციასთან ბრძოლის აქტუალური საკითხი და მიიღო 28 მუხლისაგან შემდგარი ვრცელი დადგენილება-რეკომენდაცია. უშიშროების საბჭომ რეაქციასთან ბრძოლა ქვეყნის №1 ამოცანად გამოაცხადა. ერბაქანის მთავრობამ უგულებელყო ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება და თავისი რეაქციული კურსის განხორციელება განაგრძო, მაგრამ ს. დემირელისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ისმაილ ჰაქეი ქარადგის მიერ გამოჩენილმა პრინციპულმა პოზიციამ ქვეყანა იხსნა რეაქციული რეჟიმის დამყარებისაგან. 1997 წლის ივნისში ერბაქან-ჩილერის კოალიციური მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო. შედგა ახალი კოალიციური მთავრობა „დედა სამშობლოს" პარტიის ლიდერის მესუთ ილმაზის ხელმძღვანელობით. კოალიციურ მთავრობაში შევიდა აგრეთვე „დემოკრატიულ-სოციალისტური" პარტია (ლიდერი ბიულენთი ეჯევითი) და „თურქეთის დემოკრატიული პარტია" (ლიდერი ჰუსამეთინ ჯინდოროუქი). სახალხო რესპუბლიკური პარტია, რომლის ლიდერია დენიზ ბაიკალი, მთავრობაში არ შევიდა, მაგრამ მან აღნიშნულ კოალიციურ მთავრობას გარედან მხარდაჭერა აღუთქვა. კოალიციურმა მთავრობამ ილმაზის მეთაურობით ეროვნული ურთიერთობის საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე შეიმუშავა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ერბაქანის რეაქციული, ე. წ. „კეთილდღეობის პარტია" მალე კანონგარეშედ გამოაცხადა, ხოლო მის ლიდერს აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა, რაც ათათურქისტების დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეაქცია უკან მაინც არ იხევს, მათ „კეთილდღეობის პარტიის" მაგივრად ჩამოაყალიბეს „სათნოების პარტია", რომელსაც სათავეში ჩაუდგა „კეთილდღეობის პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი საჯაი ქუთანი. მცირე გამონაკლისის გარდა აკრძალული „კეთილდღეობის პარტიის" წევრები და ამ პარტიის

დეპუტატები გაერთიანდნენ „სათნოების პარტიაში“, ე. ი. ფორმა შეიცვალა, ხოლო შინაარსი იგივე დარჩა.

თურქეთში რეაქციული ძალების მზარდი ზრდით შეშფოთებულია დასავლეთის სამყაროც. უკეთებდა რა ანალიზს თურქეთში შექმნილ მდგომარეობას, ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი წერდა: „ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულმა თურქეთის ეროვნულმა სახელმწიფომ დიდ წარმატებებს მიაღწია, როგორც სტალინის დროს რუსეთში იყო, ასე თურქეთშიც ჯამეები დაიხურა და მათ მაგივრად სკოლები გაიხსნა, რომლებზეც სახელმწიფო კონტროლი დაწესდა, მაგრამ ახლა ქემალიზმის საწინააღმდეგოდ ისლამის რელიგია ახალ აღმავლობას განიცდის, ისლამისტები თანდათან მძლავრობენ. 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ლაიციზმმა რყევა დაიწყო“.

კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა გენერლებმა ისლამის რელიგიის სწავლება თავიდან დაიწყეს სკოლებში, რომლის მიზანი იყო ისლამის დანერგვით საზოგადოების სხვა მიმართულებით წაყვანა, მაგრამ იგი წარიმართა ქემალიზმის წინააღმდეგ. ლაიციზმმა, რომელსაც ისლამზე ჰქონდა დაწესებული კონტროლი, თანდათანობით დაკარგა ძალა, ახლა ისლამიზმი აღზევებას განიცდის. ქემალიზმიც თანდათან კითხვის ქვეშ დგება. მომძლავრდა ათათურქის კრიტიკა (გაზეთი „ჯუმჰურიეთი“).

ისლამის აღზევებამ არა მარტო თურქეთში ქემალისტები, არამედ ნატოს ხელისუფლებაც აღაშფოთა, „ნატოს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ასეთ შეფასებას აძლევს: „საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კომუნიზმის საფრთხე სამყაროს უკვე აღარ ემუქრება, ახლა ახალი საფრთხე წარმოიშვა, კომუნიზმის ადგილი რადიკალურმა ისლამმა დაიკავა“.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ისლამისტური რეაქციული ძალების მძლავრობის მიუხედავად მაინც ჯერ კიდევ ქვეყანაში ქემალისტები მოსახლეობის 60-65%-ს შეადგენს. ამიტომ თუ ისინი რეაქციის წინააღმდეგ უკომპრომისოდ იბრძოლებენ და არავითარ დათმობას არ ექნება ადგილი ამ საკითხში, როგორც ეს

ნათქვამია ეროვნული უშიშროების საბჭოს 1998 წლის 28 მარტ-ის რეკომენდაციებში, რესპუბლიკური პროგრესული ძალების საბოლოო გამარჯვება რეაქციაზე გარდაუვალი იქნება.

თურქი ხალხის მამა

თურქეთი ყოველწლიურად 10 ნოემბერს აღნიშნავს თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის სახელმწიფოს პირველი პრეზ-იდენტის მუსტაფა ქემალ-ფაშას ხსოვნის დღეს. თურქმა ხალხმა ქვეყნის წინაშე გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის მას თურქი ხალხის მამა – ათათურქი უწოდა, ხოლო მტერზე გამარჯვებისა-თვის – გაზი, ანუ გამარჯვებული.

გაზი მუსტაფა ქემალ-ფაშა ათათურქი დაიბადა 1881 წელს თურქეთის ევროპულ ნაწილში – სელანიკში. მან სამხედრო განა-თლება მიიღო და გამჭრიახი გონების წყალობით გენერლობამდე ამაღლდა.

თურქიზმის იდეებით გაბრუებულმა ოსმალეთის მაშინდელმა მთავრობამ, რომელსაც ტრიუმვირატი – ენვერ-ფაშა, ჯემალ-ფაშა და თალაათ-ფაშა ხელმძღვანელობდა, ქვეყანა პირველ მსოფლიო ომში ჩააბა ანტანტის ქვეყნების (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი) წინააღმდეგ, იმ მიზნით, რომ რუსეთის იმპერიის დამარცხებისა და დაშლის შემთხვევაში შუა აზიისა და კავკასიის თურქულ და ისლამურ ქვეყნებს თურქეთი დაეუფლებოდა. მოხდა კი პირიქით, ანტანტის ქვეყნებმა გაიმარჯვეს, თურქეთი და მისი მოკავშირეები კი დამარცხდნენ (რუსეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომში, მარ-თლაც ცოტა ხნით დაიშალა, მაგრამ იგი ბოლშევიკებმა ისევ აღადგინეს).

ანტანტამ ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი სტამბული აიღო და შეუდგა თვით ანატოლიის დანაწილებას. ასეთ ვითარებაში ქე-მალ ათათურქი 1919 წელს სათავეში ჩაუდგა თურქეთის ერო-

ვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას და ბრწყინვალედ გაიმარჯვა კიდეც. თურქეთის არმიამ ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით 1922 წლის 30 აგვისტოს უკანასკნელი აგრესორი გააძევა სამშობლოდან და ოსმალეთის დაშლილი იმპერიის ნანგრევებზე ჩამოაყალიბა თურქეთის ახალი სახელმწიფო, რომელიც 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთის მეჯლისმა რესპუბლიკად გამოაცხადა, ქვეყნის პირველ პრეზიდენტად კი ქემალ ათათურქი აირჩია. ჯერ კიდევ ომის მიმდინარეობის პროცესში, 1920 წლის აპრილში, თურქეთში მოეწყო პარლამენტის – თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა არჩევნები, ხოლო 1922 წელს სულთანატი გაუქმდა და თურქეთში ფაქტობრივად რესპუბლიკური რეჟიმი დამყარდა. ოფიციალურად თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა 1923 წლის 29 ოქტომბერს (ეროვნული დღესასწაული). 1924 წელს მეჯლისმა (დიდმა ეროვნულმა კრებამ) ხალიფატიც გააუქმა. იმავე წელს მიიღეს კონსტიტუცია, რომლის თანახმად თურქეთში ლაიცისტურ-დემოკრატიული რეჟიმი შემოიღეს. მართალია – თურქეთის ლაიცისტურ რესპუბლიკად გამოცხადების მუხლი კონსტიტუციაში უფრო გვიან – 1937 წელს შეიტანეს, მაგრამ ათათურქის მიერ ჩამოყალიბებულმა სახალხო რესპუბლიკურმა მმართველმა პარტიამ, რომელიც 1923 წელს დაარსდა, თავის პროგრამაში თურქეთის შარიათის კანონებით მართვის პრინციპი ლაიციზმით შეცვალა.

თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკური სახელმწიფო შეუდგა ქემალ ათათურქის მიერ დაარსებული პარტიის დასახული პროგრამის განხორციელებას, რომელიც თურქეთს უსახავდა ექვს ამოცანას, ანუ პრინციპს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ლაიციზმის პრინციპი იყო, რომელმაც ქვეყანა ევროპულ ცივილიზაციას აზიარა.

თანამედროვე თურქეთში რელიგიური რიტუალების შესრულება სავალდებულო არ არის. ქალი თავისუფალია, ე. ი. ცხოვრობს თანამედროვე ევროპულ ყაიდაზე. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თურქეთის ქალაქისა და სოფლის ყოფა ძალიან

განსხვავებულია. ზოგიერთ სოფელში ქალი ისევ შუასაუკუნეობრივი ყოფით ცხოვრობს, მათი 30 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. ოჯახშიც დაბეჩავებულ მდგომარეობაში არიან. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით ძალუმად იგრძნობა ქვეყნის აღმოსავლეთ ვილაიეთებში, სადაც მოსახლეობის 30 პროცენტი ღარიბად ცხოვრობს და თანამედროვე ცივილიზაციისაგან ძალიან შორს დგას.

აღსანიშნავია, რომ ქემალ ათათურქის ინიციატივით თურქეთმა დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოს, ახლად შექმნილ დამოუკიდებელ რესპუბლიკასთანაც.

1921 წლის 8 თებერვალს ათათურქმა თავის კაბინეტში მიიღო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში სვიმონ მდივანი და მას ასეთი სიტყვით მიმართა: „ჩვენ საქართველოსთან გვაერთიანებს არა მარტო სიმპათია, არამედ მიზნის ერთიანობაც. გვყავს ძლიერი მტერი – დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი, განსაკუთრებით – ძლიერი კავკასია და კავკასიაში ყველაზე ძლიერი ერი – ქართველები. ჩვენ გვჭირდება ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო“.

დემოკრატიული საქართველოს მაშინდელი საელჩო ორი კაცისგან შედგებოდა – სვიმონ მდივანთან ერთად ამ საქმეს უძღვებოდა დიმიტრი შალიკაშვილი (ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მალხაზ შალიკაშვილის მამა).

სამწუხაროდ, საქართველომ მალე დაკარგა დამოუკიდებლობა და რუსეთის ფედერაციის, მოგვიანებით კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა. თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობა განახლდა 73 წლის შემდეგ – 1994 წლის 9 მაისს ანკარაში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩო გაიხსნა. ელჩად დაინიშნა აკადემიკოსი ნოდარ კომახიძე. პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა საქართველოს ელჩთან შეხვედრისას ჩვენს ქვეყანას ძმური ქვეყანა უწოდა („კარდეშ იულქე“). ამ სტრიქონების ავ-

ტორს, რომელიც რწმუნების სიგელის გადაცემის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა, წილად ხვდა ბედნიერება – უშუალოდ მოესმინა პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები.

ათა-თურქის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საუბრისას მკითხველს გვინდა ვუამბოთ ათათურქის პირადი ცხოვრების ზოგიერთ მხარეზეც.

ქემალ-ფაშა ათათურქი საშუალო ტანის კაცი იყო. უყვარდა ელეგანტურად ჩაცმა-დახურვა. საზეიმო დღეებში ფრაკსაც იცვამდა და ბაფთასაც იკეთებდა ყელზე. უყვარდა ბალებისა და სასიამოვნო შეხვედრების მოწყობა, ამხანაგურ წრეში სასიამოვნო საუბრებში ღამის თენება. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ პირადი ცხოვრება არ ჰქონდა მოგვარებული – ქორწინებას მისთვის ბედნიერება არ მოუტანია. ბიოგრაფების გადმოცემით ძლიერ უყვარდა ულამაზესი ფიქრიე და ეს სიყვარული ცოლთან მისი განშორების საბაბი გახდა.

ლატიფემ (ქემალის მეუღლე) როცა გაიგო ამ სასიყვარულო რომანის შესახებ, ვერ აპატია მეუღლეს ღალატი და გასცილდა მას. ათათურქს სხვა ცოლი აღარ შეურთავს, ლატიფესაგან კი შვილი არ ჰყოლია და ასე უშვილოდ გადაეგო ამქვეყნიდან. გადმოცემით, ათათურქი ძალიან განიცდიდა უშვილობას, მაგრამ ახლობლები ანუგეშებდნენ: „მთელი თურქეთი შენი შვილიაო“.

ფიქრიემაც, რომელიც ძალიან უყვარდა ათათურქს, თავი მოიკლა, ამან ათათურქი უსაზღვროდ დაამწუხრა და გააუბედურა. პირად ცხოვრებაში განცდილმა უბედურებამ და ღვიძლის დაავადებამ იმსხვერპლა იგი.

გადმოცემის მიხედვით, ფიქრიე დასაფლავებულია ანკარაში. ულუსის სასაფლაოზე, სადაც ახლა ცხენზე ამხედრებული ათათურქის ძეგლი დგას. ცხენის აწეული ფეხი ფიქრიეს დასაფლავების ადგილს მიანიშნებდაო, – წერენ მისი ბიოგრაფები. მოგვიანებით ულუსი ქალაქის ცენტრად იქცა და ქალაქის მაშინდელი სასაფლაოც გაუქმდა. დაიკარგა ფიქრიეს საფლავიც.

ათათურქი სტამბოლში გარდაიცვალა, 1938 წლის 10 ნოემბერს, 57 წლის ასაკში. თურქმა ხალხმა მისი ნეშტი ანკარაში გადმოასვენა და დიდებული ძეგლი დაუდგა - აუშენა მავზოლეუმი. ათათურქის საფლავზე 40-ტონიანი მასიური ვარდისფერი მარმარილოს ქვა დევს, იქვეა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მუზეუმი, სადაც სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები ქედს იხრიან თურქი ხალხის დიდი მოამაგის წინაშე.

20 ნოემბერი, 1996 წელი

ქემალიზმის პრიზისი თურქეთში

1922 წელს ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ლიდერმა გაზი მუსტაფა ქემალ-ფაშა ათათურქმა ანტანტის ქვეყნებზე გამარჯვების შემდეგ თურქეთში სულთანატი გააუქმა და რესპუბლიკური რეჟიმი დაამყარა. 1923 წელს მან დააარსა სახალხო რესპუბლიკური პარტია. პარტიის პროგრამა, რომელიც მისი ხელმძღვანელობით შეიმუშავეს, 6 ძირითადი ამოცანის (პრინციპის) შესრულებას ისახავდა მიზნად. ეს პროგრამა ისტორიაში შევიდა 6 ისრის სახელწოდებით. ამიტომაც სახალხო რესპუბლიკური პარტიის ემბლემად 6 ისარი მიიღეს.

პირველ პრინციპად მიიჩნიეს ქვეყანაში სახელმწიფო სექტორის უპირატესი განვითარება, სხვანაირად იგი სტატიზმის პრინციპითაც არის ცნობილი.

მეორე პრინციპი ლაიციზმია – სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფა და ქვეყანაში ოლიგარქიული (რელიგიური) ხელისუფლების ნაცვლად საერო ხელისუფლების შექმნა.

მესამე პრინციპია ნაციონალიზმი, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კონგლომერაციას და თურქული ერის ჩამოყალიბებას.

მეოთხე – რესპუბლიკანიზმი, ანუ რესპუბლიკური იდეების დაცვა-განვითარება.

მეხუთე – რევოლუციურობა, ანუ რევოლუციური მონაპოვრის დაცვა-განმტკიცება.

მეექვსე პრინციპი, რასაც პროგრამა ისახავდა მიზნად, ეს იყო ხალხურობა. ამ პრინციპის მიხედვით, ხელისუფლებას უნდა ეზრუნა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ჩამოთვლილი პრინციპების შესრულებით ქვეყანაში სრულიად ახალი – ქემალისტური რეჟიმი დამყარდა. ამიტომაც იგი ისტორიაში ქემალისტური რეჟიმის, ანუ ქემალიზმის სახელწოდებით შევიდა.

სახალხო რესპუბლიკური პარტიის პროგრამის პირველი პრინციპის – დეველეთჩილიქის (სახელმწიფო სექტორის უპირატესი განვითარება) განსახორციელებლად თურქეთში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. აშენდა სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნები, მოხდა ქვეყნის მნიშვნელოვანი სიმდიდრის ნაციონალიზაცია (მთამადნეული საბადოების, ტყეების, გზების, ბანკების და სხვა მნიშვნელოვანი დარგებისა). ქვეყნის ეკონომიკის თითქმის 70 პროცენტი გადავიდა სახელმწიფოს ხელში. უმეტესი სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე სამედიცინო დახმარება სახელმწიფოს ხელში მოექცა. სწავლა და სამედიცინო სამსახური უფასო გახდა.

როგორც წესი, სახელმწიფო სექტორში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებელი ბინებით, ე. წ. ლოჟმანებით და ერთჯერადი კვებით, რაზეც მინიმალურ თანხას იხდიდნენ.

მაგრამ 80-იანი წლებიდან მდგომარეობა შეიცვალა. იწყეს კერძო სექტორის უპირატესი განვითარება და სახელმწიფო სექტორის შეზღუდვა, ხოლო 1994 წელს ჩილერის მთავრობამ მეჯლისს მიაღებინა პრივატიზაციის კანონი და დასახული პროგრამის მიხედვით ქვეყანა თანდათან გადაჰყავდათ კერძო საკუთრების რელსებზე. უნდა ითქვას, რომ პრივატიზაციის კანონის გატარებას

თურქეთში ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ესენი იყვნენ სახელმწიფო მოღვაწეები, პარტიები, მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც აწყობდნენ საპროტესტო დემონსტრაციებს, მაგრამ თურქეთის მეჯლისში დიდი კამათის შემდეგ საბოლოოდ მაინც მიიღეს პრივატიზაციის კანონი. შედგა პრივატიზაციის პროგრამა, რომლითაც ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგები თანდათანობით უნდა გადავიდეს კერძო სექტორში (და არა ისე, როგორც ჩვენთან მოხდა, სადაც ერთი ხელის დაკვრით ყველა დარგის პრივატიზება მოახდინეს).

ასე რომ, ფაქტობრივად უარყვეს ქემალისტური პროგრამის ძირითადი პრინციპი სახელმწიფო სექტორის უპირატესი განვითარების შესახებ. თითქმის ასეთივე ბედი ეწია ლაიციზმის პრინციპსაც. ქემალ ათათურქისა და მისი ერთგული მიმდევრების დროს თურქეთში არც ერთი მეჩეთი არ აშენებულა, გაუქმდა მედრესეები, რელიგია გამოეყო სახელმწიფოს, რელიგიური კანონები შეიცვალა სამოქალაქო კანონებით, რელიგიური რიტუალების შესრულება სავალდებულოდ არ იქნა მიჩნეული, აიკრძალა მრავალცოლიანობა, ქალმა მიიღო პოლიტიკური უფლებები.

80-იანი წლებიდან კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ბოლო 15 წლის განმავლობაში თურქეთში 170.000 მეჩეთი აშენდა და როგორც რელიგიის საქმეთა მესვეური ნილმაზი აცხადებს, თურქეთში ახლა ყოველ 6 საათში ერთი მეჩეთი შენდება. შემოიღეს ისლამის სწავლების გაკვეთილები. თითქმის ყველგან გახსნეს ყურანის შემსწავლელი კურსები. ასე რომ, ისლამისტებმა სერიოზული მატერიალური და სულიერი ბაზა მოამზადეს თურქეთში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კეთილდღეობის პარტიის ლიდერმა ერბაქანმა, რომელიც ისლამისტად გვევლინება, ბოლო არჩევნებში გაიმარჯვა. ერბაქანი მიზნად ისახავს თურქეთში არსებული რეჟიმის შეცვლას, მუსლიმანურ სამყაროში ფულის ერთეულად დინარის შემოღებას, მუსლიმანური ნატოსა და მუსლიმანური იუნესკოს დაარსებას. თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია ლაიცისტური თურქეთი მომავალში ფუნდამენტალური ისლამის ბურჯი გახდეს.

სახალხო რესპუბლიკური პარტიის მიერ გამოცხადებული მესამე ნაციონალიზმის პრინციპის განხორციელების შედეგად თურქეთში მცხოვრებ 70-ზე მეტი ეროვნების ხალხი თურქებად იქნენ გამოცხადებული. სხვა ეროვნების ხალხის არსებობა გამორიცხეს. 80-იანი წლებიდან, ქურთების მიერ ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ ვითარება შეიცვალა, თუმცა ხელისუფლება ამ მოძრაობაში მონაწილე ადამიანებს ტერორისტებად ნათლავს და მათ სასტიკად ებრძვის.

ქურთების ეროვნულმა მოძრაობამ ხელისუფლებას თვალი აუხილა. აღმოჩნდა, რომ თურქეთში თურქების გარდა სხვა ეროვნების ხალხებიც ყოფილან, რომლებსაც სურთ დამოუკიდებლობა და საკუთარ ენაზე სწავლა-განათლების მიღება. ამიტომაც ნაციონალიზმის პრინციპიც თითქმის უარყვეს. ხელისუფლება ახლა საჯაროდ აცხადებს, რომ თურქეთი მრავალეროვანი ქვეყანაა და ხატოვნად წერენ, – „თურქეთი ხალხთა მოზაიკაა“.

სახალხო რესპუბლიკური პარტიის მეოთხე პრინციპსაც – რესპუბლიკურობასაც სერიოზული საშიშროება ემუქრება. ერბაქანის ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის ახლანდელი ქემალისტური რეჟიმი შეიცვლება. კეთილდღეობის პარტიის ლიდერი – 72 წლის ნეჯმეთინ ერბაქანი რომ ქემალისტურ რეჟიმს შეცვლის ისლამისტური რეჟიმით, ამას არც მალავს. ამიტომაა, რომ თურქეთის პროგრესული პოლიტიკური მოღვაწეები შეშფოთებული არიან. დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის ლიდერის, ბიულენთ ეჯევითის თქმით, „ათათურქის მიერ დაარსებული დემოკრატიულ-სოციალისტური თურქეთის რესპუბლიკა საფრთხეშია“.

რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, კარგი დღე არ დაადგება ქემალიზმის მეხუთე პრინციპსაც – რევოლუციურობის პრინციპს.

რაც შეეხება ხალხურობის პრინციპს, ერბაქანი ხალხს კეთილდღეობას ჰპირდება, თუ როგორ განახორციელებს ამ დაპირებას ეს მომავლის საქმეა.

როგორც ფაქტებიდან ჩანს, ქემალიზმი თურქეთში სერიოზულ კრიზისს განიცდის. ახლა მთავრობის კრიზისია. წამყვანი პარტიის ლიდერები დიდი ხანია მსჯელობდნენ მთავრობის შედგენის თაობაზე. ძირითადად დავა მიმდინარეობს პრემიერ-მინისტრის პოსტისათვის. ჭეშმარიტების პარტიის ლიდერი თანსუ ჩილერი და დედასამშობლოს პარტიის ლიდერი მეჰსუდ ილმაზი ვერ შეთანხმდნენ. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს ერბაქანსა და მეჰსუდ ილმაზს შორის. არ არის ძნელი იმის პროგნოზირება, რომ ერბაქანი აღმოჩნდება პრემიერ-მინისტრის პოსტზე, რასაც თურქეთისთვის ბევრი გაუთვალისწინებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

23 მარტი, 1996 წელი.

თურქეთის ახალი მთავრობა

მიმდინარე წლის 18 ივნისს, ერბაქანის მთავრობის გადადგომის შემდეგ, პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა მთავრობის შედგენა დაავალა არა პრემიერ-მინისტრს – თანსუ ჩილერს, არამედ დედასამშობლოს პარტიის – „ანაფის“ ლიდერს – მესუთ ილმაზს.

შევნიშნავ, რომ არსებული წესით პრეზიდენტი მთავრობის შედგენას ავალებს იმ პარტიის ლიდერს, რომელიც მეჯლისში უფრო მეტი დეპუტატითაა წარმოდგენილი. მეჯლისში წარმოდგენილი პარტიებიდან ყველაზე მეტი დუპუტატი „რეფახის“, ანუ კეთილდღეობის პარტიას ჰყავს – მას 154 საკარძელი უკავია.

„სწორი გზის“ პარტია იყო რიგით მეორე პარტია, რომელსაც მეჯლისში მნიშვნელოვანი რაოდენობის დეპუტატი ჰყავდა – მას 140 დეპუტატის საკარძელი ეკავა.

ილმაზის პარტია კი მეჯლისში წარმოდგენილი იყო 135 დეპუტატით და ამ მხრივ მას მესამე ადგილი ეჭირა. და მაინც, როგორც აღვნიშნეთ, ს. დემირელმა მთავრობის შედგენა ილმაზს დაავ-

ალა იმიტომ, რომ „სწორი გზის“ პარტიის ლიდერმა პრესტიჟი შეილახა ერბაქანთან კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებით და როგორც თურქეთის პრესა იუწყება, ფინანსურ მაქინაციებში ხელის გასვრით.

ერბაქანის პარტია, განსხვავებით თურქეთის სხვა პარტიებისაგან, არსებული რეჟიმის რადიკალურ შეცვლას მოითხოვდა. თავისი მრწამსით იგი დაკავშირებული იყო რეაქციულ მუსლიმანურ სამყაროსთან. მისი მცდელობით ქვეყანაში მომრავლდა რელიგიური სკოლები და ე. წ. ყურანის კურსები. ამით დასავლურ ყაიდაზე გადასულ სახელმწიფოს ისევ მიაქანებდა შუასაუკუნეობრივი ცხოვრებისაკენ. ლაიცისტური რესპუბლიკური რეჟიმი უნდა შეეცვალა შარიათული რეჟიმით.

ამიტომ იყო, რომ თურქეთის პროგრესული საზოგადოებრიობა დაირაზმა ერბაქანის მთავრობის წინააღმდეგ.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა არმიამ, რომლის ხელმძღვანელობა პირდაპირ აცხადებდა, რომ ბოლომდე უერთგულებდა ქემალ ათათურქის დემოკრატიულ ლაიცისტურ პრინციპს.

ლომის წილი უდევს აგრეთვე, სულეიმან დემირელსა და თურქეთის პრესას, რომლებიც ლაიცისტური რეჟიმის მტკიცე დამცველებად გამოვიდნენ.

მიმდინარე წლის 28 აპრილს ეროვნული უშიშროების საბჭომ, რომლის თავმჯდომარე გახლავთ სულეიმან დემირელი, პრინციპულად განიხილა ერბაქანის მთავრობის რეაქციული კურსის საკითხი.

არმიის გენერალურმა შტაბმა რეაქციასთან მებრძოლი ჯგუფიც ჩამოაყალიბა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე (რომელიც, როგორც თურქეთის პრესა აღნიშნავს, უპრეცედენტო იყო – იგი 9,5 სთ-ის განმავლობაში მიმდინარეობდა) განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სავალდებულო 8-წლიანი განათლების სისტემის შემოღების საკითხს.

თურქეთში არსებული მოქმედი კანონით მხოლოდ 5-წლიანი ანუ დაწყებითი განათლებაა სავალდებულო ბავშვებისათვის. მედრესეების მომრავლება და განსაკუთრებული აქცენტი სასულიერო სწავლებაზე საფრთხეს უქმნიდა ლაიცისტურ რეჟიმს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსწავლეებს რელიგიურ სკოლებში ფიცს ადებინებდნენ, რომ ისინი იბრძოლებდნენ ათათურქიზმის წინააღმდეგ (ფიცის ტექსტი თურქეთის პრესაში გამოქვეყნდა).

თუ ასე გაგრძელდებოდა, მედრესეებში აღზრდილი კადრები 2005-2010 წლებისთვის ბოლოს მოუღებდნენ ათათურქის რეჟიმს თურქეთში. მთავრობასა და ოპოზიციას შორის ძირითადი ბრძოლა წარიმართა 1997-1998 სასწავლო წლიდან 8-წლიანი სავალდებულო განათლების შემოღების საკითხზე.

ერბაქანის მთავრობამ ვერც ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პროგრამა შეასრულა. პირიქით, იგი ხალხს ატყუებდა, რომ მისმა მთავრობამ ბოლო წლების განმავლობაში პირველად მიაღწია ბალანსირებული ბიუჯეტის შედგენას. სინამდვილეში კი, როგორც მეჯლისის სხდომაზე მესუთ ილმაზმა განაცხადა, ერბაქანის მთავრობას ბიუჯეტში გარღვევა აღმოაჩნდა – 7 კვატრილიონი ლირა.

ოპოზიცია მტრულად იყო განწყობილი აგრეთვე პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერისადმი მთავრობის სათავეში ყოფნისას დაშვებული საფინანსო მაქინაციების გამო. კერძოდ, ოპოზიცია და თურქეთის პრესა მას ბრალს სდებდა დიდი რაოდენობით ე. წ. ფარული თანხის მითვისებაში (არსებული წესით ფარული თანხის სახელმწიფოებრივი დანიშნულებისათვის გამოყენების უფლება მხოლოდ პრემიერ-მინისტრს აქვს).

თანსუ ჩილერის მიმართ სხვა უფრო სერიოზული პრეტენზიებიც აქვს ოპოზიციას. მას ბრალს სდებენ მაფიასთან კავშირურთიერთობაში და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჯაშუშობაშიც.

1996 წელს სამხრეთ ანატოლიაში სუსურლუქთან მომხდარი ავტოავარიის დროს დაიღუპა ორი ადამიანი. მათ შორის აღმოჩნდა 17 წელიწადს ძებნილი მაფიოზი ვინმე ჩათლი, რომელსაც თან ახლდა მეჯლისის დეპუტატი და მილიციის ოფიცერი (დეპუტატი გადარჩა), აი, სწორედ აქედან დაიწყო ძიება – რატომ აღმოჩნდნენ ერთ მანქანაში მაფიოზი, ხელისუფლების წარმომადგენელი და პოლიციელი. ატყდა სკანდალი, რამაც მეჯლისი აიძულა სუსურლუქის ამბის შესწავლისათვის გამოეყო სპეციალური კომისია. გადადგა პოლიციის ყოფილი მინისტრი მემედ აღარი. კომისიამ თითქოს დაამთავრა კიდეც სამუშაო, მაგრამ ერბაქანის მთავრობამ იგი რატომღაც მეჯლისის სხდომაზე არ გამოიტანა.

ერბაქანის მთავრობამ საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც რეაქციული კურსი აიღო – მან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა შარიათული რეჟიმით ცნობილ და ფუნდამენტალისტურ ისლამისტურ ქვეყნებთან.

აღნიშნული მიზეზების გამო დემირელმა მთავრობის ჩამოყალიბება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიანდო არა ჩილერს, არამედ მესუთ ილმაზს.

12 ივლისს ჩატარდა მეჯლისის სხდომა, რომელმაც განიხილა მესუთ ილმაზის მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის გამოცხადების საკითხი.

მეჯლისმა 550 დეპუტატიდან 281 დადებითი ხმით ნდობის ვოტუმი გამოუცხადა მესუთ ილმაზს, რომელიც ახალ მთავრობას ჩაუდგა სათავეში.

ოპოზიციის გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშეს „სწორი გზის“ პარტიიდან გასულმა დეპუტატებმა, რომლებმაც მესუთ ილმაზს მისცეს ხმა.

ახალი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შევიდა „დედასამშობლოს“ პარტია (ლიდერი მესუთ ილმაზი), დემოკრატიული სოციალისტური პარტია (ლიდერი ბიულენთ ეჯევითი) და დემოკრატიული თურქეთის პარტია (ლიდერი ნეჯიმეთინ ჯინდორუქი). სახალხო რესპუბლიკური პარტია, რომლის ლიდერია დენიზ ბაიკალი, კოალიციურ მთავრობაში არ შევიდა, მაგრამ იგი თავისი პოლიტიკით ამ მთავრობას უჭერს მხარს.

15 ივლისს ახალი მთავრობის შემადგენლობა თავის სასახლეში მიიღო ქვეყნის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა, რომელიც მიესალმა მათ და წარმატებები უსურვა საქმიანობაში.

31 ივლისი, 1997 წელი.

თანამედროვე თურქეთი: კაპიტალიზმის ფუძ-ჩრდილები

საბჭოთა პროპაგანდა ათწლეულების მანძილზე გვიმტკიცებდა, რომ კაპიტალისტური რეჟიმი ქაოსური რეჟიმია, და რომ კაპიტალიზმის დროს ცხოვრება მოუწესრიგებელია.

თურქეთში ცხოვრებამ კი საპირისპიროში დამარწმუნა – კაპიტალიზმი მოუწესრიგებელი სულაც არ არის, უფრო მეტიც, ცხოვრების ზოგიერთი სფერო იქ ბევრად უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალიზმის დროს. წინამდებარე სტატია, ბუნებრივია, კაპიტალისტური რეჟიმის ანალიზს არ ისახავს მიზნად. ჩვენი მიზანია თურქეთის ცხოვრების მაგალითზე მომსახურების სფეროში ჩავახედოთ მკითხველი და დავარწმუნოთ ჩვენს მიერ ზემოთ ნათქვამის სისწორეში.

ავიღოთ, მაგალითად, მომსახურების ისეთი სფერო, როგორიც პურით ვაჭრობაა. პური იყიდება ყველგან, პურის საცხობი ფირმების მიერ დაწესებული ერთიანი ფასით. არც ერთი შემთხვევა არ არის ანკარაში, იმისა, რომ სხვადასხვა მაღაზიაში სხვადასხვა ფასებში იყიდებოდეს პური. მართალია, ფულის ინფლაციის შესაბამისად პურის ფასიც იცვლება, მაგრამ მისი შეცვლა მხოლოდ ფირმების ხელმძღვანელობის საერთო გადაწყვეტილებით ხდება. თვითნებური ფასების დაწესება გამორიცხულია, მას აკონტროლებენ ფირმისა და ბელედიეს (მუნიციპალიტეტის) საკონტროლო ორგანოები.

ავიღოთ ტრანსპორტით მომსახურების სფერო. მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო ტრანსპორტის უმრავლესობა კერძოა, მგზავრების გადაყვანის ფასები აქაც მოწესრიგებულია, ფასებს სატრანსპორტო ფირმები აწესებენ და მძღოლები მხოლოდ იმდენს ახდევინებენ მგზავრებს, რამდენიც დაკანონებულია. მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ტრანსპორტის მფლობელ მძღოლს მგზავრისაგან თუნდაც ერთი გროში ზედმეტი აეღოს. ტაქსზე მრიცხველია დამონტაჟებული და მძღოლი მხოლოდ მითითებულ თანხას იღებს. რასაკვირველია, არიან არაკეთილსინდისიერი მძღოლებიც, რომლებიც უმეტესად უცხოელების „გაცურებას“ ცდილობენ, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევაა. ქალაქში ბევრი ტაქსია. იმისათვის, რომ ძალიან არ მომრავლდეს კერძო მანქანებით მომსახურების მსურველთა რაოდენობა, აქაც წესი და რიგია დაწესებული. საკუთარი მანქანით მომსახურების მსურველმა მოქალაქემ განაცხადი უნდა შეიტანოს ტაქსების ფირმის ხელმძღვანელობაში. ფირმა გადაღებავს ავტომანქანას ყვითლად (ანკარაში ტაქსი მხოლოდ ყვითელი ფერისაა), მრიცხველს დაამონტაჟებს და აღრიცხვაზე აიყვანს. ტაქსის მფლობელი ვალდებულია ფირმას გადაუხადოს დაწესებული რაოდენობის გადასახადი, ფირმა კი თავის მხრივ ვალდებულია სახელმწიფოს გადაუხადოს კუთვნილი გადასახადი.

არავითარი ქაოსი არ არის ტრანსპორტის მოძრაობაშიც. ეს ხდება მკაცრად განსაზღვრული მარშრუტის შესაბამისად.

შესაფერისი წესრიგია მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაყვანის საქმეშიც. მოსწავლეთა მშობლებს წინდაწინ შეაქვთ დაწესებული თანხა ფირმაში, იგი ბავშვებს გამოუყოფს მანქანას, რომელსაც დილით სკოლაში მიჰყავს ისინი, საღამოს – სახლში.

თურქეთში სასადილოს გახსნის უფლება ყველას არა აქვს. აქაც წესი და რიგია დაწესებული. ამ საქმის წამოწყების მსურველმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტს, რომლის სათანადო განყოფილება შეისწავლის სასადილოს გახსნის მიზანშეწონილობას და სათანადო ნებართვას მისცემს. განაცხადში მითითებული უნდა იყოს, თუ რა კერძები დამზადდება სასადილოში და მიუთითებს ფასებსაც კი. მუნიციპალიტეტის მი-

ერ დამტკიცებული ფასების გაზრდის შემთხვევაში სასადილოს მფლობელს სასჯელი ედება. ამის გამოა, რომ იმ სასადილოებში, სადაც ამ სტრიქონების ავტორს უსადილია, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა იმისა, რომ პრეისკურანტში ნაჩვენებ თანხაზე მეტი აეღოთ.

აღსანიშნავია, რომ სასადილოებს აკრძალული აქვთ ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა და ამას ძალიან მკაცრად აკონტროლებენ ხელისუფლების ორგანოები. თუ ალკოჰოლიანი სასმელის გაყიდვის ერთი შემთხვევაც იქნება, დაუყოვნებლივ დახურავენ სასადილოს. ალკოჰოლიანი სასმელები მხოლოდ ზოგიერთ პრესტიჟულ რესტორანში იყიდება, ამიტომაა, ანკარის ქუჩებში მთვრალ კაცს ვერ ნახავ, საერთოდ, ქუჩაში მთვრალი გამოსვლა სირცხვილადაა მიჩნეული.

დავუბრუნდეთ ისევ მომსახურების სფეროს.

მაღაზიებში საკვები პროდუქტები ძირითადად დაწესებულ ფასებში იყიდება. იშვიათად ვინმემ ზედმეტ ფასებში გაყიდოს. სამრეწველო საქონელზე გამყიდველი იმ შემთხვევაში დაუკლებს ფასს, თუ მას ფირმისაგან უკვე შესყიდული აქვს საქონელი და ფასდაკლებით გაყიდვის შემთხვევაშიც მოგების გარკვეული თანხა რჩება. თუ ფირმა თავის კუთვნილ საქონელს ყიდის, გამყიდველს არც ფასდაკლებით გაყიდვის უფლება აქვს, არც ფასმომატებით.

როცა კაპიტალიზმის ნაკლოვანებაზე ვლაპარაკობთ, ძირითადად სამედიცინო მომსახურების სფეროს უნდა შევეხოთ. თურქეთში სამედიცინო მომსახურების ფასები ძალიან მაღალია (ასეა ჩვენთანაც). წამლები მაღალ ფასებში იყიდება, შეღავათი აქვთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც დაზღვეულნი არიან, მაგრამ თურქული პრესის მიხედვით, დაზღვეულ პირთა რიცხვი ძალზე მცირეა — მხოლოდ 4 218 000 ადამიანია დაზღვეული. ამიტომ მოქალაქეთა დიდი ნაწილი სამედიცინო მომსახურების გარეშე რჩება, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების თანხის გადახდის საშუალება არ გააჩნიათ. ამიტომ არის, რომ პრესის ფურცლებზე ხშირად ნახავთ ასეთ განცხადებებს: ვყიდი თირკმელს (ან სხეულის სხვა ნაწილს) იმისათვის, რომ აღებული თანხის საფასურით ქმარი, ცოლი ან შვილი გადავარჩინო და ა. შ.

ბოლო დრომდე თურქეთში სამედიცინო დაწესებულებებში ადგილზე მომსახურება უფასო იყო, პრივატიზაციის კანონის მიღების შემდეგ კი სამედიცინო მომსახურება ფასიანი გახდა.

ერთიცაა — ფასიანი მომსახურება მაღალ დონეზეა. მაგალითად, „სევგის“ საავადმყოფოში ძალიან მკაცრი კონტროლია დაწესებული მედპერსონალის მუშაობაზე, სანიტარიულ ნორმებზე. არსებობს თანამშრომლის შტატი, რომელსაც მხოლოდ მედპერსონალის მუშაობაზე კონტროლის გაწევა აქვს დავალებული, იგი ყოველდღიურად ხვდება პაციენტებს, რათა გაარკვიოს მათი პრეტენზიები მედპერსონალის მიმართ. საყვედურის შემთხვევაში ექიმს (ან სხვა მუშაკს) მოეხსნება ნახევარი ან მთელი თვის ხელფასი. ამიტომაა, რომ მედპერსონალი უნაკლოდ მუშაობს.

ასეთი მაღალი დონის სამედიცინო დაწესებულებების სამსახურით მხოლოდ მდიდარი ან დაზღვეული ადამიანები სარგებლობენ, ძირითადი მასა კი სამედიცინო მომსახურებას მოკლებულია, ან დიდი გაჭირვებით ღებულობს მას.

სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე სწავლა-განათლების სისტემაში. როგორც თურქული პრესა წერდა, თურქეთში 10 მილიონამდე ბავშვი წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო დიდ უმრავლესობას მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვს მიღებული.

ბოლო დრომდე თურქეთში სწავლება უფასო იყო, მაგრამ პრივატიზაციის კანონის მიხედვით განათლების დარგიც ფასიანი გახდა და თანდათან სულ უფრო ძვირდება. ამის გამოა, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა ხშირად აწყობს დემონსტრაციებს და მოითხოვს განათლების პრივატიზაციის კანონის გაუქმებას. ზოგჯერ უკიდურეს ზომებსაც მიმართავენ, რის გამოც სახელმწიფო სერიოზულ მატერიალურ ზარალს განიცდის. ძალიან ბევრი მოზარდი უსახსრობის გამო სკოლაშიც ვერ მიდის და იძულებულია თავისი შრომით ირჩინოს თავი.

ყოველივე ზემოთქმულს როცა ჩვენი ქვეყნის მაგალითს ვუპირისპირებ, აშკარა ხდება: სოციალიზმის დროს მოპოვებული დადებითი მიღწევები წყალში არ უნდა გადაგვეყარა, ცნობილი

გამოთქმისა არ იყოს „აბაზანიდან წყლის გადასხმისას ბავშვიც არ უნდა გადაგვეყოლებინა“. საჭირო იყო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დადებითი მხარეების კონვერგერაცია, ანუ მარტივად თუ ვიტყვით, მათი შერწყმა.

12 დეკემბერი, 1996 წელი.

ქურთები

ქურთების ძირითადი საცხოვრისი თურქეთია, სადაც 12 მილიონამდე ქურთი ცხოვრობს. ქურთებით კომპაქტურად დასახლებულია ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის 10 ვილაიეთი – აქიარის, მარდინის, შანლიურთას, გაზიანთეფის, დიარბაქირის, ვანის, ერზრუმის, ელიაზიგის, მალათიას და მუშის ვილაიეთები. ქურთები მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ირანსა და ერაყშიც (ხუთ-ხუთ მილიონამდე), 500000 ქურთი ცხოვრობს სირიაში, 300000-მდე კი – ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე – აზერბაიჯანში, შუა აზიის რესპუბლიკებსა და რუსეთში. 33000 ქურთი ცხოვრობს საქართველოშიც, უმთავრესად თბილისში. აქ ისინი იეზიდების სახელწოდებით არიან ცნობილი იეზიდური რელიგიის აღმსარებლობის გამო. მცირე რაოდენობით ქურთები ადრე აჭარაშიც ცხოვრობდნენ, უმთავრესად ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში, საიდანაც ისინი 1944 წლის ნოემბერში შუა აზიის რესპუბლიკებში გაასახლეს.

აჭარაში ქურთები მცირე აზიიდან ჩამოსახლდნენ პოლიტიკური მიზნით თურქ-ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ, დაახლოებით მე-16-17 საუკუნეებში. საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები ქურთები კი 1918-1919 წლებში ირანიდან არიან გამოქცეული. როგორც ცნობილია, ირანში წამყვან რელიგიას წარმოადგენს შიიტური მიმართულების ისლამი. ირანის მაშინდელი ხელისუფლება ვერ ეგუებოდა განსხვავებული რელიგიის

მქონე ქურთებს და სდევნიდა მათ. დღეს მსოფლიოში, სავარაუდოდ, 25 მილიონი ქურთი ცხოვრობს, თუმცა ქურთ მოღვაწეთა მონაცემებით ქურთული მოსახლეობა 40 მილიონს აღწევს.

ქურთები ინდოევროპული მოდგმის ხალხია და მიეკუთვნებიან ირანულ შტოს. ქურთული ენა რამდენიმე დიალექტისაგან შედგება, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია კურმანჩი და ზაზა. ქურთების მნიშვნელოვანი ნაწილი შიიტური მიმართულების მუსლიმანები არიან, მაგრამ მათ შორის არიან ალავიტები და სუნიტებიც. ქურთთა ერთ ნაწილს გააჩნია სრულიად განსხვავებული რელიგია, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლური, მუსლიმანური და ქრისტიანული რელიგიების ნარევს წარმოადგენს. მათი მთავარი ღმერთი მზეა – შემსი და მათ სცემენ თაყვანს. თითქმის ანალოგიურია იეზიდური რელიგიაც.

ქურთები მე-20 საუკუნემდე მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და სწავლა-განათლებისადმი დიდ მიდრეკილებას არ იჩენდნენ. პირველი ქურთული გაზეთი მხოლოდ 1898 წელს გამოვიდა ქაიროში. უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს ქურთების დიდი ნაწილი თანამედროვე ცივილიზაციას ნაზიარები ხალხია. მათ ცხოვრების ყველა სფეროში ჰყავთ გამოჩენილი ადამიანები. თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი თურგუთ ოზალი, რომელსაც თურქი ხალხი დიდ პატივს მიაგებს, ქურთი იყო. ქურთია პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი თანსუ ჩილერის მთავრობის დროს ჰიქმეთ ჩეთინი. მსოფლიოში ცნობილი მწერალიც იაშარ ქემალი და თურქეთის პოპულარული მომღერალი, კინორეჟისორი და კინომსახიობი იბრაიმ თათლი სერსიც ქურთები არიან.

ქურთები უძველესი ხალხია. ისინი მოხსენიებული არიან ძველ ასურულ და შუმერულ წყაროებში, და მაინც, მათ არასდროს ჰქონიათ დამოუკიდებელი სახელმწიფო, არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის სხვა ქვეყნების შემადგენლობაში ცხოვრობდნენ – ხან ირანელების, ხან არაბების, ხან მონღოლების და ხან კიდევ თურქ-სელჯუკების ბატონობის ქვეშ იყვნენ.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლა ქურთებმა მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყეს. 1908 წელს სტამბოლში ჩამოყალიბდა პირველი ქურთული საზოგადოება სეით აბდულა კადირის ხელმძღვანელობით. საზოგადოების მიზანი იყო ქურთული სახელმწიფოს დაარსება, ამ მიზნის განხორციელებით პირველ მსოფლიო ომში ოსმალების დამარცხების შემდეგ, 1920 წლის სევრის ხელშეკრულებით ქურთებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი ეძლეოდა, მაგრამ თურქეთში დაწყებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც მუსტაფა ქემალ ათათურქი ხელმძღვანელობდა, უზრუნველყო თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო ფარგლებში და ამის გამო ქურთებს ჩაეშალათ პირველი დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის გეგმა. ლოზანის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ქურთისტანი (ქურთებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორია) განაწილდა თურქეთსა და ირანს შორის. ქურთებს არც 1925-1930 და 1937 წლებში შეუწყვეტიათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლოზუნგით გამოვიდნენ ქურთები მეორე მსოფლიო ომის დროსაც, მაგრამ მას სერიოზული ხასიათი არ მიუღია.

ქურთების პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა ირანში 1941 წელს, იქ საბჭოთა არმიის ნაწილების შესვლის შემდეგ. მაგრამ ქვეყნიდან მათი გამოყვანისთანავე ირანის ხელისუფლებამ ქურთულ სახელმწიფოს ბოლო მოუღო, ხოლო მისი მეთაური – ყადი მამუდი ჩამოახრჩვეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყეს ჩრდილოეთით ერაყის ქურთებმაც. ამ ბრძოლას 1945 წლიდან სათავეში ჩაუდგა მოლა მუსტაფა ბარზანი. 1961 წლიდან ბრძოლამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო და ნაწილობრივ ქურთების გამარჯვებითაც კი დამთავრდა – ქურთებს ავტონომია მიანიჭეს. მაგრამ მალე მათ შინა კინკლაობა დაიწყეს: პირველობისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ „ქურთისტანის სამშობლოს მოყვარულთა პარტია“ თალაბანის ხელმძღვანელობით და „ქურთ-

ისტანის დემოკრატიული პარტია", რომლის ლიდერია მერსუთ ბარზანი. ქურთებს შორის შეუთანხმებლობითა და კონფლიქტით ისარგებლა ერაყის ხელისუფლებამ, 80-იან წლებში ახალი ძალით შეუტია მათ და საკმაოდ დიდი ზიანიც მიაყენა. საშინელ დღეში ჩავარდა ათასობით ქურთი ლტოლვილი. საქმეში ბაერო ჩაერია და ჩრდილოეთ ერაყში თავისი ჯარი – ე. წ. „სწრაფი რეაგირების ძალები" ჩააყენა, რომელიც ძირითადად ამერიკელი ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული. ეს ძალები აერთიანებდა აგრეთვე თურქეთის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს.

და მაინც, ქურთები აგრძელებენ ბრძოლას. ამ ბოლო დროს ანკარაში კიდევ ერთხელ მოეწყო დაპირისპირებული ძალების წარმომადგენელთა თათბირი, მაგრამ ძნელია თქმა, რამდენად რეალური და საიმედო იქნება ეს შეთანხმება, რადგან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბევრი ასეთი შეთანხმება დაირღვა.

1971 წელს თურქეთში ჩამოყალიბდა „ქურთისტანის კომუნისტური პარტია", რომელიც ხელისუფლებამ 1978 წელს ტერორისტულ ორგანიზაციად მონათლა და კანონგარეშედ გამოაცხადა. ამის გამო ეს ორგანიზაცია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და ნამდვილი ომი გამოუცხადა თურქეთის ხელისუფლებას.

ტერორისტულ ორგანიზაციად მონათლულ ქურთისტანის კომუნისტურ პარტიას სათავეში ედგა აბდულა ოჯალანი. ბრძოლა ათეული წლების მანძილზე გრძელდება და მან უკვე ათიათასობით სამხედრო და სამოქალაქო პირი იმსხვერპლა. ათასობით სოფელი გაპარტახდა, სკოლებისა და საავადმყოფოების დიდი ნაწილი უმოქმედოდაა. სეპარატისტები უმოწყალოდ ხოცავენ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ მოსახლეობას, მასწავლებლებსა და ექიმებს.

ამ ბოლო დროს ქურთებმა ახალი მეთოდებით დაიწყეს ბრძოლა. ახალგაზრდა ქალები (ე. წ. ცოცხალი ბომბი) ტანზე ბომბებს იკრავენ და ფეხმძიმე ქალის იმიტაციით შედიან პოლიციის უბნებში, ფეთქდებიან და ათეულობით პოლიციელს უსპობენ სიცოცხლეს. აღსანიშნავია, რომ „ცოცხალი ბომბების" უმრავლესობა 17-24 წლის ასაკის ქალიშვილები არიან.

ქურთი ტერორისტები არც მშვიდობიან მოქალაქეებს ინდობენ: აწყობენ ტერაქტებს, ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებენ მგზავრებით სავსე ავტობუსებს, რაც მოსახლეობის დიდ აღშფოთებას და პროტესტს იწვევს.

გარდა ქურთისტანის არალეგალური კომუნისტური პარტიისა, 1994 წლამდე თურქეთში მოქმედებდა ქურთების ლეგალური პარტია – ე. წ. დემოკრატიული პარტია, რომელსაც მეჯლისში ჰყავდა 6 დეპუტატი, მაგრამ ხელისუფლებამ ისიც უკანონოდ გამოაცხადა და მეჯლისის დეპუტატები ციხეში ჩასვა. პატიმარ დეპუტატებს შორის ერთი ქალია – ზანა, რომელიც ევროპის ზოგიერთმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მშვიდობისათვის მებრძოლად გამოაცხადა და სხვადასხვა სახის ლაურეატის წოდება მიანიჭა. მეორე ლეგალურად მოქმედმა პარტიამ – ქურთების სახალხო პარტიამ („ჰადეფი") მიმდინარე წელს ანკარაში ყრილობა მოაწყო, სადაც თურქების სახელმწიფოს ეროვნული დროშა ჩამოაგდეს და მის ნაცვლად ე. წ. ქურთული სახელმწიფო დროშა ჩამოკიდეს. ამ ფაქტმა დიდად აღაშფოთა თურქეთის საზოგადოება, რომელიც დიდ პატივს მიაგებს სახელმწიფო დროშას. თურქეთის პოლიციამ ეროვნული დროშის შეურაცხყოფისათვის 39 კაცი დააპატიმრა.

ქურთებმა სახელმწიფოს შექმნის გზაზე პირველი ნაბიჯებიც გადადგეს: ჰოლანდიაში ქურთული საზღვარგარეთული პარლამენტი ჩამოაყალიბეს, 1997 წელს კი ოსლოში (ნორვეგია) მოიწვიეს პარლამენტის VI სხდომა.

რას მოითხოვენ ქურთები?

ისინი მოითხოვენ ქურთულ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას, რადიო და ტელეგადაცემების მოწყობას, ბავშვებისათვის ქურთული სახელების დარქმევას, ქურთული ტოპონიმიკის აღდგენას, ქურთულ ენაზე წიგნების ბეჭდვას და სხვა. მით უმეტეს, რომ ქურთების დიდმა ნაწილმა განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებლებმა თურქული ენა არ იცის.

უნდა ითქვას, რომ ლაიცისტური დემოკრატიული პროგრამის განხორციელების შედეგად თურქეთი არაისლამური მონოთეისტური რელიგიებისადმი შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებს. მიმდ-

ინარე წელს თურქეთმა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამური რელიგიის აღმსარებელია, 5-მეტრიანი ძეგლი დაუდგა ქრისტეს დედას – მარიამ ღვთისმშობელს (როგორც ცნობილია, ღვთისმშობელი ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მცირე აზიაში გამოიქცა და სიცოცხლის ბოლო წლები აქ გაატარა. სხვათა შორის, ახლაც დგას ქვის სახლი, სადაც იგი ცხოვრობდა). ამ ფონზე ქურთთა მიმართ ქემალისტურ ნაციონალისტურ პოლიტიკას ზოგიერთი თურქი მოღვაწე არადემოკრატიულად მიიჩნევს.

მაგრამ თურქეთის ხელისუფლება არავითარ დათმობაზე არ მიდის და განაგრძობს ბრძოლას სეპარატისტების წინააღმდეგ. პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქურთებისათვის დამოუკიდებლობის მიცემა ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს და მაშინ თურქეთში მცხოვრები სხვა ხალხებიც იგივეს მოითხოვენ. შედეგად თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა დაიშლება.

თურქეთის ხელისუფლება ე. წ. ქურთული პრობლემის გადაჭრას გეგმავს ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიკური აღორძინების პროგრამის განხორციელებით. საქმე ის არის, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ვილაიეთები ძალზე ჩამორჩენილია თურქეთის დასავლეთ და ცენტრალურ ვილაიეთებთან შედარებით. როგორც თურქეთის გაზეთები წერენ, აქ მოსახლეობის 30 პროცენტი ძალზე ღარიბად ცხოვრობს, დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. ჯერ კიდევ სრულად არ არის აღმოფხვრილი ფეოდალური ცხოვრების წესები, ქურთებს შორის ორცოლიანობის ფაქტებიც ბევრია (მოსახლეობის 38 პროცენტი ორცოლიანია).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობას შედგენილი აქვს ე. წ. სამხრეთ-აღმოსავლეთის აღორძინების გრანდიოზული პროგრამა (გაფი), რომელიც ითვალისწინებს ამ რეგიონში 30 მილიარდი დოლარის დაბანდებას.

ამ პროგრამის განხორციელებით ქურთების ცხოვრება გაუმჯობესდება და თურქეთის დასავლეთისა და ცენტრალური ნაწილების მოსახლეობის ცხოვრების დონეს გაუთანაბრდება.

18 იანვარი, 1997 წელი.

ასეთი იყო მათი ხვედრი

ქალთა ემანსიპაციის საკითხისათვის თურქეთში

თურქეთში, განსაკუთრებით სოფლებში, ჯერ კიდევ შემორჩენილია ქალის გაყიდვის და ნათესავებს შორის ქორწინების მავნე წესი, რაც ზოგჯერ გამორიცხავს სიყვარულით დაქორწინებას. ჩემი დაკვირვებით (თურქ ახალგაზრდებთან საუბრით), ნათესავებს შორის ქორწინება მატერიალური მდგომარეობითაც არის ნაკარნახევი. ნათესავებს შორის ქორწინება უფრო იაფი ჯდება, ვინაიდან ფაქტობრივად ნათესავები ერთმანეთში ცვლიან ქალებს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მოქმედებს 1926 წლის კანონი მრავალცოლიანობის აკრძალვის შესახებ, სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიის მამაკაცების 38 პროცენტს ორ-ორი ცოლი ჰყავთ. ხოლო ერზრუმელ ვინმე აჯარს 5 ცოლი, 46 შვილი და 70 შვილიშვილი ჰყავს.

თურქეთში ძალიან გავრცელებულია ბავშვების ცემაც, რაზეც თურქულ პრესაში აღშფოთებით წერენ. ასეთი ფაქტების შემთხვევაში მიმართავენ გაეროს-ს დადგენილებას, რომელიც კრძალავს 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ცემას.

ქალისა და ბავშვების (მეუღლეებისა და შვილების) ცემის წესი უფრო სოფლებშია გავრცელებული, ქალაქელი ოჯახები შედარებით ცივილიზებული ცხოვრების წესს მისდევენ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქალებისადმი დამოკიდებულების საკითხში ძალიან დიდი კონტრასტები აღინიშნება. ანკარაში, სტამბოლში და ბევრ სხვა ქალაქში ქალების 25 პროცენტს საკუთარი ცხოვრება აქვს, თვითონ მართავენ საკუთარ ავტომობილს, იცვამენ მოდურად და საერთოდ არ განსხვავდებიან დასავლეთი ევროპის განვითარებული ქვეყნების ემანსიპირებული ქალებისაგან, მაგრამ ქალაქებში ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის დასაქმებული. გამოკითხულ დაუსაქმებელ ქალთა 86 პროცენტმა განაცხადა, რომ მას სახლში ჯდომას რომელიმე სფეროში მუშაობა ურჩევნია, მაგრამ ამის უფლებას ქმრები არ აძლევენ.

სოფლებში კი სულ სხვა სურათია. ქალების დიდი უმრავლესობა (თითქმის 100%) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებითაა დაკავებული და ფაქტობრივად ოჯახის მეურნეობასაც თვითონ წარმართავენ. სოფლის ქალები ქალაქელი ქალებისაგან ჩაცმა-დახურვითაც განსხვავდებიან. ისინი, როგორც წესი, თავდახურული დადიან, დიდი განსხვავებაა აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ოჯახებს შორის შვილის გაჩენის მხრივ – ქალაქებში მრავალშვილიანი ოჯახები თითქმის არ არსებობს, სოფლებში კი ასეთი ოჯახები მრავლადაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ თურქეთში, სტატისტიკის თანახმად, მოსახლეობის ყოველწლიური მატება ერთ მილიონ ადამიანზე მეტს შეადგენს, რაც დიდ პრობლემას უქმნის სახელმწიფოს. ამიტომ იყო, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა მოსახლეობას მოუწოდა გამრავლების შენელებისაკენ.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, თურქეთში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ქალთა ემანსიპაციის შემდგომი განვითარებისათვის. თურქეთში ფართოდ აღნიშნავენ სიყვარულის დღეს (14 თებერვალს), ქალთა უფლებების დაცვის დღეს (8 მარტს), დედის დღეს (14 მაისს), აცხადებენ წლის საუკეთესო დედას. მაგალითად, 1994 წელს წლის საუკეთესო დედად აღიარეს თურქეთის სახელგანთქმული მსახიობი ქალი ტურკან შორაი, რომელმაც 100 ფილმში შეასრულა მთავარი როლი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ყველგან, თურქეთშიც რელიგიის აღორძინების პროცესი მიდის, რაც ქალთა ემანსიპაციის დამაბრკოლებელ ფაქტორად შეიძლება გადაიქცეს. ანკარასა და თურქეთის მრავალ ქალაქში მატულობს თავდახურულ ქალთა რიცხვი. თუნდაც მცირედი, მაგრამ მაინც არსებობს რელიგიური პარტიის – რეფაჰელთა ხელისუფლებაში მოსვლის რეალური საშიშროება, რომლის ლიდერი ნექმეთინ ერბაქანი საჯაროდ აცხადებს, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქვეყანაში აღადგენს შარიათულ კანონებს, შეზღუდავს ქალთა უფლებებს, სამსახურში ქალებს არ დაუშვებს და ასე შემდეგ. აღსანიშნავია რომ ნ. ერბაქანის პარტიამ ბოლო ადგილობრივ

არჩევნებში ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია. მან 300-ზე მეტ ქალაქში თავისი რჩეულები გაიყვანა ქალაქის მერებად (ბელედიე ბაშქანი), მათ შორის ისეთ დიდ ქალაქებშიც, როგორიცაა ანკარა და სტამბოლი. იქ, სადაც ერბაქანის მომხრეები გავიდნენ ქალაქის მერებად, თავიანთ იდეებს პრაქტიკულად ახორციელებენ – ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ სფეროში რეფაჰელებს უფრო „მნიშვნელოვანი" ამოცანები აქვთ დასახული. პარტიის ლიდერი აშკარად აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იგი ერთ მუშტად შეკრავს მუსლიმანურ სამყაროს, შექმნის ნატოს მსგავს მუსლიმანურ ორგანიზაციას და დაუპირისპირდება ქრისტიანულ სამყაროს. ირანის ფუნდამენტალისტები კი უფრო შორს მიდიან, ისინი მოითხოვენ გაეროდან ყველა მუსლიმანური სახელმწიფოს გამოსვლას და ისლამური გაეროს შექმნას, რასაც როგორც აღნიშნულიდან ჩანს გარკვეულწილად იზიარებენ რეფაჰელებიც. შემთხვევითი არ არის, რომ ირანისა და საუდის არაბეთის ფუნდამენტალისტური, ისლამური ხელისუფლება, როგორც თურქული პრესა წერს, მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევს თავიანთ სულიერ ძმებს – რეფაჰელებს.

რეფაჰელების მოსვლა ხელისუფლებაში გამორიცხულად არ შეიძლება ჩაითვალოს იმის გამოც, რომ თურქეთში 80-იანი წლებიდან ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუსლიმანური რელიგიის აღორძინება. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში თურქეთში 170 ათასი ჯამე (მეჩეთი) აშენდა. საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღეს ისლამის სწავლება, გაიხსნა უამრავი ყურანის შემსწავლელი კურსი, ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ფუნდამენტალისტური ისლამისაკენ იხრება. 1980 წლის გადატრიალების ინიციატორებმა ქალთა პოლიტიკური ორგანიზაციებიც კი აკრძალეს. ეს აკრძალვები დღემდე ძალაშია. ფუნდამენტალისტები სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში თანდათანობით ფეხს იკიდებენ. თურქული პრესის მიხედვით, ისინი ჯარშიც მომრავლდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფუნდამენტალისტებმა (იგივე შარიათელებმა) 1993 წელს ქალაქ სივასში

ცოცხლად დაწვეს ლაიციზმის მომხრე 37 ადამიანი, რომლებიც ქალაქ სივასის ერთ-ერთ სასტუმროში კრებას ატარებდნენ. ასე რომ, რეფაჰის პარტიას საკმაო ძლიერი მატერიალური და სულიერი ბაზა გააჩნდა მეჯლისის არჩევნებში წარმატებისათვის და გაიმარჯვა კიდეც. აღსანიშნავია, რომ თურქეთში შარიათული კანონების აღდგენისათვის საკმაოდ ძლიერი ისლამური ორგანიზაციები მოქმედებენ საზღვარგარეთაც. ვინმე ჯემალეთინ კაფლანმა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობდა, თავისი თავი თურქეთის ჰალიფად გამოაცხადა. იგი 1996 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მან სიკვდილის წინ მისი შვილი გამოაცხადა ჰალიფად. ისლამური ფუნდამენტალისტები აქტიურად მოქმედებენ ეგვიპტეში და ალჟირშიც. ისინი მოითხოვენ ქვეყნის მართვას არა სახელმწიფო-საერო კანონებით, არამედ ყურანისა და შარიათული წესების საფუძველზე, რელიგიური რიტუალების სავალდებულო წესით შესრულებას, მრავალცოლიანობას; ისლამისტები განსაკუთრებით მოითხოვენ ქალთა თავისუფლების აღკვეთას, ალკოჰოლიანი სასმელის კატეგორიულ აკრძალვას, საერთო სკოლების ნაცვლად რელიგიური სკოლების შემოღებას, სანახაობა-გასართობი პროგრამების შემცირებას რადიო-ტელევიზიაში (როგორც ეს ირანში, საუდის არაბეთში და რიგ სხვა ქვეყნებშია ახლა).

არ გვინდა მკითხველი შეცდომაში შევიდეს – თურქეთი ათეისტური ქვეყანა არც აქამდე ყოფილა. თურქეთის მოსახლეობის 99% მუსლიმანია (გარდა სომხების, ბერძნებისა და ებრაელებისა), მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმანური რელიგიის ძირითად მოთხოვნებს ასრულებს: მარხულობენ, მიმართავენ წინადაცვეთას და ასრულებენ მსხვერპლშეწირვის (ყურბანის დაკვლის) წესსაც. შარშან, მაგალითად, თურქული პრესა აცხადებდა, რომ თურქეთში დაიკლა 4 მილიონი ცხვარი. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ძირითად წესს ასრულებენ აგრეთვე ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეებიც, მათ შორის პრეზიდენტი დემირელიც, მაგრამ ისლამისტური სახელმწიფოსაგან განსხვავებით მოდერნისტული ისლამური რელიგიის მიხედვით, რელიგიური რიტუალების შესრულება კანონით კი არ არის სავალდებულო, არამედ ნებაყ-

ოფლობითია. სასმელის მიღება დაშვებულია. არიან ისეთებიც, რომლებიც ღორის ხორცსაც მიირთმევენ. ზოგიერთები ყოველ-დღიურად ხუთჯერადი ლოცვის ნაცვლად მხოლოდ კვირაში ერთხელ – პარასკევ დღეს ლოცულობენ, ზოგიერთები არც მაშ-ინ ლოცულობენ. ქალს კანონი არ ზღუდავს ჩაცმასა და მოქმ-ედებებში, მამაკაცთან ურთიერთობაში ისინი თავისუფალნი არიან, მაშინ, როდესაც ისლამისტური რელიგიური წესით ქალს მამაკა-ცისათვის ხელის ჩამორთმევის უფლებაც კი არ აქვს.

თურქეთში მოსახლეობის 20%-მდე სუნიტური მიმართულების, ანუ ორთოდოქსი მუსლიმანები არიან. ხოლო მოსახლეობის 13%, ანუ დაახლოებით 20-25 მილიონი ადამიანი – ალავიტებია. ბუნე-ბრივია, ისმება კითხვა: რა განსხვავებაა სუნიტებსა და ალავი-ტებს შორის? როგორც ზემოთ ნაწილობრივ აღვნიშნე, სუნიტები, როგორც წესი, თავიანთ წინასწარმეტყველად, ანუ ფეიჰამბერად აღიარებენ და სცნობენ ისლამის რელიგიის დამაარსებელს – მუჰამედს. სუნიტი მუსლიმანის უპირველესი მცნებაა: „არა არის სხვა ღმერთი, გარდა ალაჰისა, ხოლო მუჰამედია მისი მოცი-ქული“. სავალდებულოა დღეში ხუთჯერ ლოცვა, რამაზნის დღე-ებში ერთთვიანი მარხვა, რომლის დროსაც დღის განმავლობაში არც ერთი სახეობის საჭმელისა და სასმელის მირთმევა არ შე-იძლება. ჭამა და წყლის დალევა შეიძლება მხოლოდ ღამის საა-თებში მთვარის ფაზით დაწესებული დროის ფარგლებში. ვაჟებს უნდა ჩაუტარდეთ წინადაცვეთა, რომელიც თურქეთში დიდი ზარ-ზეიმით ეწყობა. დაცული უნდა იყოს, მსხვერპლშეწირვის წესი. მუსლიმანმა ღარიბთათვის გაიღოს ზაქათი, ანუ სამოწყალო ფულ-ადი თანხა და ქონების უმნიშვნელო ნაწილი, დაბოლოს, სიცო-ცხლეში ერთხელ, თუ ამის საშუალება გააჩნია, მოინახულოს მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ქააბა და ჰაჯის წოდება მიიღოს. ეკრძალება სასმელის მიღება და ღორის ხორცის ჭამა, ქალებს კი სხეულისა და თმის გამოჩენა. ამიტომ შებურული უნდა გამოვ-იდნენ ქუჩაში, თუ ამის ნებაც ქმარმა დართო.

ალავიტები, ანუ მუჰამედის ბიძაშვილის, სიძისა და მეოთხე ჰალიფას – ალის მომხრეები კი, აღიარებენ რა მუჰამედს წინა-

სწარმეტყველად, ე. ი. ფეიჰამბერად, ყველაზე დიდ პატივს მაინც ალის მიაგებენ. ამიტომ ისლამის რელიგიის ამ მიმართულებამ მიიღო ალავიტების, ანუ ალის მომხრეთა სახელწოდება. ალავიტების რელიგიური რიტუალებიც განსხვავდება ორთოდოქსი სუნიტური რელიგიური რიტუალებისაგან. ალავიტებს ჯამე არ გააჩნიათ და არც დღეში ხუთჯერ ლოცვა არის სავალდებულო მათთვის. ისინი წელიწადში ერთხელ იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფად და დღესასწაულის მაგვარ ცერემონიალს აწყობენ. ამ დროს იმართება სადილიც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ალავიტებს ხოჯა არ ჰყავთ, მაგრამ ჰყავთ დედე, ანუ ბაბუა, რომელიც სიმბოლურად ასრულებს ხოჯის მაგივრობას. წინდაცვეთა ალავიტებისათვისაც სავალდებულოა. ალავიტების მარხვაც თავისებურია, ისინი უჭმელობით თავს არ იკლავენ, ოღონდ მარხვის დღეებში ეკრძალებათ წყლის დალევა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნებადართულია წვნიანის – ჩორბის მირთმევა, ოღონდ თავისებური წესით.

რაც მთავარია ალავიტური რელიგია ქალს ძალიან დიდ თავისუფლებას ანიჭებს.

გარდა ალავიტებისა, თურქეთში და სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში (ირანში, ერაყსა და სხვაგან) შიიტური მიმართულების მუსლიმანებიც არიან, შიიტური მიმართულების ისლამური რელიგია ახლოს დგას სუნიტური მიმართულების რელიგიასთან. შიიტებსაც აქვთ ჯამეები, ჰყავთ ხოჯები, მაგრამ სუნიტებისა და ალავიტებისაგან განსხვავებით, დიდ პატივს მიაგებენ მუჰამედის შვილიშვილის, – ალის შვილს, ჰუსეინს, რომელიც 682 წელს ალის მოწინააღმდეგეებმა მოკლეს ჰერბალაში. შიიტები ყოველწლიურად დიდი გლოვით აღნიშნავენ ჰუსეინის მოკვლასთან დაკავშირებულ დღეებს, 40 დღეს გლოვობენ. თურქეთში შიიტური მიმართულების მუსლიმანები ძალიან ცოტანი არიან, ხოლო ირანში – წამყვან სახელმწიფო რელიგიად არის აღიარებული.

აღნიშნულ რელიგიურ მიმართულებებს ასე ვრცლად იმიტომ შევეხეთ, რომ აღგვენიშნა – თურქეთში სუნიტური და ალავიტური მიმართულების მუსლიმანებს შორის სერიოზული წინააღმდეგობები არსებობს, მათ შორის ზოგჯერ შეტაკებებიც კი ხდება.

1996 წლის მარტში სუნიტებისა და ალავიტების შეტაკების დროს სტამბოლში დაიღუპა 18 მოქალაქე.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმანურ სამყაროში ერთი მხრივ, პროგრესული ცვლილებები ხდება, მოდერნიზაციას განიცდის რელიგია. იგი ფეხს უწყობს თანამედროვეობას, მაგრამ მეორე მხრივ, მძლავრობს ფუნდამენტალისტური მუსლიმანური მიმართულებაც, რომლის მიმდევრებიც ცდილობენ უკულმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. თავის მხრივ, ისლამის რელიგიაში არსებულ მიმართულებას საკმაოდ სერიოზული კორექტივები შეაქვს მუსლიმანურ სამყაროში.

ვფიქრობთ, მომავალი მაინც მოდერნიზებულ ისლამს — ლაიცისტურ თურქეთს ეკუთვნის.

3 თებერვალი, 1996 წელი

თურქეთის ბრიესა

თურქეთში მრავალი გაზეთი გამოდის, მაგრამ ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ „ჰურიეთი", „მილლიეთი", „ჯუმჰურიეთი", „საბაჰი", „თურქიე", „ზამანი", „გიუნაიდინი", „მეიდანი", „იენი იუზუილი" და სხვები. მათი ტირაჟი 200.000-დან 700.000-მდეა, მაგრამ 62-მილიონიან ქვეყანაში ეს მაინცდამაინც დიდი არ არის. მაგალითად, გაზეთი „თურქიე" 10-მილიონიან სტამბოლში საშუალოდ 250.000 ცალი იყიდება, ხოლო 3-მილიონიან ანკარაში — დაახლოებით 100.000 ცალი.

თურქული გაზეთები უპირველესად გამოირჩევიან მრავალგვერდიანობით. მაგალითად, გაზეთები „მილლიეთი", „ჰურიეთი", „საბაჰი" და სხვები 30 გვერდზე მეტს მოიცავენ. გაზეთის ყველა გვერდი, გარდა „ჯუმჰურიეთისა", ფერადი ფოტოსურათებითაა ილუსტრირებული. აღსანიშნავია, რომ გაზეთში, როგორც წესი, იბეჭდება წერილი ავტორის ფოტოსურათით, აგრეთვე ფოტოები

იმ ადამიანებისა, რომელთა შესახებ ავტორი წერს. თურქულ გაზეთებში სტატიებს უმეტესად მისი თანამშრომლები წერენ, იშვიათად იბეჭდება მკითხველის წერილი. გაზეთს ჰყავს ისეთი ავტორები, რომელთა წერილები ყოველდღიურად იბეჭდება. მაგალითად, გაზეთ „თურქიეში“ თითქმის ყოველდღე იბეჭდება გაზეთის საგარეო პოლიტიკის კომენტატორის ნეჯათ ოზფათურას წერილი; გაზეთ „საბაჰში“ – მემედ ალიბირანდის, ჰასან ჯემალის, ჟურნალისტი ქალის გიულერის და სხვათა წერილები.

თურქეთის პრესა ფართოდ აშუქებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, სპორტის, საყოფაცხოვრებო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ თურქული პრესისათვის დამახასიათებელია მრავალგვერდიანი, დიდი მოცულობის გაზეთების ბეჭდვა, ზოგიერთი გაზეთი მკითხველს დამატებებსაც სთავაზობს. მაგალითად, გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ მკითხველს დამატებით სთავაზობს 3 ჟურნალს: „ქითაბი“, „დერგი“ და „მეცნიერება და ტექნიკა“. გაზეთი „საბაჰი“ კი ყოველდღიური დამატების სახით მკითხველს აწვდის 4-8-გვერდიან „მელოდს“.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის გაზეთების დიდი ნაწილი მკითხველთა რიცხვის გაზრდის მიზნით მათ სთავაზობს უფასო ნივთებს დანა-ჩანგლის კომპლექტიდან დაწყებული, მსუბუქი ავტომანქანით დამთავრებული. ამისათვის გაზეთი მიმართავს ლატარიის თამაშს ან კუპონების ბეჭდვას. გარკვეული რაოდენობის კუპონის დაგროვების შემდეგ ქალაქებში მოწყობილ სპეციალურ პუნქტებში მკითხველებს უფასოდ ურიგებენ აღნიშნულ ნივთებს.

საშინაო პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მშრომელთა ეკონომიკურ ცხოვრებას. თურქული პრესის მიხედვით, თურქეთში მოსახლეობის 33,8% კარგად, 41,4% – საშუალოდ, ხოლო 18,8% – ანუ 12 მილიონამდე ადამიანი ცუდად ცხოვრობს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს თურქეთში ისე ცუდად ცხოვრობენ, რომ აღნიშნული კატეგორიის ხალხს ლუკმაპურის შოვნა უჭირდეს, თუმცა ხშირად ესეც არ არის გამორიცხული. ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე

განისაზღვრება ერთ სულ მოსახლეზე მიღებული შემოსავლით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თურქეთში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში მოდის 2.300 დოლარი, აქ განვითარებად ქვეყნებთან შედარებით ცხოვრების დონე მაღალია (ასეთ ქვეყნებში ძირითადი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მაქსიმუმ 80 დოლარს აღწევს), მაგრამ თუ შევადარებთ მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ნაწილდება 30.000 დოლარზე მეტი, მაშინ, რა თქმა უნდა, თურქეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალია. ქალაქის მოსახლეობის 60 პროცენტი საკუთარი ბინებითაა უზრუნველყოფილი, 40 პროცენტი კი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, გარდა ამისა, როგორც თურქული პრესა წერს, 10 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს გეჯეკონდუებში – უკანონოდ, მათ მიერ პრიმიტიულად აშენებულ სახლებში, სადაც ვერ სარგებლობენ ქალაქის კომუნალური მომსახურების ყველა სიკეთით (თურქეთში არსებული კანონის მიხედვით, თუ ადამიანმა ან ოჯახმა შეძლო ერთი ღამის განმავლობაში სახლის აშენება ხელისუფალთა შეუმჩნევლად და იქ დაიწყო ცხოვრება, ხელისუფლებას არ აქვს უფლება უკანონოდ აშენებული სახლი დაანგრიოს. ამიტომაც ასეთ სახლებს გეჯეკონდუ (ღამის სახლები) ჰქვია.

თურქეთის პრესის მიხედვით, მოსახლეობის 15 პროცენტი, ანუ 9-10 მილიონი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია. წერა-კითხვის უცოდინართა შორის ქალთა რაოდენობა 30 პროცენტს აღწევს, განსაკუთრებით სოფლად. მძიმეა ბავშვთა ხვედრიც. 14 წლამდე ასაკის 6 მილიონი ბავშვი ლუკმაპურისათვის მუშაობს და დაბალ ანაზღაურებას იღებს. შესამჩნევად დიდია უმუშევართა რიცხვიც. თურქული პრესის მიხედვით 1.700.000 ადამიანი უმუშევარია, ამდენივე – ნახევრად უმუშევარი. საშუალო ხელფასი დაახლოებით 15 მილიონ ლირას, ანუ 200 დოლარს შეადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 4-სულიან ოჯახს მხოლოდ გამოკვებისათვის თვეში სჭირდება 18 მილიონი ლირა, მაშინ გაჭირვებულთა საკმაო რაოდენობაა თურქეთში. განსაკუთრებით უჭ-

ირთ მუშა-მოსამსახურეებს, ამიტომაც ისინი ხშირად აწყობენ გაფიცვებს, დემონსტრაციებს და სხვა აქციებს ხელფასის გაზრდის მოთხოვნით. პრივატიზაციის კანონის მიღების შემდეგ პრივატიზებული ობიექტებიდან ხშირ შემთხვევაში ითხოვენ მუშა-მოსამსახურეებს. ამის გამო ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება კიდევ უფრო იზრდება და გამოდიან პრივატიზაციის კანონის გაუქმების მოთხოვნით. ხშირად მართავენ დემონსტრაციებს აგრეთვე სტუდენტებიც, რომლებიც მოითხოვენ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირის შემცირებას.

როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის პრესა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია სსრკ-ის ყოფილ თურქულენოვან რესპუბლიკებთან და კავკასიის მუსლიმან ხალხებთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის დამყარება და მათთან უფროსი ძმის — აღაბეის როლის შესრულება და თუ მოხერხდა, მათი რუსეთის ზეგავლენისაგან ჩამოშორებაც კი. მაგრამ რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ დაიშალა, ჯერჯერობით ადვილად არ ელევა ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებს და მაინც ცდილობს გავლენის სფეროში იყოლიოს ისინი.

თურქეთს არასასურველი ურთიერთობა აქვს ახლო აღმოსავლეთის ისეთ დიდ სახელმწიფოსთან, როგორიცაა ირანი. 1979 წელს ირანში ფუნდამენტალისტურმა ისლამისტებმა გაიმარჯვეს და ახლა ცდილობენ ანალოგიური რეჟიმის გავრცელებას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ისინი მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას უწევენ ერბაქანს და თურქეთის მიმართ ზოგჯერ მტრულ აქციებსაც არ ერიდებიან. თურქეთის პრესის აზრით, ირანი მხარს უჭერს აგრეთვე სეპარატისტულ ქურთულ ძალებს, რომლებიც წლების მანძილზე იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, რითაც ხელყოფენ თურქეთის ერთიანი სახელმწიფოებრიობის იდეას.

ამ ბოლო დროს თურქეთს დაძაბული ურთიერთობა აქვს აგრეთვე არაბულ ქვეყნებთან, თურქეთ-ისრაელის სამხედრო თანამ-

შრომლობის ხელშეკრულების დადებისა და მდინარე ევფრატზე დიდი კაშხლის აგების გამო. განსაკუთრებით უკმაყოფილოა სირია, სადაც ევფრატზე კაშხლის აგების გამო საგრძნობლად შემცირდა წყლის რესურსები. ამასთან, სირია მიიჩნევს, რომ 1939 წელს თურქეთმა მიიერთა მისი კუთვნილი ტერიტორია — ჰათაის ოლქი.

კარგი ურთიერთობა თურქეთს არც საბერძნეთთან აქვს — ამ ორ სახელმწიფოს შორის კუნძულ კვიპროსთან დაკავშირებული კონფლიქტი 1974 წლიდან მოდის. უკანასკნელ დროს ეს ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა საბერძნეთის პარლამენტის მიერ ეგეოსის ზღვის კუნძულების სტატუსისა და ზღვისა და საჰაერო ტერიტორიული სივრცის 6-დან და 12 მილამდე გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების გამო.

თურქეთი ნატოს სამხედრო ბლოკის წევრი-ქვეყანაა. იგი დიდადაა დაინტერესებული ევროგაერთიანებაში გაწევრიანებით, მაგრამ მიუხედავად მთავრობის დიდი მეცადინეობისა, ევროპის ქვეყნები ჯერჯერობით თავს იკავებენ ევროკავშირში მისი მიღებისაგან, მიზეზად კი კვიპროსის პრობლემას და ქვეყნის დაბალ სოციალურ დონეს ასახელებენ.

თურქული პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თურქეთს არადამაკმაყოფილებელი ურთიერთობა აქვს სომხეთთანაც, ამის მიზეზია ორ ხალხს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული დაძაბული ურთიერთობა (რასაც სხვადასხვა დროს თურქთა მხრიდან სომეხთა გენოციდი მოსდევდა), აგრეთვე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი.

თურქეთის პრესის ყურადღების ცენტრში დგას პარტიებს შორის დაპირისპირების საკითხები. თურქეთში 35 რეგისტრირებული პარტია ფუნქციონირებს, მაგრამ მათ შორის 6 წამყვანია, რომლებიც მეჯლისში არიან დეპუტატებით წარმოდგენილი.

რეფაჰის — ანუ კეთილდღეობის პარტიის ლიდერი ნეჯმეთთინ ერბაქანი გახლავთ. იგი სინოპელია, არაოფიციალური ცნობით მამა თათარი, ხოლო დედა — აფხაზი ჰყავს, სხვა ცნობით იგი ქართველია, რაც ნაკლებ დასაჯერებელია.

ანავათანის – ანუ დედასამშობლოს პარტიის ლიდერია მესუთ ილმაზი, ახლანდელი პრემიერ-მინისტრი. იგი ქ. რიზედან არის და გადმოცემით ლაზი ან ჰემშილლი (გამუსლიმანებული სომეხი) უნდა იყოს.

დოღრუიოლ – ანუ სწორი გზის პარტიის ლიდერი გახლავთ ქალბატონი თანსუ ჩილერი. ჩილერის განცხადებით, მისი ბებია ქართველია. იგი ერთ-ერთი მდიდარი ქალია თურქეთში. ჰყავს 2 ვაჟი.

თურქეთში პოპულარობით სარგებლობს დემოკრატიულ-სოციალისტური პარტიაც, რომლის ლიდერი თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიულენთ ეჯევითია.

სახალხო-რესპუბლიკური პარტია თურქეთში რესპუბლიკის დაარსების შემდეგ მუსტაფა ქემალ-ფაშამ დააარსა. მისი დღევანდელი ლიდერი დენიზ ბაიკალია და ბოლოს, მეჯლისში წარმოდგენილ პარტიებს შორის არის დიდი ერთიანობის პარტია, რომლის ლიდერი იაზიჯიოღლუა.

აღნიშნულ პარტიებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პროგრამა არ გააჩნიათ, გარდა რეფაჰის პარტიისა, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთის ლაიცისტური რეჟიმის შეცვლას და ირანული ყაიდის ისლამური რესპუბლიკის დაარსებას.

უკანასკნელი არჩევნების დროს კეთილდღეობის პარტიამ (რეფაჰი) ყველაზე მეტი ხმა მიიღო, მაგრამ იმის გამო, რომ ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო რაოდენობის დეპუტატი მეჯლისში არ ჰყავდა, კოალიციური მთავრობის შედგენა გახდა საჭირო. მაგრამ მეჯლისში წარმოდგენილმა არც ერთმა პარტიამ რეფაჰთან კოალიციური მთავრობის შედგენა არ ისურვა.

ანაფის პარტია შეეცადა რეფაჰთან კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას, მაგრამ საზოგადოების პროგრესული ნაწილის და არმიის ზეგავლენით მან ბოლო წუთებში უარი თქვა. მიუხედავად იმისა, რომ ანაფისა და სწორი გზის პარტიას შორის სერიოზული წინააღმდეგობა არსებობს, მაინც საბოლოოდ გადაწყვიტილება იქნა მიღებული, რომ სწორი გზის პარტიასთან კოალიციური

მთავრობა ჩამოყალიბებულიყო, რომლის დროებითი პრემიერ-მინისტრი თვითონ მეჰსუთ ილმაზი გახდა. ჩილერთან შეთანხმებით მონაცვლეობით ერთი წლით პრემიერ-მინისტრის სავარძელს თვითონ დაიკავებს, შემდეგ ჩილერი უხელმძღვანელებს მთავრობას, შემდეგ ისევ ილმაზი იქნება პრემიერ-მინისტრი და ა. შ.

მაგრამ ერბაქანი ვერ შეურიგდა თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნას და მიზნად დაისახა, როგორც თვითონ ამბობს, „არაკანონიერი ქორწინების დაშლა". მან მიზანში ჩილერი ამოიღო. ჩილერს გამოუჩხრიკა პრემიერ-მინისტრობისდროინდელი „ცოდვები" და მას სახელმწიფო თანხების უკანონო მითვისებაში დასდო ბრალი.

9 მაისს მეჯლისმა განიხილა ჩილერის მიმართ წაყენებული ბრალდება და დეპუტატთა ხმის უმრავლესობით მისი ე. წ. უკანონო საქმეები გადაეცა განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს (რომლის თავმჯდომარე ოზდენი ქართველი გახლავთ). ჩილერის აზრით, იგი ბერმუდის სამკუთხედში მოაქციეს და ზურგიდან ჩასცეს ხანჯალი, ასე რომ, იგი პოლიტიკური ბრძოლის მსხვერპლი გახდა.

14 მაისს უმაღლესმა საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ერბაქანის სარჩელი და გააუქმა კოალიციური მთავრობისადმი მეჯლისის მიერ გამოცხადებული ნდობის ვოტუმი. რატომღაც ჩილერი მიესალმა უმაღლესი სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ხოლო ილმაზი უარყოფითად შეხვდა მას.

კოალიციური მთავრობა კრიზისის ახალ ფაზაში შევიდა. პოლიტიკური პარტიის ლიდერები და სახელმწიფო მოღვაწეები კოალიციურ მთავრობაში შექმნილ კრიზისს სხვადასხვანაირად აფასებენ. ზოგიერთების აზრით, ჩილერის და ილმაზის მიერ შედგენილი კოალიციური მთავრობა „ნათესავების დაქორწინების შედეგად შობილ ნაკლულ შვილს ჰგავს, რომელსაც სიცოცხლე არ უწერია" და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას ახალი არჩევნების ჩატარებაში ხედავენ.

ერბაქანი დღესასწაულობს და მიზანი მიღწეულად მიაჩნია. მისი რწმენით, იგი მალე პრემიერ-მინისტრის სავარძელს და-

იკავებს. თუ მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები, დღეს ამის თქმა ძნელია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ერბაქანს იმედი მართლაც გაუმართლდეს.

თურქული პრესა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ძირითადად ობიექტურად აშუქებს. აკეთებენ მწვავე კრიტიკულ შენიშვნებსაც, მაგრამ მას მხოლოდ სამშობლოს ბედით დაინტერესებული ადამიანის პოზიციებიდან გამოხატავენ.

თურქული პრესიდან ჩანს, რომ გარდა რეგისტრირებული პარტიებისა (რომელთა რიცხვი, როგორც ვთქვით, 35-ია), თურქეთში არალეგალურად მოქმედებენ არარეგისტრირებული პარტიებიც.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქვეყანაში ხშირად ეწყობა მუშამოსამსახურეთა გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებსაც ლეგალურად ხელმძღვანელობენ პროფკავშირები.

ამგვარი გამოსვლები სახელმწიფოს დიდ მატერიალურ და მორალურ ზარალს აყენებს.

თურქული პრესის მიხედვით, გაფიცვებსა და დემონსტრაციებს კულისებიდან ხელმძღვანელობენ არარეგისტრირებული მარქსისტული და სხვა მემარცხენე პარტიები.

თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეები – მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით ბევრს მოგზაურობენ. მათ შორის არიან დემირელი, ჩილერი, ილმაზი, ერბაქანი, ეჯევითი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის პრესა ფართოდ აშუქებს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ მოწყობილ მიტინგებს, შეხვედრებს, ტურნეებს, ერთგვარი კომენტარებით აქვეყნებს მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

თურქული პრესის ყურადღების ცენტრშია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალთა, ხელოვნებისა და სპორტის საკითხები.

გაზეთ „საბაჰის“ ყოველდღიურ დამატებაში „მელოდი“ სისტემატურად იბეჭდება სედა გიულერის წერილები ქალთა ფემინიზაციის საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკის დამყარებიდან 70 წელზე მეტი გავიდა და მნიშვნელოვანი რეფორმები

გატარდა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში, თურქეთში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქალისადმი უდიერი დამოკიდებულების ფაქტებს. ქალებს სცემენ, ზოგ შემთხვევაში ქმრები მეუღლეებს მუშაობის უფლებასაც არ აძლევენ. გამოკითხულ დიასახლისთა 88 პროცენტმა, თურქეთის პრესის მიხედვით, აღიარა, რომ მუშაობის ძალიან დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ ქმრები ამის ნებას არ აძლევენ. ადგილი აქვს ქალის გათხოვება-გაყიდვის ფაქტსაც, რასაც თურქები „ბაშლიკს" ეძახიან. ძალიან ხშირ შემთხვევაში ქორწინება ტარდება ახლო ნათესავებს შორის, რასაც იმით ხსნიან, რომ ქალის ყიდვა ახლო ნათესავებისაგან უფრო იაფი ჯდება. ადგილი აქვს უსიყვარულოდ, მშობლების ნებით ქალის გათხოვების შემთხვევებსაც. უსიყვარულოდ გათხოვილი ქალები კი ხშირ შემთხვევაში ღალატობენ ქმრებს, რაც ქმრის მიერ ცოლის სიკვდილით დასჯით მთავრდება. იმის გამო, რომ ადამიანის მოკვლა თურქეთში მოქმედი კანონებით 20-ზე მეტი წლით ისჯება, ხშირად არასრულწლოვან შვილებს ან ნათესავებს ავალებენ ცოლის მოკვლას. ამას წინათ თურქული პრესა შემზარავი ფაქტის შესახებ იუწყებოდა. მამამ 11 წლის შვილს დაავალა დედის მოკვლა, რომელმაც უყოყმანოდ შეასრულა ეს დავალება.

აღსანიშნავია, რომ მკვლელები ზოგჯერ კიდევაც ამაყობენ ასეთი „გმირული" საქციელით, ვინაიდან ისინი დარწმუნებული არიან, რომ ნამუსი „მოწმინდეს" მის, ან ნათესავის ოჯახს.

ჟურნალისტი ქალი ფუსათი „მელოდში" სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს ქალთა საყოფაცხოვრებო და ჯანმრთელობის საკითხებზე. გვერდს არ უვლის სექსუალურ საკითხებსაც.

„მელოდის" ერთი გვერდი დათმობილი აქვს თეატრალურ და კინოსანახაობებს, რომელიც ტელევიზიით, ან თეატრებსა და კინო თეატრებში უნდა იქნეს წარმოდგენილი. საერთოდ, თურქებს ძალიან უყვართ სასცენო ხელოვნება — სიმღერა, კინო, თეატრი. მომღერლებსა და მსახიობებს აქ საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ. ამ მხრივ ისინი ცნობილი ბიზნესმენების შემდეგ მეორე ადგილზე დგანან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი და ჭიდაობა. თურქული პრესაც სისტემატურად აშუქებს სპორტულ სიახლეებს ქვეყნის და მსოფლიო მასშტაბით.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი თანამედროვე ეტაპზე სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდის, იგი მაინც ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოა და მსოფლიოს მუსლიმანურ ქვეყნებს შორის ლიდერად გვევლინება.

ქვეყნის პრესა ასეთ პროგნოზს აკეთებს: თუ დაძლია ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი და ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნა, თურქეთი მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა რიგებში ჩადგება.

5 ნოემბერი, 1996 წელი

ღმერთის მოტიკული მუჰამედი და მისი მოძღვრება

ისლამი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა. კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი, 1,5 მილიარდი ადამიანი და 56 სახელმწიფო აღიარებს მას თავის სარწმუნოებად.

საქართველო თითქმის მთლიანად ისლამის გარემოცვაშია მოქცეული. მისი მეზობელი ქვეყნები, გარდა სომხეთისა და რუსეთისა, მუსლიმანურია. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მუსლიმანური აზერბაიჯანი, სამხრეთის ორი დიდი მეზობელი ქვეყნები — თურქეთი და ირანიც ისლამურ ქვეყნებს წარმოადგენენ. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ისლამის რელიგიის აღმსარებელია. გარდა ამისა, 3 მილიონი ქართველი მუსლიმანი ცხოვრობს თურქეთში, ნახევარ მილიონამდე ირანში, აზერბაიჯან-

ში მცხოვრები ქართველები – ინგილოები აგრეთვე ისლამს აღიარებენ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობამ ნაკლებად იცის, რა ღირებულებას გვთავაზობს ისლამი და როგორი იყო მისი შექმნის სათავეები.

მართალია, საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობით ლიტერატურა არსებობს ისლამის რაობის შესახებ, მაგრამ ისინი ძირითადად ანტირელიგიური პოზიციებიდან არის გაშუქებული და მაინცდამაინც არ ასახავს ამ რელიგიის არსს.

ისლამის რელიგიის შესწავლის საქმეში არსებული ხარვეზის ერთგვარი შევსების ცდას წარმოადგენს წინამდებარე სტატია, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

ღმერთის მოციქული მუჰამედის დაბადების თარიღის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. პირველი ბიოგრაფი იბნ ისნაკის (VI-VII საუკუნე) ცნობით, მუჰამედი დაბადებულია 571 წლის 20 აპრილს. ეს თარიღია მითითებული 1997 წლის თურქულ კალენდარში, აგრეთვე ცნობებში და ნარკვევებში მუჰამედის ცხოვრების შესახებ.

სხვა მკვლევრები (ვერა პანოვა, ვალერიან გაბაშვილი და სხვ.) მუჰამედის დაბადების თარიღად 570 წლის 27 აგვისტოს ასახელებენ. თურქეთში კი 1995 წლის 27 ივლისს ოფიციალურად აღნიშნეს 1425 წელი მუჰამედის დაბადებიდან. ე. ი. მუჰამედის დაბადების თარიღად ოფიციალურად აღიარებულ იქნა 570 წლის 27 ივლისი.

მუჰამედის ცხოვრების შესახებ საკმაო მონაცემები გაგვაჩნია. იგი დაიბადა საუდის არაბეთში, მექის გარეუბანში, ცნობილი სალოცავის ქააბას ტაძრიდან 400 მეტრის მოშორებით ყურიშიტთა ტომის ხაშიმის გვარის აბდულაჰსა და მისი ცოლის – ემინეს ოჯახში. მუჰამედის მამას, აბდულაჰს, თავისი პირმშო არ უნახავს. იგი ამ დროს სირიაში სავაჭროდ იყო წასული და მექაში დაბრუნებისას გზაში გარდაიცვალა. არსებული წესის მიხედვით ბავშვი აღსაზრდელად მიაბარეს ბანუ ასატის არაბთა ტომის ერთ-ერთ ქალს, რომელსაც სახელად ჰალმა ერქვა.

გადმოცემის მიხედვით, ბანუ ასატის არაბთა ტომები იკვებებოდნენ აქლემისა და თხის რძით, პურის მაგივრად იყენებდნენ ფინიკის ხურმას, პურს კი მხოლოდ მდიდართა ოჯახები მიირთმევდნენ.

ლეგენდის მიხედვით მუჰამედს ბავშვობისას ანგელოზებმა გული გაუწმინდეს ყოველგვარი ცოდვისაგან. 3 წლის მუჰამედი დედას დაუბრუნეს, რომელთანაც ცხოვრობდა მხოლოდ 3 წელიწადს. 6 წლისა იყო მუჰამედი, როცა დედამ თავის მშობლიურ ქალაქ იასრიბში (მედინაში) წაიყვანა ნათესავებთან, მაგრამ მექაში დაბრუნებისას გზაში გარდაიცვალა. 6 წლის მუჰამედი დარჩა უდედმამოდ. ობოლი მუჰამედის აღზრდა გააგრძელა მისმა ბაბუამ აბდ-ალ მუთალიბმა, რომელიც ძალიან კარგად ეპყრობოდა ბავშვს. აბდ-ალ მუთალიბი იყო ქააბის სამლოცველოს მლოცველი. მას მუჰამედი ხშირად დაჰყავდა იქ და ბავშვს ეძლეოდა საშუალება დაკვირვებოდა ქააბის სამლოცველოში ჩატარებულ რელიგიურ რიტუალებს. მაშინდელი ქააბა წარმოადგენდა უხეშად გათლილი ქვებისაგან ნაშენ 12-15 მეტრი სიმაღლის კუბური ფორმის შენობას, სადაც იდგა 365 კერპი, ე. ი. იმდენი, რამდენი დღეც არის წელიწადში მთვარის კალენდრის მიხედვით. არაბები კერპებს თაყვანს სცემდნენ, სწირავდნენ მსხვერპლს, მსხვერპლის შეწირვის დროს წარმოთქვამდნენ იმ ღმერთის სახელს, რომელსაც სწირავდნენ შესაწირს. ხორცის ნაწილს სწირავდნენ ღმერთს, ნაწილს კი ურიგებდნენ ღარიბებს. სვამდნენ ზემზემის წყალს და შემდეგ 7-ჯერ შემოუვლიდნენ ქააბას წმინდა ქვას, რითაც, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, იმდროისათვის არაბებისათვის ცნობილი შვიდი პლანეტის იმიტაციას ახდენდნენ.

მლოცველები რელიგიური რიტუალების შესრულების წინ პირველ რიგში გაიპარსავდნენ თმას. არაბებს უყვარდათ გრძელი თმის ტარება და ამიტომ თმის გაპარსვა გარკვეულად ღმერთისთვის მსხვერპლის გაღებას ნიშნავდა, მარხულობდნენ, თავს იკავებდნენ მათთვის გემრიელად მიჩნეული საჭმელის ჭამისაგან. ე. ი. აკეთებდნენ ყველაფერს სიძნელის დაძლევის გზით. ქააბას

შემოვლა ხდებოდა დიდი ექსტაზით, მლოცველები სტვენდნენ, ტაშს უკრავდნენ, ხმამაღლა გაიძახოდნენ ლოცვის სიტყვებს ღმერთის საპატივცემულოდ. მუჰამედის სიცოცხლეში შემოიღეს აგრეთვე ქააბას. შემოვლის დროს საგანგებოდ შეკერილი ტანსაცმლის – იხრამის ჩაცმა, რომელსაც 7-ჯერ შემოვლის შემდეგ წვავდნენ.

ქააბას ირგვლივ ჩატარებული ცერემონიალის შემდეგ მლოცველები ადიოდნენ იქვე ახლო მდებარე გორაზე, სადაც აგრეთვე კერპები იდგნენ და იქაც 7-ჯერ შემოუვლიდნენ. ამის შემდეგ მიდიოდნენ არაფათის მთაზე, რომელიც მექიდან აღმოსავლეთით 6 საათის სავალ გზაზე მდებარეობდა. ღმერთს კიდევ სწირავდნენ შესაწირავს. ყველაფერი ეს უნდა დამთავრებულიყო 3 დღეში (აღნიშნული რელიგიური რიტუალი მეტ-ნაკლებად ახლაც სრულდება).

მუჰამედი ბავშვობიდანვე იცნობდა ყველა ამ რელიგიურ რიტუალს. იგი ამავე დროს ხედავდა, რომ ადამიანები სხვადასხვანაირად ლოცულობდნენ, ერთი ერთ ღმერთს აღმერთებდა, მეორე – მეორეს, ე. ი. ერთნაირი რელიგიური სისტემა არ არსებობდა.

8 წლის მუჰამედს თავს დაატყდა ახალი უბედურება – გარდაიცვალა მისი აღმზრდელი ბაბუა აბდ-ალ მუთალიბი. მისი სიკვდილის შემდეგ მუჰამედის აღზრდა იკისრა ბიძამ – აბუ თალიბმა, რომელიც საკმაოდ მდიდარი და საქმიანი კაცი იყო. მუჰამედი აბუ თალიბის სახლში სწავლობდა ვაჭრობას, საქონლის მოვლას, რაც შემდეგში დიდად გამოადგა ცხოვრებაში. 10 წლის მუჰამედი უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებულ ყმაწვილად ითვლებოდა. მან მალე დაიმსახურა აღმზრდელი ბიძის სიყვარული. გადმოცემის მიხედვით მუჰამედი 12 წლის იყო, როცა შორეულ მოგზაურობაში მიუღია მონაწილეობა. ქვეყანა, სადაც მუჰამედს პირველად უმოგზაურია, სირია ყოფილა, რომელიც იმ დროს ქრისტიანული ბიზანტიის ფარგლებში შედიოდა. სირიაში მგზავრობის დროს მუჰამედი გაეცნო მონოთეისტურ ქრისტიანულ რელიგიას.

15 წლის მუჰამედს მეზობელ ტომებთან ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, 20 წლის ასაკში კი მან დამოუკიდებელი ცხოვრება

დაიწყო. არაბი ისტორიკოსების გადმოცემით, მუჰამედი ყოფილა მშვენიერი პირისახის, კარგი ხასიათის, კეთილსინდისიერი, სანიმუშო ახალგაზრდა ადამიანი.

25 წლის რომ გახდა მუჰამედმა ცოლად შეირთო 40 წლის ჭკვიანი და მდიდარი ქვრივი ქალი ხატიჯე. ხატიჯეს ძალიან მოეწონა სიმპათიური და წესიერი, კარგი შესახედაობის ახალგაზრდა და ასე უთქვამს მას მუჰამედისთვის: „შენ ჩემი ბიძაშვილი ხარ, ამასთან მართალი და კარგი ხასიათის კაცი, შენ ყველა პატივს გცემს, სწორედ მე შენისთანა კაცი მინდა ქმრად“.

ხატიჯეს თავის სახლში გადაუხდია ხალხმრავალი მდიდრული ქორწილი, სადაც შეიჭამა დიდძალი ხორცი და შეისვა ბევრი ღვინო (გამუსლიმანებამდე არაბები ღვინოს აყენებდნენ და ბევრსაც სვამდნენ). როგორც ვ. პანოვა წერს, მაშინდელ არაბეთში ქორწინება ხდებოდა უმთავრესად ანგარიშიანობით, თუმცა არაბი პოეტები უმღეროდნენ სიყვარულით ქორწინებას, მათთვის ქორწინების საზომი სიყვარული იყო.

იმ პერიოდში, როცა მუჰამედი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, არაბთა საზოგადოებრივი ყოფა სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა. იწყებოდა გვაროვნული წყობილება, რომელსაც თან სდევდა საზოგადოების დიფერენციაციის პროცესი. ახალ ცხოვრებას ახალი, შეცვლილი იდეოლოგია სჭირდებოდა. მე-6 საუკუნეში იდეოლოგია მხოლოდ რელიგიური შეიძლებოდა ყოფილიყო, რომლის შექმნასაც ცდილობდნენ ღვთისმაძიებლები – ხანიფები. ისინი ქადაგებდნენ ერთი ღმერთის მოძღვრებას და ადამიანის უკვდავების იდეას: ვისაც დედამიწაზე დიდება, ბედნიერება და უკვდავება უნდა, მან უნდა მოიპოვოს ღვთის სიყვარული, ამისათვის კი უნდა მოთოკოს ემოციები, დაძლიოს ცხოველური ეგოისტური ინსტინქტები. ხანიფების აზრით, ასეთები იყვნენ ადრინდელი წინასწარმეტყველები – მოსე, სოლომონი, ქრისტე და სხვები, რომლებიც პირად ცხოვრებაში ზნეობრივ სიწმინდეს იცავდნენ, ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდნენ დედამიწაზე. ამიტომაც სჯეროდა ხალხს მათი. წინასწარმეტყველებს შორის საპატ-

იო ადგილი ეჭირა ქრისტეს, რომელიც ქადაგებდა სიყვარულს ადამიანებს შორის და იბრძოდა ადამიანის ბედნიერებისათვის, რისთვისაც ჯვარს აცვეს, მაგრამ მოიპოვა უკვდავება. წინასწარმეტყველები ღმერთის რჩეულები იყვნენ, ამიტომ არის, რომ მოსეს დღესაც მოელიან ებრაელები, ქრისტეს – ქრისტიანები, და მათგან მოელიან ტანჯვისაგან ხალხთა განთავისუფლების მისიის შესრულებას.

ხანიფების მოძღვრება ახალი იდეაა ქრისტიანობასთან და ებრაულ რელიგიასთან შედარებით, მაგრამ იგი შეზავებული იყო არაბულ ყოფასთან.

მუჰამედი აკურატულად ასრულებდა იმდროინდელ არაბეთში დამკვიდრებულ რელიგიურ წესებს, ლოცულობდა სისტემატურად, წელიწადში 3-ჯერ მარხულობდა, 7-ჯერ უვლიდა ქაბას და სხვა. ხანიფებისაგან გადაიღო მუჰამედმა ლოცვის წინ განბანვის წესი, ვინაიდან ღმერთის წინაშე უწმინდურის ლოცვა შეუძლებელი იყო.

მუჰამედის ოჯახური საქმე კარგად აეწყო. ხატიჯესა და მუჰამედს ერთმანეთი ძალიან შეუყვარდათ. 40 წლის ხატიჯეს 4 ქალიშვილი და 3 ვაჟი შეეძინა. რუქია, ზეინაბი, უუმ კულსუმ და ფატიმა, ვაჟები – აბულ კასიმი, აბდალაჰ და ალ თასირი, მაგრამ ვაჟები ადრეულ ასაკში დაიხოცნენ, რამაც დიდად დაამწუხრა ოჯახი.

40 წლამდე მუჰამედი არაბული ტომისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. 40 წლიდან იგი თავის ეთიკურ-მორალური ნორმებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებას იწყებს, შემდეგ კი თავგამოდებით იბრძვის ცხოვრებაში მათი განხორციელებისათვის. პირველ რიგში მუჰამედი მოითხოვდა ერთი ღმერთის აღიარებას, შემდეგ კი ღმერთის მიერ დაწესებული კანონიერების შესრულებას: რომ ადამიანმა უნდა აკეთოს კეთილი საქმეები, არ ჩაიდინოს ბოროტება, ვინაიდან ბოროტების ჩამდენს ღმერთი უფრო დიდი ბოროტებით დასჯის. ვინც ღმერთს დაუახლოვდება თავისი კეთილი ქცევით, ღმერთი მას ათმაგად გადა-

უხდის. საჭიროა გიყვარდეს სიმართლე, ჭეშმარიტება, ადამიანმა თავის თავში უნდა დაძლიოს ყველა ადამიანური სისუსტე. მუჰამედი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი უკიდურესობის. ზომიერება ყველგან და ყველაფერში – ასეთი იყო მუჰამედის დევიზი. ღვინოს მუჰამედის აზრით, უფრო მეტი ზიანის მოტანა შეეძლო ადამიანისთვის, ვიდრე სიკეთის, ამიტომ ღვინის სმისგან თავის შეკავებას ქადაგებდა. მას ჭამაშიც დაუშვებლად მიაჩნდა ზედმეტობა, ასევე დაუშვებლად თვლიდა შიმშილობასაც. ქალისადმი მიდრეკილება ცოდვად არ მიაჩნდა, იგი ცოდვად თვლიდა მხოლოდ ბილწ დამოკიდებულებას ქალისადმი. მუჰამედის შეგონებით, ადამიანი უნდა ერიდოს სხვისი ნაკლოვანებების ძებნას და შენიშვნას, ვინაიდან, როცა სხვას აკრიტიკებს, თავისი პოზიციებიდან გამოდის და თავს სხვაზე მაღლა აყენებს. იგი მოითხოვდა შურიანობის დაძლევას.

აზროვნება და გონიერება უნდა იყოს დისციპლინებული, არ არის საჭირო შენი გონიერება ფუჭი საკითხების გარკვევას მიანდო.

მუჰამედი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვას. ადამიანმა სიტყვის თქმაშიც უნდა დაიცვას სიწმინდე. საჭიროა ვერიდოთ ბილწსიტყვაობას და ფუჭსიტყვაობას. ვისაც სუფთა გული და სუფთა ენა არა აქვს, ის არ შეიძლება მორწმუნე იყოს, სჯობს იყო მარტოსული, ვიდრე საქმე გქონდეს ისეთ ადამიანებთან, ვისაც შენი არ ესმის, ზედმეტმეტყველებას ხშირად დუმილი სჯობს.

მუჰამედი მოითხოვს უბრალოებას და სიყვარულს ახლობლებისადმი. მისი აზრით, სიამაყე არ არის კარგი თვისება, მაგრამ იგი ყოველთვის არ არის დასაგმობი. თუ შენ თავს იცავ სხვისი დაცინვისაგან, ასეთი სიამაყე ცუდი არ არის.

მუჰამედს თავისი აზრი ჰქონდა ახლობლისადმი სიყვარულზეც. მისი აზრით, მეტისმეტ სიყვარულს შვილების, მეგობრების, ნათესავების მიმართ, ყოველთვის არ მოაქვს დადებითი შედეგი.

მუჰამედი მორწმუნე კაცისთვის მნიშვნელოვან საქმედ თვლიდა ლოცვას. მისი აზრით, ლოცვით ადამიანი უახლოვდება ღმერთს,

მაგრამ მას ამავე დროს ესთეტიკური ფუნქცია გააჩნია, ამიტომ იგი ლექსად უნდა აეწყოს.

გადმოცემის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 610 წლიდან 40 წლის მუჰამედი იწყებს ახალი რელიგიური სისტემის პროპაგანდას. პირველი მუსლიმანი გახდა მისი ცოლი ხატიჯე. მან პირველმა ირწმუნა, რომ მუჰამედი ღმერთის კაცია, რომელსაც დავალებული აქვს დედამიწაზე ახალი რელიგიური სისტემა გაავრცელოს. ხატიჯეს შემდეგ ახალი რელიგია ირწმუნა ალიმაც (მისმა ბიძაშვილმა და ბიძამ). მუჰამედის აღმზრდელმა ბიძამ – თალიბმა არ ისურვა კერპების უარყოფა და ერთი უხილავი ღმერთის აღიარება. 3 წლის განმავლობაში მუჰამედის მიმდევარი გახდა მხოლოდ 40-50 კაცი. მიუხედავად ამისა, ახალი რელიგია თანდათანობით მაინც იკიდებდა ფეხს არაბეთში. ახალი რელიგია არაბებს ხიბლავდა იმით, რომ იგი ძველი ნათესაური და ტომობრივი კერპების ნაცვლად ერთი ღმერთის იდეას ქადაგებდა, სპობდა არაბთა დაყოფას ტომობრივი და ნათესაური ნიშნით და ხელს უწყობდა მათ ერთიანობის ჩამოყალიბებაში.

მუჰამედი ახალი ცხოვრების, ახალი წყობილების შექმნით ცდილობდა მორწმუნეთა შორის ურთიერთსიყვარულისა და სამართლიანობის საფუძველზე ოჯახისა და კერძო საკუთრების შენარჩუნებას, ის დაჟინებით მოითხოვდა: „უპირველეს ყოვლისა, გიყვარდეთ ღმერთი და მერე ერთმანეთიო“, მისი რწმენით, სამართლიანობა და სიყვარული პირველ რიგში უნდა სუფევდეს ოჯახში.

მუჰამედმა დაგმო არაბ ხალხში გაბატონებული საკუთარი ქალიშვილის ცოცხლად დამარხვის წესი. საქმე იმაშია, რომ მაშინდელ არაბეთში ქალი არასამუშაო ძალად ითვლებოდა. დუხჭირი ცხოვრების პირობებში ქალი ზედმეტ ტვირთად იყო მიჩნეული, ამიტომ ოჯახში ზედმეტ ქალიშვილს გაჩენისთანავე კლავდნენ, ცოცხლად მარხავდნენ (როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ზედმეტი ქალის მოკვლის სასტიკი წესი ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებშიც ყოფილა).

მუჰამედს მონობა დასაშვებად მიაჩნდა, მაგრამ მოითხოვდა მონებისადმი ლმობიერ მოპყრობას, ვინაიდან ყველა ადამიანი ღმერთის შვილად მიაჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, ის კერძო საკუთრების დამცველად გამოდიოდა, ამავე დროს მდიდარი ადამიანებისაგან მოითხოვდა ღარიბებისადმი დახმარებას, მოწყალების გაღებას. მუჰამედის აზრით, ღარიბებს უფრო მეტი შანსი ჰქონდათ სამოთხეში მოხვედრის, ვიდრე მდიდრებს. ღმერთს უყვარს მშრომელი ადამიანიო, ამბობდა ის. მუჰამედის მოძღვრებები და ქადაგებები თავმოყრილია სამუსლიმანო საღვთო წიგნში – „ყურანში", რომელსაც მუჰამედი (როგორც თვითონ ამბობდა) ღმერთის – ალაჰის კარნახით წერდა.

ახალი რელიგიის ქადაგებისას მუჰამედი მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა. კერპთაყვანისმცემელმა არაბებმა მუჰამედის მოკვლაც კი მოინდომეს ტრადიციული ღმერთების – კერპების უარყოფისათვის. მიუხედავად ამისა, მუჰამედი არ თმობდა ერთხელ არჩეულ გზას – იგი შეუპოვრად განაგრძობდა ისლამის ქადაგებას (ისლამი არაბულად მშვიდობას ნიშნავს).

მუჰამედი სულ უფრო და უფრო მეტ დროს უთმობდა ხელისუფლების საკითხს, მას მიაჩნდა, რომ ხელისუფლება მოცულია საიდუმლოებით, რომლის ახსნა არც არის სასურველი.

გარკვეულ დრომდე მუჰამედს შეთავსებული ჰქონდა რელიგიური საზოგადოების ხელმძღვანელობა მიწიერ ცხოვრებასთან. იგი წვრილ ვაჭრობას ეწეოდა და საერთოდ ისე ცხოვრობდა, როგორც ყურიშიტის ტომის ყველა წევრი, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა, შემდეგში მას ღმერთმა ჩააგონა, რომ ყოველგვარ მიწიერ ცხოვრებაზე ხელი აეღო და უშუალოდ მხოლოდ ღმერთის დავალება შეესრულებინა.

ამასობაში მუჰამედს 45 წელი შეუსრულდა. 20 წლის სიამტკბილობით ცხოვრების შემდეგ ხატიჯე გარდაიცვალა. მუჰამედს გაუჭირდა მექაში ცხოვრება, იგი დროებით გაეცალა მექას და სხვაგან შეაფარა თავი, მაგრამ მოგვიანებით დაბრუნდა და ცოლად შეირთო 30 წლის ქალი სედა. ამ მეორე ქორწინებას მუჰამედი

არ გაუბედნიერებია, ამიტომ ნათესავების ჩარევით ცოლად მოიყვანა აბუ ბაქარის (მუჰამედის სიკვდილის შემდეგ ხალიფა გახდა) 10 წლის ქალიშვილი აიშე. ეს მოხდა 620 წელს, მუჰამედი ამ დროს 50 წლის კაცი იყო.

620 წლიდან მუჰამედის ცხოვრებაში მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, იგი უახლოვდება იასრიბელებს (მედინელებს). იასრიბი ამ დროს საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა. აქ ცხოვრობდნენ არაბთა სხვადასხვა ტომები, რომელთა შორის იყვნენ ქრისტიანებიც, ებრაელებიც და წარმართებიც. იასრიბელები იყვნენ მიწათმოქმედნი, მაგრამ ამავე დროს კარგად იყვნენ დაუფლებული ვაჭრობის საქმეს, უყვარდათ ღვინის სმაც და ქეიფიც.

გადმოცემის მიხედვით ახალგაზრდობაში მუჰამედსაც უყვარდა ღვინო, მაგრამ შემდეგში, როცა იგი ახალი რელიგიის პროპაგანდას შეუდგა, რომლის ძირითად რიტუალად ლოცვა მიაჩნდა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთვრალ მდგომარეობაში ლოცვა მიუღებელი იყო. მას დაუშვებლად მიაჩნდა აგრეთვე აზარტული თამაშები.

620-621 წლებში მუჰამედი ორჯერ შეხვდა იასრიბელებს, რომლებმაც გაიზიარეს მუჰამედის მოძღვრება. მუჰამედმა მათ ფიცი დაადებინა, რომ ერთ ღმერთს – ალაჰს აღიარებდნენ, მას სცემდნენ თაყვანს, არ მოკლავდნენ თავიანთ ქალიშვილებს, არ მოიპარავდნენ და აღკვეთდნენ ბილწსიტყვაობას.

გადმოცემის მიხედვით, იასრიბელებთან შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ მუჰამედი ჯებრაელს წაუყვანია ცხენისმაგვარი ცხოველით – ბურაკით (რაც ელვისებურს ნიშნავს) ჯერ იერუსალიმში, შემდეგ კი ცაზე აუყვანია ღმერთთან შესახვედრად, სადაც უნახავს აგრეთვე იესო ქრისტე. მუჰამედის ეს მოგზაურობა ისტორიაში შევიდა როგორც „ალ-ისრა-ვალ მირაჯ“.

მალე მუჰამედმა მოაწყო კიდევ ერთი შეხვედრა იასრიბელებთან, რომლებმაც იკისრეს მუჰამედის მიმდევრების იარაღით დაცვა. როდესაც მექელებმა გაიგეს მუჰამედის იასრიბელებთან კავშირის შეკვრის შესახებ, იასრიბელთა წინააღმდეგ (ფაქტიუ-

რად ეს იყო შეთქმულება), გადაწყვიტეს მუჰამედის განადგურება, მაგრამ ეს უკანასკნელი აბუ ბაქართან და სხვა მომხრეებთან ერთად გაერიდა მექას და იასრიბში (მედინაში) გადაეიდა. ეს მოხდა 622 წლის 16 ივლისს. 17 წლის შემდეგ ის თარიღი მუსლიმანური წელთაღრიცხვის საწყისად გამოცხადდა, რაც ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში დღესაც მოქმედებს.

624 წელს მედინაში მუჰამედის მიმდევრებმა მიიღეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ანუ „მედინის კონსტიტუცია", რომელმაც ჩამოაყალიბა მუსლიმანთა ქცევის წესები და მუჰამედი წერილობით დაადასტურა ღმერთის მოციქულად.

მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ მუჰამედმა გადაწყვიტა თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა მექაშიც. ამ მიზნით მან 4-ჯერ მოაწყო „უსისხლო" ლაშქრობა, მაგრამ ოთხივე ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. როცა მშვიდობიანი გზით ვერ მოხერხდა მექის მიმხრობა, იარაღის ძალით გადაწყვიტა თავისი თანატომელების დამორჩილება. სისხლისმღვრელი ომი გაიმართა ბადრის მიდამოებში, სადაც მექელები სასტიკად დამარცხდნენ.

625 წელს მექელებმა რევანში აიღეს – მათ ოხოდთან სასტიკად დაამარცხეს მუსლიმანები. ოხოდის ბრძოლების შემდეგ 55 წლის მუჰამედმა მეოთხე ცოლი შეირთო, 25 წლის ქვრივი ჰინდე.

ამ პერიოდში მუჰამედი თავის მოძღვრებას კიდევ უფრო ავითარებს: მან აკრძალა ახლო ნათესავების ცოლად მოყვანის მავნე წესი, აკრძალა დედების, დედინაცვლების, საკუთარი ქალიშვილის, აღმზრდელების ცოლად მოყვანა (მუჰამედამდე არაბებში ახლო ნათესავების ცოლად მოყვანა დაშვებული იყო).

ღარიბებისათვის დახმარების ორი სახის მოწყალება დააწესა: სავალდებულო – ზაქათი და ნებაყოფლობითი – სადაკა. მუსლიმანს ყოველწლიურად უნდა გადაეხადა თავის ქონების 3%, რომელსაც კრეფდნენ მუჰამედის დანიშნული პირები. მუჰამედმა სისხლის აღებაში შემოიღო თავისი წესი. განზრახ მკვლელობისთვის დაუშვა სისხლის აღება, უნებლიე მკვლელობისათვის კი კომპენსაცია დააწესა.

626 წელს 56 წლის მუჰამედმა შეირთო მეხუთე ცოლად – 30 წლის ქვრივი ზეინაბი, მაგრამ ეს უკანასკნელი მალე გარდაიცვალა. იმავე წელს მოიყვანა მეექვსე ცოლი – ბართა. ამის შემდეგ მუჰამედმა სიკვდილამდე შეირთო კიდევ 4 ქალი (სულ 10 ქალი). მიუხედავად ამისა, მან მუსლიმანებს 4 ცოლის შერთვა დაუწესა. რაც შეეხება თავსაბურავს, როგორც მუსლიმანური რელიგიის მკვლევრები გადმოგვცემენ, არაბები მას თავზე ადრეც იხურავდნენ, მაგრამ მუჰამედმა ეს რელიგიით დააკანონა მუსლიმანთათვის.

ბოლო წლებში მუჰამედი დიდ ყურადღებას უთმობდა მუსლიმანური ლაშქრის ჩამოყალიბებას და არაბი ტომების გაერთიანების საქმეს. ვინც ნებაყოფლობით არ ერთიანდებოდა, ძალას ატანდა. 630 წელს მუჰამედი მუსლიმანებს ისევ ჩაუდგა სათავეში მექას წინააღმდეგ სალაშქროდ. მექელები ამჯერად უბრძოლველად დანებდნენ მუსლიმანთა არმიას. მუჰამედმა ქაბა გაწმინდა კერპებისაგან. ამ პერიოდში მან დააკანონა თავისი ხუთი მოთხოვნა მუსლიმანებისადმი: 1. რამაზანის თვეში მარხვა, 2. ზაქათის გადახდა, 3. ლოცვა, 4. ჰაჯობა, 5. აღიარება იმისა, რომ ღმერთი ერთია და მუჰამედი კი მისი მოციქული.

631 წელს მუსლიმანების მიერ დამორჩილებულ მთელ ტერიტორიაზე ლიკვიდირებული იქნა წარმართობა. მუჰამედმა არაბთა ტომების გაერთიანებისა და მათი გამუსლიმანების შემდეგ დაიწყო დაპყრობითი ომები ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ, გამოაცხადა საღვთო ომი – ჯიჰადი. იგი ლაშქრობის მთავარ პირობად აყენებდა გამუსლიმანებას და გადასახადის გადახდას (ხარკის გაღებას).

632 წელს მუჰამედს ახალი უბედურება დაატყდა თავს. გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი ცოლისაგან, მერიემისაგან შეძენილი მე-4 ვაჟი იბრაიმი. მას ახლა საყვარელი ადამიანებიდან დარჩა ქალიშვილი ფატიმა, ფატიმას ქმარი ალი და თავისი საყვარელი ცოლი აიშე (მისი უპირველესი ცოლი ხატიჯე დიდი ხანია მიწას მიაბარა). მუჰამედი თვითონაც გრძნობდა სიკვდილის

მოახლოებას. ხშირად ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, მან უკანასკნელად მაინც მოინახულა ქააბის სალოცავი და შეასრულა რელიგიური რიტუალი. მალე მუჰამედი ცუდად გახდა და გარდაიცვალა. ცოლებმა მწარედ დაიტირეს მუჰამედი, ტანსაცმელს იხევდნენ და ლოყებს იკაწრავდნენ. დიდი კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ მუჰამედი აიშეს სახლთან დაესაფლავებინათ, სადაც მან სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა. ეს იყო 632 წლის მაისის თვე, ოთხშაბათი.

მუჰამედის სიკვდილმა ელდა დასცა მორწმუნეებს, მის მიმდევრებს. აბუ ბაქარმა (შემდეგში ხალიფა) მუსლიმანების დასამშვიდებლად განაცხადა: „ხალხნო", მუჰამედი მართლა მოკვდა, მაგრამ ღმერთი, რომელსაც ის თაყვანს სცემდა, უკვდავია".

ასეთი გადმოცემების შედეგად შეიქმნა სუნა, ანუ მორწმუნეთა ქცევის წესებისა და კანონმდებლობის საფუძველი.

ნაქშიდილ სულთნის საიდუმლოება

იყო თუ არა ოსმალეთის დიდი ხელფოხმატორის სულთან მაჰმუდ II-ის დედა ქართველი

ყოველკვირეულ ჟურნალში, რომელიც თურქეთში „დერგის" სახელწოდებით გამოდის, დაიბეჭდა ორალ ჩალიშლარის წერილი „ნაქშიდილ სულთნის საიდუმლოება", სადაც წერია, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (მეფობის წლები 1808-1839) ოსმალეთის ტახტზე მჯდარი ერთ-ერთი ძლიერი სულთნის, დიდი რეფორმატორის მაჰმუდ II-ის დედა ქართველი ქალი იყო, რომელსაც ოსმალეთში იცნობდნენ ნაქშიდილ სულთნის სახელით.

ნაქშიდილ სულთნის მოკლე ისტორია ასეთია: დაიბადა 1776 წელს, ცხოვრობდა კუნძულ მარტინიკაზე და ერქვა აიმე დე რივიერი. როცა წამოიზარდა, მშობლებმა განათლების მისაღებად გაგზავნეს საფრანგეთში თავის დეიდაშვილთან, ნაპოლეონ ბონა-

პარტეს მეუღლესთან – ჟოზეფინასთან. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი სამშობლოში – კუნძულ მარტინიკაზე გამოემგზავრა, მაგრამ ბედმა უმუხთლა. იგი ალჟირელმა კორსარებმა (მეკობრეებმა) ტყვედ ჩაიგდეს და მიჰგვარეს ალჟირის ბეილერ ბეის მეჰმედ ფაშას, რომელმაც თავის მხრივ სხვა 51 ტყვესთან ერთად უფეშქაშა ოსმალეთის სულთანს აბდულ ჰამიდ პირველს. აბდულ ჰამიდს ლამაზი გოგონა აიმე მოსწონებია და ჰარამხანაში სათანადო აღზრდის მიღების შემდეგ თავის ერთ-ერთ ცოლად დაუსვამს.

აიმეს 1795 წელს შეეძინა ვაჟი, რომელიც შემდეგ, 1808 წელს ოსმალეთის სულთანი გახდა მაჰმუდ II-ის სახელით. შვილის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ აიმეს ნაქშიდილ სულთნის ტიტული უბოძეს.

ნაქშიდილ სულთანს, როგორც მკვლევრები ამტკიცებენ, დიდი გავლენა ჰქონია თავის შვილზე და ოსმალეთის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის ზოგიერთი რეფორმაც, რომლებიც განახორციელა მაჰმუდ II-მ, დედის ნაკარნახევი ყოფილა თურმე.

მაგრამ, როგორც ჩანს, აიმეს სულთნის მეუღლეობა და დედობა დიდად არ ახარებდა, თავისი ახლობლების დარდი და მწუხარება, აგრეთვე ტყვეობაში ყოფნა ვერ აიტანა – ტუბერკულოზით დაავადდა და 1817 წელს 41 წლის ასაკში გარდაიცვალა (ზოგიერთი მკვლევრის აზრით, 1818 წელს გარდაიცვალა). სიცოცხლეში მას თავისი საფლავი მოუმზადებია და ანდერძის თანახმად, ქრისტიანულად დაუსაფლავებიათ ფათიხის ჯამეს ეზოში.

აიმე-ნაქშიდილს მაშინდელი დასავლეთი ევროპის ქვეყნებში კარგად იცნობდნენ. მე-19 საუკუნეში მასზე იწერებოდა გამოკვლევები და მხატვრული ნაწარმოებები, ხოლო მოგვიანებით ერთ-ერთი რომანის მიხედვით მხატვრული კინოფილმიც კი შეუქმნიათ.

აიმე-ნაქშიდილის შესახებ მის ნათესავებს არაფერი სცოდნიათ, ამიტომაც მას ზღვაზე დაღუპულად თვლიდნენ და დაიტირეს კიდეც. აი, მაგალითად, რა წერია ერთ-ერთ ნარკვევში: ნაპოლეონ

ბონაპარტეს ცნობილი მეუღლე ჟოზეფინას დეიდაშვილი მადმუაზელ აიმე დე რივიერი საფრანგეთიდან კუნძულ მარტინიკაზე დაბრუნებისას დაიღუპა. აიმეს ოჯახი მწუხარებაში ჩავარდა, ყველაზე მეტად მაინც ჟოზეფინა იყო შეწუხებული მისი თანატოლისა და დეიდაშვილის დაღუპვის გამო. იგი ნათესავს სწერს: „აიმეს სიკვდილმა ისე შემძრა, რომ სიტყვით მას ვერ გადმოგცემთ. ერთი წლის დაშორების შემდეგ თქვენთან შეხვედრის ნაცვლად ოკეანის ცივ ღრმულებში ჩაიმარხა. რა ტრაგიკული დასასრულია... საწყალი აიმე, თქვენს დიდ მწუხარებას ვიზიარებ“.

მეორე დოკუმენტის ცნობაში აღნიშნულია: „ოსმალეთის სულთნის მაჰმუდ II-ის დედა ნაქშიდილ სულთანი ტუბერკულოზით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, რომელიც ძალიან დიდი ცერემონიალით მიაბარეს მიწას მის მიერ წინასწარ შერჩეული ფათიხის ჯამეს ეზოში. საფლავის ქვაზე წერია, მართლაც ნაქშიდილი იყო. მაგრამ სულთნის დედამდე ამაღლებული იქნა“.

მესამე ცნობაში, რომელიც დაცულია თურქი ავტორის - თუღლიჯის წიგნში „ოსმალეთის სასახლის ქალები“, ნაქშიდილ სულთნის შესახებ წერია: „დაბადების წელი არ არის ცნობილი. გარდაიცვალა 1818 წლის 18 ივლისს. აბდულ ჰამიდ I-ის ქართული წარმოშობის მეუღლე იყო. საფრანგეთში ერთხანს სწავლის შემდენ მარტინიკაზე დაბრუნების მიზნით გემით წამოვიდა, მაგრამ ალჟირელმა კორსარებმა ტყვედ ჩაიგდეს და მიჰგვარეს ალჟირის ბეილერ ბეის მეჰმედ ფაშას, რომელმაც თავის მხრივ მიართვა თურქეთის სულთანს აბდულ ჰამიდს. აბდულ ჰამიდს ლამაზი ქალი მოეწონა და მის ერთ-ერთ ცოლად დაისვა, რომლისაგან 1795 წელს შეეძინა მაჰმუდ II“.

„ოსმალეთის სასახლის ქალების“ ავტორის მტკიცებით, ნაქშიდილ სულთანი ქართველი ქალი იყო.

არსებობს კიდევ ერთი ცნობა, რომელიც საფრანგეთის არქივიდან არის ამოღებული. ამ ცნობის მიხედვით, ჟოზეფინას კუზინას — მადმუაზელ აიმეს დედას, ქალბატონ დე ლორანენს თავის ერთ-

ერთ წერილში უწერია: „ჩვენ იგი ზღვაში დამხრჩვალი გვეგონა... ნატავ მართლა დამხრჩვალიყო და რაც იმას თავზე გადახდა, არ გადახდენოდა... დიდი თურქის სასახლეში გაუყიდიათ და სულთნის დედაც კი გამხდარა... ახლა რომ არის დიდი თურქი მაჰმუდ II, აიმეს ძალიან დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა თურმე. იმასაც ამბობენ, გარდაიცვალაო, საფლავიც უნახიათ, საფლავიც თავად მოუმზადებია“...

ერთ ცნობაში, რომელიც თურქეთის ენციკლოპედიაშია დაბეჭდილი, წერია, რომ ნაქშიდილ სულთანი სულთან აბდულ ჰამიდის ერთ-ერთი მეუღლე და მაჰმუდ II-ის დედა იყო. იგი ალჟირის ბეილერ ბეიმ მეჰმედ ფაშამ საჩუქრად მიართვა ოსმალეთის სულთან აბდულ ჰამიდ I-ს ფრანგ ტყვეებთან ერთად. ამბობენ, რომ იგი ქართველი ქალი ყოფილა. ლარუსის ენციკლოპედიაში, ჩაღათაი ულუჩაის წიგნში „ფადიშახის ქალები და გოგოები“, აგრეთვე ინგლისურ ენციკლოპედიაში და სხვაგან აღნიშნულია, რომ ნაქშიდილ სულთანი, ანუ აიმე დე რივიერი იყო ნაპოლეონ ბონაპარტის მეუღლის ჟოზეფინას ღვიძლი დეიდაშვილი. სხვადასხვა წყაროში მითითებული წლები დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა აიმე, იგივე ნაქშიდილ სულთანი და მისი დეიდაშვილი ჟოზეფინა ქართველი ქალები, კითხვის ქვეშ რჩება. ქვესათაურშიც კითხვის ნიშანი იმიტომ დავსვით, რომ ეს საკითხი არ არის ბოლომდე გარკვეული. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი წყარო აიმეს ფრანგად თვლის, ე. ი. ნაქშიდილ სულთნის ფრანგული წარმოშობის ვერსიაც არსებობს.

ისმება სხვა კითხვებიც. ქართველი ქალი საიდან მოხვდა კუნძულ მარტინიკაზე, ვინ იყვნენ მისი მშობლები? ამ საკითხის გარკვევა ქართველ მკვლევართა შესწავლის საგანი გახდება ალბათ მომავალში.

22 აპრილი, 1995 წელი.

ცნობილი ფაქტია, რომ მუსლიმანური სამყაროს ქვეყნების მმართველებს ჰარემები, ანუ ჰარამხანები ჰქონდათ, სადაც ასეულობით მონაქალი ჰყავდათ. მათ შორის მრავლად იყვნენ ქართველი ქალებიც, რომლებიც ფადიშაჰის, შაჰის ან ხანის საკუთრებას წარმოადგენდნენ (ოსმალეთში ქვეყნის მმართველს სულთანს, ჰუნქიარსაც, ანუ როგორც საქართველოშია მიღებული, ხონთქრებსაც უწოდებდნენ). მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში უამრავი ლიტერატურა არსებობს ჰარემების ცხოვრებაზე, ქართველ მკითხველს მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია მასზე, ვინაიდან ქართულ ენაზე არ არსებობს რაიმე სერიოზული ნაშრომი ამ თემაზე. ბოლო დროს თურქეთში რამდენიმე საჟურნალო სტატია, აგრეთვე მონოგრაფიული ნაშრომი გაჩნდა ჰარემის ცხოვრების წესზე, მათ შორის აღსანიშნავია პროფესორ აჰმედ აქგიუნდუზის წიგნი „ჰარემი ოსმალეთში", რომელშიც ავტორი ოსმალეთში არსებული ჰარემის ცხოვრების წესს სხვა ასპექტში წარმოაჩენს.

მონოგრაფიული ნაშრომის ავტორისა და თანამედროვე თურქი ისტორიკოსების აზრით, ოსმალეთში არსებული ჰარემის ცხოვრებას დასავლეთის ისტორიკოსები გაყალბებულად წარმოაჩენენ. კიდევ მეტი, ისინი აკრიტიკებენ აგრეთვე ათათურქისტ ისტორიკოსებსაც და თვლიან, რომ ისინიც ათათურქიზმის ზეგავლენით თურქეთის ისტორიის ზოგიერთ მოვლენას, მათ შორის ოსმალეთის ჰარემსაც არასწორ შეფასებას აძლევენ.

ჰარემი არაბული სიტყვიდან „ჰურუმიდან" მოდის და იმ ადგილსამყოფელს ნიშნავს, სადაც ყველას შესვლა დაუშვებელია.

ძველად არამუსლიმანი ადამიანისათვის (მაგალითად, არაბთათვის) წმინდა ქალაქებში მექასა და მედინაში შესვლა აკრძალული, დაუშვებელი, ანუ ჰურმი, ჰრემიენ იყო.

საერთოდ, ჰარემი ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელ მოვლენად არის მიჩნეული, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის.

ჰარემის ინსტიტუტი აღმოსავლეთში ძველ ცივილიზაციაშიც იყო ცნობილი, მაგრამ მან დახვეწილი სახე გვიანდელ პერიოდში, მხოლოდ ისლამის სამყაროში მიიღო.

ისტორიული წყაროები მეტყველებენ, რომ ძველ ეგვიპტეში, ასურეთში, ირანსა და საბერძნეთშიც ხელისუფალთ სასახლეებში ქალთათვის ცალკე ბინა ჰქონდათ გამოყოფილი, სადაც ბინადრობდნენ ხელისუფალთა ცოლები, ქალიშვილები, დები, მონა და მსახური ქალები, აგრეთვე, დასაჭურისებული მამაკაცები.

ძველ საბერძნეთში ასეთ ადგილს „გინეკეიონ“ ეწოდებოდა, ირანში „ენდერენ“, ანუ „შიდა განყოფილება“, ინდოეთში კი „ზანან“ ეწოდება, რაც სპარსული სიტყვიდან – „ზანისაგან“ მომდინარეობს და ქალს ნიშნავს.

გამუსლიმანებამდეც არაბული ქვეყნების ოჯახებში, როგორც წესი, ქალთათვის ცალკე ადგილსამყოფელი ჰქონდათ გამოყოფილი, სადაც მხოლოდ ოჯახის წევრი ქალები ბინადრობდნენ.

ოსმალეთში ჰარემს „ჰარემი ჰუმაიუნ“, ანუ მისი უმაღლესობის ჰარემი ეწოდებოდა.

ჰარემი ძირითადად ივსებოდა სულთნისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა პროვინციის მმართველების მიერ მისი უმაღლესობისადმი საჩუქრად მიძღვნილი ტყვე ქალებისაგან.

ადრეულ წლებში მუსლიმანური სამყაროს სახელმწიფოების მმართველებს უმთავრესად ზანგი მონა ქალები შემოჰყავდათ აფრიკიდან, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო ბაიაზეთ ილდირიმის (1389-1402 წ.წ.) და მეჰმედ II-ის ფადიშაჰის მმართველობის დროს (1451-1581 წ.წ.) ისინი ბიზანტიის მიბაძვით მონა ქალებს თავს უყრიდნენ ერთ ჭერქვეშ. აფრიკიდან მონა ქალების შემოყვანამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1517 წლიდან, ოსმალეთის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ. ჰარემი ივსებოდა აგრეთვე სხვა დაპყრობილი ქვეყნების მონა ქალებითაც. ათასობით ტყვეთა შორის არჩევდნენ ყველაზე ლამაზ ქალებს, გოგონებს და სულთანს მიართმევდნენ ჰარემის შესავსებად. მონა ქალთა ნაწილს სულთანი საჩუქრად აძლევდა თავის ერთგულ მოხელეებს.

ჰარემში მოხვედრილ ქალიშვილს რეგისტრაციაში ატარებდნ-ენ მისი გვარის, სახელის, ეროვნებისა და წლოვანების აღნიშვნით. შემდეგში კი, როგორც წესი, ჰარემის ბინადარ მონა ქალებს უცვ-ლიდნენ სახელსა და გვარს და აძლევდნენ თურქულ სამყაროში მიღებულ სახელსა და გვარს. ისინი ჰარემში სწავლების სპეცი-ალურ კურსს გადიოდნენ, მათ მუსლიმანურ ტრადიციებზე ზრდი-დნენ, ასწავლიდნენ ისტორიას, თეოლოგიას, მუსიკას, ცეკვას, ქსოვას, კერვას, რეცხვას, კულინარიას და ა. შ. ჰარემის ქალებს რჩეული ხოჯები (მასწავლებლები) ასწავლიდნენ. მკვლევართა აზრით, ჰარემში არსებული სწავლების სისტემა ქალთა პირველი უნივერსიტეტის შესაბამისი იყო.

სწავლების კურსის გავლის შემდეგ ჰარემის მკვიდრი მონა ქალები თავიანთი სპეციალობის მიხედვით ემსახურებოდნენ სულ-თნის სასახლეს. მაგალითად, სუფრაჯი, ანუ სუფრის მომწყობი სუფრის გაწყობაზე იყო პასუხისმგებელი და ამასთან, ქვაბიდან ამოღებული საჭმელი პირველად თვითონ უნდა გაესინჯა, რომ სულთანი დაცული ყოფილიყო მოსალოდნელი მოწამვლისაგან. ყა-ვის ადუღების ოსტატს ყავა უნდა მოედუღებინა. იყვნენ აგრეთვე მრეცხავები, დალაქები, მეხალეები, მეკუჭნავეები და ა. შ.

ჰარემს ჰყავდა საერთო ზედამხედველი — ჰარემაღასი, ანუ ჰარემის აღა, რაც ჰარემში ყველაზე დიდ თანამდებოდად ითვ-ლებოდა. იგი ჰარემის გამგებელი იყო.

სულთნის გარდაცვალების შემთხვევაში ჰარემის მონა ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისუფლდებოდა და ახლებით ივსებოდა, მაგრამ ჰარემის აღა, ხაზინადარი და ზოგიერთი სხვა თანამ-დებობაზე მყოფი ქალები ახალი სულთნის განკარგულებაში გადა-დიოდნენ. იყო ასეთი წესიც: მონა ქალს ჰარემში ცხრა წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ ათავისუფლებდნენ და მას ათ-ხოვებდნენ სასახლის რომელიმე მოხელეზე, სათანადო მზითევის გაცემით.

ჰარემი თავისი კანონებითა და წესებით ცხოვრობდა. სულთ-ანს უფლება არ ჰქონდა ჰარემის სკოლადაუმთავრებელ, სათანადო სწავლა-აღზრდის არმქონე ქალთან ეცხოვრა. კიდევ მეტი, თუ

სულთანი მოინდომებდა ჰარემის რომელიმე მკვიდრთან ცხოვრებას, მას ეს სურვილი უნდა გაენდო ჰარემის აღასათვის ან დედისათვის.

საერთოდ, ოსმალეთში სულთნის ცოლი, ანუ დედოფალი ისე არ იყო დაფასებული, როგორც სულთნის დედა (ასევე იყო საქართველოში და ევროპის ქვეყნებში), ამიტომ ოსმალეთში მთავარი იყო არა სულთნის მეუღლეობა, არამედ სულთნის დედობა. მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ჰარემის მკვიდრი ქართველი ქალი, რომელიც ისტორიაში შევიდა ნაქშიდილ სულთნის სახელწოდებით, დაფასებულ იქნა არა მაშინ, როცა იგი სულთნის ერთ-ერთ მეუღლედ იწოდა, არამედ როცა იგი ცნობილი სულთნის – მაჰმუდ II-ის დედა გახდა. ამიტომ ჰარამხანის მკვიდრ ქალთა დიდი სურვილი იყო მომავალი სულთნის დედა გამხდარიყო.

ჩვენს ნათქვამში უფრო მეტი სიცხადე რომ შევიტანოთ, სულთნის მიერ ჰარემის რომელიმე მკვიდრ მონა ქალთან ცხოვრების შემდეგ შვილის გაჩენის შემთხვევაში ეს უკანასკნელი სულთნის ერთ-ერთი ცოლის რანგში (და არა დედოფლის) მაღლდებოდა, ხოლო შვილის ტახტზე ასვლის შემთხვევაში კი სულთნის დედა ხდებოდა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასახლეში ძალიან დიდი პატივისცემით სარგებლობდა. თუ სულთანი ჰარემის რომელიმე მკვიდრთან მოინდომებდა ინტიმური კავშირის დამყარებას, ეს დიდ პატივად იყო მიჩნეული. ამ დროს რჩეულ ქალს ყველანი ულოცავდნენ, რომ სულთნის ყურადღების ღირსი გახდა, ზეიმით და ტაშ-ფანდურით მიაცილებდნენ აბანოში და ბანდნენ, ასეთივე ზეიმით მიაცილებდნენ სულთნის მოსასვენებელში. უკან დაბრუნებულ მონა ქალს ისევ შეიყვანდნენ აბანოში და განბანდნენ.

საერთოდ, ჰარემში ძალიან ახალგაზრდა, ქორფა გოგონებს იღებდნენ. ჰარემის სარეგისტრაციო წიგნში რეგისტრირებული არიან 9-10 და 11 წლის გოგონები. ჩვენთვის ცნობილია, რომ ერთი ქართველი გოგონა 9 წლის ასაკში მოხვდა ჰარემში და მისი უბადლო სილამაზის გამო სულთან ჰამიდ I-ის ერთ-ერთი მეუღლეთაგანი, ხოლო შვილის – მუჰამედ II-ის ტახტზე ასვლის

შემდეგ ნაქშიდილ სულთნის სახელის – სულთნის დედის უდიდესი პატივის ღირსი გახდა.

მკითხველს შეიძლება დაებადოს ბუნებრივი კითხვა: მონა ქალი როგორ შეიძლებოდა სულთნის მეუღლის, ან ამ უკანსკნელის დედის ღირსებამდე ამაღლებულიყო?

საქმე ის არის, რომ კლასიკური მონობისაგან განსხვავებით, ოსმალეთში მონობას თავისებური ხასიათი ჰქონდა. მონა თუ თავისი უნარისა და ნიჭის წყალობით ომში ან პატრონთან სხვა სამსახურში თავს გამოიჩენდა, შესაძლებელი იყო იგი არმიის სარდლის ან ვეზირის ღირსებამდეც ამაღლებულიყო. გარდა ამისა, ოსმალეთში დაწინაურებისათვის არც ეროვნებას ჰქონდა მნიშვნელობა. ერთადერთი პირობა დაწინაურებისათვის მხოლოდ მუსლიმანობა და ნიჭი იყო (სხვათა შორის, თანამედროვე თურქეთშიც სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებისათვის ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, ქურთი ეროვნების ოზალი – პრეზიდენტი გახდა, ქურთი ჰ. ჩეთინი – პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი).

ჰარემში ცხოვრების იერარქიული წესიც დაცული იყო. სულთნის დედას, მეუღლეს, ქალიშვილებსა და უახლოეს ნათესავებსაც ცალკე ბინა ჰქონდათ გამოყოფილი, რა თქმა უნდა, ისინი მეტი უფლებებითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. რაც შეეხება რიგით მონა ქალებს, ისინიც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ ყოველ ათ გოგონას შორის ერთ ხანდაზმულ ქალს ჰქონდა ბინა დადებული. დღისით კი ქალები ჰარემის საერთო დარბაზში იკრიბებოდნენ და ერთად ატარებდნენ თავისუფალ დროს. ისინი არც უსაქმოდ ისხდნენ და არც ტაშფანდურით ერთობოდნენ, როგორც ეს ზოგიერთ კინოფილმშია, ყოველი მათგანი მასზე მინდობილი საქმით იყო დაკავებული.

ჰარემის ბინადართა ცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენებით იყო აღსავსე. იყო მეტოქეობაც და შურიც სულთნის გულის მოსაგებად, მისი ყურადღების მოპოვებისათვის.

ჰარემის მკვიდრნი დიდ როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ

სასახლის ინტრიგებში და ზოგ შემთხვევაში მათთვის არასასურველი მმართველის ჩამოგდებასაც კი ახერხებდნენ, ანუ, დღევანდელი გაგებით, აწყობდნენ სახელმწიფო გადატრიალებას.

ადრინდელ პერიოდში სახელმწიფოს საქმეებში ქალთაგან ყველაზე მეტად სულთნის დედა და ჰარემის მკვიდრი ქალები მონაწილეობდნენ, ხოლო შემდეგში გააქტიურდნენ სულთნის ქალიშვილები და დებიც.

მე-19 საუკუნის ოსმალეთში დაწყებული პროგრესული გარდაქმნების დროს ჰარემმაც განიცადა მოდერნიზაცია. 1848 წელს, მონობის აკრძალვის შემდეგ, ჰარემის ინსტიტუტიც გაუქმდა.

მოლა ნასრედინი

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია „იუნესკომ“ 1997 წელი მოლა ნასრედინის წლად გამოაცხადა.

ამასთან დაკავშირებით თურქეთში და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოეწყო სიმპოზიუმები, დაიბეჭდა წერილები და გამოიცა წიგნები მოლა ნასრედინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ვის არ წაუკითხავს მოლა ნასრედინის ანეკდოტები და გულიანად არ უცინია?! მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის მისი ბიოგრაფია, ვინაიდან ბოლო დრომდე ცნობილი არ იყო, მოლა ნასრედინი იყო თუ არა ისტორიული პიროვნება. ზოგიერთებს იგი ხალხის ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ მოლა ნასრედინი ისტორიული პიროვნება ყოფილა. იგი დაიბადა 1208 წელს, სელჩუკების ხანაში, ანატოლიაში, აქშეჰერის ვილაიეთის, სივრიჰისარის რაიონში, სოფელ ჰორთუმში, რომელსაც დღეს მოლა ნასრედინის სოფელი ჰქვია. მამას აბდულა ერქვა, დედას კი – სიდიკა.

ბავშვობაში მოლა ჰაჯეი ჯიანის სახელს ატარებდა. განათლება მიიღო კონიის სასულიერო სკოლაში – მედრესეში, სკოლის

დამთავრების შემდეგ თავის სოფელში მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ კი აქშეჰერში ყადი გახდა (მოსამართლე, რომელიც ისლამის კანონით ხალხს ასამართლებდა). ამაღლდა მუდერესობამდეც, ანუ პროფესორ მასწავლებლის წოდებამდე. რამდენჯერმე იყო დაქორწინებული, ჰყავდა შვილები, გარდაიცვალა 1282 წელს.

სტამბოლში პირველი ყადი, ცნობილი მეცნიერი ჰიზირ ბეი და მწერალი სინან ფაშა (არქიტექტორი სინანი სხვა არის) მოლა ნასრედინის შვილიშვილები ყოფილან, რომლებიც მე-15 საუკუნის 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე ცხოვრობდნენ.

აღსანიშნავია, რომ თურქული ქვეყნები – აზერბაიჯანელები, თურქმენები, ყაზახები, გაგაუზები (თურქული მოდგმის ერთადერთი ქრისტიანი ხალხია, რომელიც მოლდოვაში ცხოვრობს), უიღრები (ცხოვრობენ ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით) და სხვა ხალხები მოლა ნასრედინს ბოლო დრომდე მიიჩნევდნენ თავიანთი ქვეყნის შვილად.

აზერბაიჯანელები და ირანელები მას მოლა ნასრედინს უწოდებდნენ, უზბეკები – ნასრედინ ეფენდის, თურქმენები – ეფენდის, თათრები – ნასრედინ ხოჯას, ყაზახები კი – კოჟა ნასრედინს.

მოლა ნასრედინის ანეკდოტები პირველად მე-16 საუკუნეში დაიბეჭდა და შემდეგ მსოფლიოს კუთვნილებად იქცა. იგი ადამიანებს ასწავლიდა უბრალოებას, ქადაგებდა, რომ ადამიანი ბედნიერებისათვის არის დაბადებული და უფლება არა აქვს არავის წაართვას მას ბედნიერი ცხოვრების უფლება.

მკითხველს სიამოვნებით შევთავაზებთ მოლა ნასრედინის ზოგიერთ ანეკდოტს.

* * *

ერთ დღეს მოლამ მეზობლისაგან ითხოვა ქვაბი. რამდენიმე დღის შემდეგ მეზობელმა მოლას ქვაბის უკან დაბრუნება მოსთხოვა, მოლამ ნათხოვართან ერთად თავისი პატარა ქვაბიც მიაყოლა. მეზობელმა როცა შენიშნა: ერთი ქვაბი გათხოვე და

ორს რატომ მაძლევო, – მოლამ უპასუხა: ეს შენმა ქვაბმა შვაო. ქვაბის პატრონი სიხარულით ცას ეწია: ქვაბი რომ ქვაბს არ შობდა, ეს კარგად იცოდა, მაგრამ მერე რა, ქვაბი ხომ იშოვა? გავიდა ხანი და მოლამ ისევ სთხოვა ქვაბის პატრონს, ქვაბი მათხოვეო. მეზობელმა სიამოვნებით ათხოვა, მაგრამ გავიდა ხანი და მოლას კიდევ მოთხოვა: ჩემი ქვაბი დამიბრუნეო. შენი ქვაბი მოკვდაო, – მიიღო პასუხად. მეზობელმა გაიკვირვა: ეს როგორ? ქვაბი როგორ შეიძლება მოკვდეს, ცოცხალი ხომ არ არისო? მოლამ მშვიდად უპასუხა: თუ ის დაიჯერე, რომ ქვაბმა იმშობიარა, რატომ არ გჯერა ქვაბის სიკვდილიო?!

* * *

სოფლის გზის პირას, საკუთარი სახლის წინ, ეზოში მოლა ნასრედინი იჯდა. დაინახა გზაზე მიმავალი ერთი კაცი, რომელიც ძალიან დამწუხრებული ჩანდა. მოლამ გააჩერა მგზავრი და ჰკითხა: – რატომ ხარ ასე ღრმად ჩაფიქრებული და დამწუხრებული? მგზავრი შეჩერდა და მოლას უპასუხა: ეჰ, მოლა! რა უნდა გითხრაო, ჩემი წუხილის მიზეზი ორმოცია და რა ჩამომათვლევინებსო. მოლა შეუჩნდა, მაინც მითხარიო, მგზავრი ერთ უარზე იყო, მაგრამ მოლა არ მოეშვა და აიძულა წუხილის მიზეზები ჩამოეთვალა. პირველი – ფული არა მაქვსო, – დაიწყო მგზავრმა: საკმარისია, – შეაჩერა მოლამ: დანარჩენი 39 მიზეზის ჩამოთვლა არ არის საჭირო, რადგან ვიცი დანარჩენი 39 მიზეზი პირველი მიზეზიდან, ფულის უქონლობიდან გამომდინარეობსო.

* * *

ერთხელ მოლამ ცხენით გასეირნება მოინდომა. ცხენზე ვაჟკაცურად შეხტა, მაგრამ ვერ მოახერხა დაჯდომა. რამდენიმე ცდის შემდეგ, როგორც იქნა შეაჯდა ცხენს. შერცხვა, იფიქრა,

ხალხი მიყურებს ალბათ და სირცხვილი ეჭამეო, ამიტომ თავის გასასამართლებლად ხმამაღლა თქვა: აფსუს, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობისას ცხენს უცბად მოვახტებოდი და გავაქროლებდიო, მაგრამ როცა ირგვლივ მიმოიხედა და ვერავინ შენიშნა, თავისთვის ჩაილაპარაკა: არც ახლგაზრდობაში ვიყავი დიდი ბედენაო.

* * *

ერთ ღამეს მოლას თავის მეუღლესთან ეძინა. შუაღამისას ცოლმა გააღვიძა და უთხრა: მოლავ, ბინაში ქურდია შემოსული და რაღაცას დაეძებს მოსაპარავადო.

მოლამ ცოლს მშვიდად მიუგო: ქალო, ხმა გაკმინდე, ეგებ რაიმე მოსაპარავი ნივთი ნახოს ამ ჩემს ცარიელ ქოხში და მერე მისი წართმევა ადვილიაო.

25 იანვარი, 1997 წელი.

„ჯერ ტერორისტებს გაგანადგურებ, შემდეგ კი ეკონომიკას მიგხედავ“

ქალბატონი თანსუ ჩილერი თურქეთის პრემიერ-მინისტრი რომ გახდა, საგულდაგულოდ შეადგინა ამ მაღალ პოსტზე თავისი მოღვაწეობის პროგრამა. მთავარი ყურადღება, ცხადია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გაამახვილა, რათა მოსახლეობის უქონელი ფენები დუხჭირი ცხოვრებისაგან ეხსნა და განემტკიცებინა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკა.

მაგრამ ახლა იგი სულ სხვა საქმით არის გართული. მისი ყურადღება მიიპყრო ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთმა, სადაც განსაკუთრებით გააქტიურდნენ ქურთი ტერორისტები.

სიმართლე ითქვას, თანსუ ჩილერი ასეთ გართულებებს არ მოელოდა. ერთხანს იგი თითქოს დაიბნა კიდეც, მაგრამ ინტუიციამ არ უღალატა, პოზიციები მალე განიმტკიცა და სამხედრო წრეების ნდობა მოიპოვა. მან მიიწვია თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და სრული ნდობა გამოუცხადა, თავისუფლება მიანიჭა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, „ყველაფერი გააკეთეთ ტერორიზმის აღსაკვეთად, იმოქმედებთ, როგორც საჭიროდ ჩათვლით“.

ქურთი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის ორი საშუალება არსებობს: სამხედრო ძალისა და უშიშროების ძალების გამოყენება. ახალმა პრემიერ-მინისტრმა უპირატესობა პირველ ძალას მიანიჭა, ყურადღებით მოისმინა სამხედროების წინადადებები და დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები: გაუზარდა ხელფასი, აღმოუჩინა მორალური მხარდაჭერა, მაგრამ არც უშიშროების ორგანოებს მიაკლო ყურადღება: ჯერ კიდევ თურგუთ ოზალის მიერ რეკ-

ომენდებული მეჰმედ აღარი ერზრუმის უშიშროების უფროსად დანიშნა.

სამხედროებსა და უშიშროების ორგანოებთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგ თანსუ ჩილერმა გააძლიერა კონტაქტები ქვეყნის პოლიტიკურ პარტიებთან. პირველად იგი შეხვდა ოპოზიციური პარტიის ლიდერს მეჰსუდ ილმაზს, შემდეგ კი სრული მხარდაჭერა აღუთქვა სწორი გზისა და სოციალისტურ-სახალხო პარტიებს. ამ პარტიებმა ნდობა გამოუცხადეს მთავრობის მეთაურის ღონისძიებებს, ასე რომ, უახლოეს ხანში თურქეთში მოსალოდნელია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრი გააქტიურება.

„ჯერ ტერორისტებს გავანადგურებ, შემდეგ კი ეკონომიკას მივხედავ", – ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელმაც თურქეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა.

ჯერჯერობით მის პოლიტიკას, გაუთვალისწინებელი ხარჯების გამო, ისევ ეკონომიკისათვის მოაქვს ზიანი, რადგან ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაზრდა დიდძალ მატერიალურ და სულიერ რესურსებს ნთქავს.

თუ ამ საკითხს მოევლო, დადგება თურქეთის ეკონომიკის ძირეული გაჯანსაღების პერიოდი. ქვეყანაში 230 კერძო ორგანიზაციაა (კოოპერატივი), რომლებიც უმოქმედობენ, ან სრულყოფილად არ არიან დატვირთული, ან კიდევ არ ჰყოფნით კაპიტალი მუშაობისათვის. მათ ასამოქმედებლად საჭიროა ფული და ტექნიკა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი დაჟინებით ეძიებს, რათა ხელი შეუწყოს ამ სტრუქტურის განვითარებას.

თანსუ ჩილერი მიისწრაფვის კერძო სექტორის მთელი ძალით ამოქმედებისაკენ, მაგრამ მისი ეკონომიკური პროგრამა მოიცავს აგრეთვე სახელმწიფო სექტორში არსებული საწარმოო სტრუქტურების მუშაობის გარდაქმნას და საგარეო ვაჭრობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

ჯელალ კასდაღი
ჟურნალი „თემფო" (თურქეთი)
8 მარტი, 1994 წელი.

ჟურნალ „ეფ პოლიტიკის“ („ცულ პოლიტიკის“) ფურცლებზე

გაზეთი „ბუგიუნ“ (დღეს) საერთო სათაურით, „ჩვენ თურქები კი არა, ლაზები ვართ“ აქვეყნებს ლაზების შესახებ მრავალფეროვან მასალას, დაბეჭდილია 4 ლაზი ახალგაზრდის ფოტოსურათი, რომლებიც ბჭობენ ლაზების პრობლემებზე, აქვე მოთავსებულია რუკა, სადაც ლაზთა საცხოვრისია ლოკალიზებული, მარჯვენა მხარეს მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას წიგნის „ლაზების ისტორიის“ გარეკანის ანაბეჭდია მოთავსებული, მის გვერდით კი ამონარიდი თურქულ-ლაზური მცირე ლექსიკონიდან, სადაც ნაჩვენებია ლაზური ენის უზარმაზარი განსხვავება თურქულისაგან. მაგალითად: ბუიუქ ანნე – დიდი ნანა (ბებია); კოჯა – ქიმოჯი (ქმარი); უიე ანნა – ნანაშ ანთიში (დედინაცვალი).

დღეები:
ფაზარ – მჟორაჩხა (კვირა);
ფაზართესი – თუთაჩხა (ორშაბათი);
სალი – იკინაჩხა (სამშაბათი);
ჩარშამბა – ჯუმაჩხა (ოთხშაბათი);
ფერშემბე – უმქესერი (ხუთშაბათი);
ჯუმა – პარასკე (პარასკევი);
ჯუმართესი – საპატონი (შაბათი);

დასასრულს, საერთო სათაურის ქვეშ – „თურქი კი არა ლაზი ვარ“, დაბეჭდილია პატარა წერილები. ერთ მათგანში ლაზი ადვოკატების — მემიშოღლისა და ქირიმის სიტყვებია ციტირებული, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ ლაზები ვართ, ლაზურად ვლაპარაკობთ, ლაზურად ვმღერივართ და ვცეკვავთ, ერთი სიტყვით, ყველაფერი ლაზური გვაქვს, მაშასადამე, ლაზები ვართ და არა თურქები, ამიტომ უნდა დავაარსოთ ლაზების შემსწავლელი ინსტიტუტი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თურქეთის

სახელმწიფოსაგან გამოყოფა გვინდა, ჩვენთვის მთავარია ვიცოდეთ ჩვენი ვინაობაო. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ჟურნალ „ეფ პოლიტიკის“ („სულ პოლიტიკა“) ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილს, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს.

* * *

ქ. ინეგოლელმა პენსიონერმა პოლიციელმა ჰაირი ჰაირიოღლუმ 1960-იან წლებში საქართველოში დასტამბული წიგნი „ლაზეთი“ თურქულად თარგმნა, და „ლაზების ისტორიის“ სახელწოდებით გამოსცა, რითაც ყველაფერი არია.

ჰაირი ჰაირიოღლუმ ამ წიგნით ლაზები გაათვითცნობიერა. ჩვენ ვფიქრობდით, ლაზებს მხოლოდ ცეკვა შეუძლიათო, ლაზების ისტორია კი რას ნიშნავს? ადამიანს, უნდა თუ არა, მაინც ჩაფიქრებს იმაზე, რომ თურმე ლაზებს ისტორია ჰქონიათ!!! თქვენ გეცინებათ, მაგრამ რასაც ახლა წაიკითხავთ, ნამდვილად დაგიკარგავთ სიცილის ხასიათს.

„ლაზების ისტორიის“ ავტორები ლაზები არიან. მუხამედ ვანილიში და ალი თანდილავა თავიანთი ერთობლივი ნაწარმოების შესავალ სიტყვაში საოცარ რამეს წერენ: „ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი არაერთ დამპყრობელს გაუთელია, მაგრამ მათ შორის ყველაზე ულმობელი იყო ოსმალეთი, რომელმაც მცირე აზიაში გაბატონებისთანავე დაიწყო საქართველოს ნაწილების დაპყრობა და ხალხის ძალდატანებით გამუსლიმანება-გადაგვარება“.

აღსანიშნავია ის ინტერესი, რომელიც ლაზების მიმართ გამოიჩინა 1936 წელს ინეგოლში დაბადებულმა ქართველმა კაცმა, ჰაირი ჰაირიოღლუმ, რომელიც იმ ქართველების შთამომავალია (მესამე თაობა), 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რომ დატოვეს თავიანთი საქართველოს ოლქი აჭარა, გადმოიხვეწნენ ოსმალეთში და დასახლდნენ ინეგოლში. ჰაირიოღლუ ბავშვობიდანვე თავის რვეულში იწერდა ქართულ ფოლკლორულ ნიმუშებს, 15 წლისამ დამოუკიდებლად შეისწავლა ქართული

წერა-კითხვა, ამავე დროს ეცნობოდა მეცნიერებასა და ლიტერატურას კავკასიის შესახებ. ასე გახდა ჰაირი ჰაირიოღლუ ქართველოლოგი. 1977 წლიდან სცემს ჟურნალს „ჩვენებურების“ სახელწოდებით. უკვე გამოსცა რვა ნომერი, ამ ჟურნალმა საქართველომდეც მიაღწია, საიდანაც ბოლოს ჰაირიოღლუმ მიწვევაც მიიღო. საქართველოში მას შეხვედრები ჰქონდა ცნობილ არქეოლოგებთან, ისტორიკოსებთან და ლინგვისტებთან. ასე მიაკვლია მან თანდილავას და ვანილიშის „ლაზების ისტორიასაც“.

სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა ხალხებმა თავისუფლება მიიღეს, შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების მონახულება, ჰაირი ჰაირიოღლუმაც 1978 წელს პირველად ასე ნახა საქართველოში მცხოვრები ნათესავები, დანარჩენს კი თავად გვიამბობს: „ქართველების ძველ დედაქალაქ მცხეთიდან მივდივართ ქალაქ თბილისში, ჩემთან ერთად არიან თურქეთის მცხოვრებლები – მერაბ ფუტკარაძე, შალვა დავითაძე, გურამ ქოქოლაძე და ჩემი ქალიშვილი ნესტანი. სამშობლოში მასპინლობას გვიწევენ აწ გარდაცვლილი ბატონი ოთარ გიგინეიშვილი და გიდი ალეკო ბურჯანაძე. სადილზე, რომელიც თბილისში გაგვიმართეს, ბევრი საინტერესო სადღეგრძელო ითქვა, მათ ნათქვამს შიგადაშიგ ვუთარგმნი შალვასა და ნესტანს. მოულოდნელად ჩვენს გვერდით მაგიდასთან მჯდომთაგან ერთი ღვინით სავსე ჭიქით ხელში გვიახლოვდება: „მეგობრებო, მე ენვერ კელენჯერიძე, საქართველოში მცხოვრები ლაზი ვარ. მაპატიეთ, მაგრამ თქვენს საუბარს მოვკარი ყური და დავასკვენი, რომ რომელიმე უცხო ქვეყნიდან მოსული ქართველები ხართ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ამ ჭიქით მინდა დავლიო თქვენი სადღეგრძელო, თქვენი ბედნიერებისა და მეგობრობის სადღეგრძელო!“ – შემდეგ მიუბრუნდა თავის მაგიდას და დაჯდა მეგობრებთან.

თვალები ცრემლით ამევსო, შემდეგ ხელში ავიღე ღვინით სავსე ჭიქა და მას ტკბილი სიტყვებით მივმართე, ერთი-ორი წინადადება ლაზურიც გავურიე, ახლა ენვერი ატირდა. იგი მოდის, მეხვევა და გრძნობამორევით მეუბნება: მეგონა თურქეთში ლაზები დაიკარგნენ, დაავიწყდათ მათი ვინაობა, სინამდვილეში არალაზსაც

კი ჩვენი ენა შეუსწავლიაო, და ამისათვის ღმერთს მადლობას სწირავს. მე მას ვუხსნი, რომ ლაზებს თურქეთის ხალხებს შორის საპატიო ადგილი უკავიათ, ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, ჩემი ოჯახის რძლებს შორის ლაზებიც არიან.

ენვერს დავუმეგობრდით. იგი სტამბოლში მცხოვრები ბიძის — კელერჯის შესახებ მეკითხება, თუ იცნობო. როცა ვუთხარი, რომ ბიძამისს კარგად ვიცნობ, ენვერს ტუჩები აუთრთოლდა. მეორე დღეს ის სასტუმრო „ივერიაში" მეწვია და ორი წიგნი მოიტანა. „ჭანეთი" (ლაზისტანი), ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია (ნარკვევები), და მეორე წიგნი: „ჭანეთის ტოპონიმები". მადლობას ვუძღვნი, ვეცნობი ენვერის მიერ ნაჩუქარ წიგნებს და მას ვამზადებ ჟურნალ „ჩვენებურებში" დასაბეჭდად.

სწორედ ამ პერიოდში ბნელი ძალების მსხვერპლი ხდება ჩემი მეგობარი, „ჩვენებურის" გამომცემელი ახმედ ოზგანი (მელაშვილი), ქვეყანა თავზე მენგრევა და ამის გამო დაწყებულ საქმეს ვანებებ თავს. მალე გადავწყვიტე საქმის გაგრძელება და კიდევაც მალე დავამთავრე. და აი, 1992 წელს სიცოცხლეს იძენს „ლაზების ისტორია".

ჰაირი ჰაირიოღლუს მიერ ორმოში ჩაგდებული ქვისაგან აგორდა ტალღა, განსაკუთრებით კი ლაზეთის მხრიდან. ფაზარიდან, ფინდიკლიდან, არდაშენიდან, ხოფიდან და არჰაველან აგორებული ტალღების სიძლიერე სულ უფრო მატულობს. „თურმე ჩვენც ხალხი ვყოფილვართო!.." მემარჯვენეები ბრაზობენ, ისლამისტებიც, ხარობენ მემარცხენეები, სულ უფრო ეწაფებიან ახალ-ახალ წიგნებს ლაზებზე. რუშენ შაქირ ბჰარიჩამ მიაკვლია ქართველოლოგი ენათმეცნიერის დიუმეზილის წიგნს „კონტ ლაზ" (ლაზური მოთხრობები), რომელიც მკითხველს გააცნო ჟურნალ „რესპუბლიკის" მეშვეობით (№131). იგი ლაზია. მას ამ წიგნისთვის პარიზში პომპიდუს სახელობის ბიბლიოთეკაში მიუკვლევია.

ზოგიერთი, გაზეთების აზრით, ქართულ პროპაგანდას ეწევა, ზოგიერთი იმასაც კი წერს, რომ მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას წიგნი „ლაზების ისტორია" „კგბ"-ს კარნახით არის დაწერილი და მათივე სტამბაში უნდა იყოს დაბეჭდილი.

ლაზებს თურმე ისტორია ჰქონიათო და, ჯემალ მემიშოღლის, ახმედ ქერიმსა და მის მეგობრებს ლაზეთის ინსტიტუტის დაარსებაც გადაუწყვეტიათ, ლაზეთის რუკა და ლაზური ლექსიკონიც კი შეუდგენიათ. დღეს, ნაცვლად იმისა, რომ გავერთიანდეთ, ისმის განხეთქილების ხმა – „ჩვენ ლაზები ვართო“.

ნაცვლად იმისა, რომ პენსიონერი კაცი სახლში იჯდეს და ბანქოს თამაშით ერთობოდეს, ჰაირი ბეიმ თურქებს ხათაბალა გაგვიჩინა.

როგორც 1800-იან წლებში ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა ბირმინჰემში ქურთებს ანბანი შეუდგინა, ისტორიაც დაუწერა და ამით თურქებს პრობლემა გაუჩინა, ასევე ახლა ლაზების ისტორიის დაწერამ, თურქულ ენაზე მისმა თარგმნამ და გამოცემამ თურქებს სერიოზული პრობლემა შეგვიქმნა. ლონდონში ჩვენი სამშობლოს მტრები პონტოს ბერძნული სახელმწიფოს აღდგენის გეგმებს ადგენენ თურმე!

პენსიონერებო, რატომ არ ისვენებთ? ის არ გირჩევნიათ, ეზოში ვარდები დარგოთ და მოუაროთ, ბალახი მოცელოთ, ონკანი შეაკეთოთ, მყნობას მიჰყოთ ხელი? რატომ გვიჩენთ პრობლემებს?

4 სექტემბერი, 1993 წელი.

•

ძაღლის კუდი

სოფლებში, სადაც მე ვიმგზავრე ერთმა გარემოებამ ჩემი ყურადღება მიიქცია. ამ სოფელში ბევრი ძაღლი იყო, მაგრამ არც ერთს კუდი არ ჰქონდა.

ის კი ვიცოდი, რომ გლეხები ძაღლებს ყურებს აჭრიდნენ, ამარილებდნენ და მათვე აჭმევდნენ, რათა ავი ძაღლი გამოსულიყო, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, თუ კუდებსაც აჭრიდნენ. ჩემს თანმხლებს მასწავლებელს გაოცებულმა ვკითხე ამის შესახებ.

— ალბათ ამათი ჯიში ისეთიაო, — მიპასუხა მან.

(ერთს) მოხუცს, რომელმაც ჩვენ სტუმრად მიგვიღო, შევეკითხე:

— თქვენს სოფელში რატომ ძაღლები უკუდონი არიან? ასეთი ჯიში ხომ არ აქვთ?

მოხუცმა გაიცინა და მითხრა:

— ეს ძალიან საინტერესო ამბავია, თუ თავს არ გატკენთ მოგიყვებით ამის შესახებ:

ნაჰიეს მუდირმა (რაიონის მმართველი, უფროსი, გამგებელი), შემოთვალა — რომ წელს თქვენმა სოფელმა 30 ღორი უნდა მოკლასო... როგორც კი ეს ამბავი სოფელში მოვიდა ყველას გაუკვირდა! გლეხებმა მე მომმართეს: „—შენ ჭკუა გიჭრის, ამ საქმეების კარგად გაგეგება, წადი და მუდირს მოახსენე ამის შესახებ“...

მეც წავედი და მოვახსენე: „ბატონო, მე 14 წელი ჯარში ვიმსახურე-მეთქი... არც იემენი, არც ტრიპოლიი, არც დარდანელი და არც კავკასია არ დამრჩენია შემოუვლელი“.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, თუ რამე გაგიკეთებია ამით სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადე, ემსახურე შენს ქვეყანას, ამის სამაგიეროს ხომ არ თხოულობ რამესო, — მითხრა მუდირმა.

— ვალლაჰი (ღმერთმანი) არა, ბატონო, მაგი რა სათქმელია-მეთქი, ვუთხარი... შემდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ნებაყოფლობით წავედი... ფრონტის სარდალი ხარო და უზარმაზარი ქაღალდიც მომცეს....

— ცარიელი სიტყვების რახარუხით მე დროს ნუ მაკარგვინებ, ქვეყნის ამბებს მიყვები აქა, რაც სათქმელი გაქვს ჩქარა მითხარი, — მიპასუხა მუდირმა.

მე კი კვლავ გავაგრძელე. მადლობა ღმერთს, ალაჰის წყალობით ომი მოვიგეთ. ტყვიისა და ხმლისაგან ნაჭრილობევი სოფელში დავბრუნდი.

მუდირი ერთთავად ხელს მიშლიდა და ლაპარაკის დამთავრებას აღარ მაცლიდა.

— ესე იგი შენ ალბათ ჯარში სამსახურისთვის პენსიის დანიშვნას ითხოვ, არა? შეხედე ამ უბედურ ხალხს რაებს როშავენ?!

— არა ბატონო, მე კმაყოფილი ვარ, სახელმწიფომ (ქვეყანამ) რაც მეკუთვნოდა მომცა. წითელლენტიანი მედალიც მაქვს...

ვარსკვლავიანი, ბეჭდიანი ქაღალდიც მაქვს...

ერთ წელიწადს ჩვენთან სოფელში ერთი მასწავლებელი მოვიდა, საუბრის დროს სხვათა შორის ჩემი თავგადასავალიც ვუამბე. იგი ძალიან დაინტერესდა ჩემი ამბავით და დამაჯენდა და ზამთრის გრძელ ღამეებში მაამბობინებდა და იწერდა. ღმერთმა იმას მშვიდობა მისცეს, მერე სხვაგან გადაიყვანეს. ამასობაში კი კაი დრო გავიდა. ერთ დღეს ჩვენი სოფლის ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც ქალაქში სწავლობს, როცა სოფელში ჩამოვიდა მითხრა:

— შეხედე, შენ გაზეთში სწერიხარო (შენს შესახებ გაზეთში წერიაო).

თურმე ჩვენს მასწავლებელს ჩემი ნაამბობი გაზეთში დაებეჭდა და ფული აეღო. უნდა გითხრათ, რომ ჩემი ბრძოლები სამშობლოსათვის მხოლოდ ერთხელ დაფასდა, ფული გააკეთა და ისიც მე კი არა, სხვამ აიღო. მე არავისგან არაფერს ვითხოვ. მთავრობამ უფროსი ლეიტენანტის მოწმობაც მიბოძა.

უწინ დღესასწაულზე ქალაქში გვიძახოდნენ და პარადზეც გამოვყავდით, ახლა, რა თქმა, უნდა მოვხუცდი, ვის რაში გამოვ-

ადგები, ფეხებსაც ვეღარ ვაწყობ. ყოველ დღესასწაულზე ოფიცრის ფორმას ვიცვამდი, ხმალს ავისხამდი (შემოვირტყამდი) და ისე გამოვდიოდი... ახლა თეთრწვერიან კაცს ასეთი ფორმა განა მომიხდება?

— კი, მაგრამ, თქვენ მაინც რა გინდათ, გამაგებინეთ, ფაშობა ხომ არ გსურთ გიბოძოთ? აი მე რამდენი წელი ვიწვალე და კიდევ თადარიგის ლეიტენანტი ვარო, — თქვა.

— ბატონო, მე ასე კი ნუ მიყურებთ, ჩემს განკარგულებაში 600 ცხენოსანი და 1000 შაშხანიანი მყავდა. ბევრ ურჯულოს დღე დავუბნელე და ბევრსაც ფეხსაცმელი უკულმა ჩავაცვი. აწი რა ცხოვრებაღა დამრჩენია, არაფერი არ მინდა, არც ფული და არც ფაშობა.

— კი, მაგრამ, გამაგებინე, რაღა გინდა?

— თქვენთან ჩემმა თანასოფლელებმა გამომგზავნეს, გიბრძანებიათ, რომ ჩვენ სოფელში 30 ღორი მოვკლათ. თავი რომ არ გატკინო და მოკლედ მოგახსენოთ, საქმე ის არის, რომ ჩვენს სოფელში ჩემს გარდა ღორის მნახველი არავინ არის, მეც იგი გალციის ფრონტზე ვნახე მხოლოდ. ერთი ლეიტენანტი გვყავდა ეთემი ერქვა, თუ მკვდარია ღმერთმა აცხონოს იგი და თუ ცოცხალია დღეგრძელი იყოს. მასთან ერთად ერთ დღეს დაზვერვაზე წავედით მომხვდა ტყვია და დავიჭერი.

ბატონმა ეთემმა დაჭრილი გერმანელების საველე საავადმყოფოში მიმიყვანა და სწორედ მე იქ პირველად ვნახე ღორი. გერმანელებს ღორები ჰყავდათ და ღორის ხორცი არ მაჭამონ-მეთქი და საჭმელსაც კი არ ვჭამდი.

ბატონო მგონი თავი კი გატკინე, მაგრამ რას იზამ, მოხუცებულებს ზედმეტი ლაპარაკი უყვართ. ხო, იმას მოგახსენებდით ჩვენს სოფელში ჩემს გარდა ღორის მნახველი არავინ არის.

მუდირი გაცეცხლდა და იყვირა:

— თუ არ გინახავთ, ნახეთ! მე მეტს აღარ მოგისმენთ, იცოდეთ, წელს თქვენი სოფლიდან 30 ღორის მოკვლას მოვითხოვ. თანაც ბოლოს და ბოლოს ღორსაც გაიცნობთ რა ცხოველია და თანაც მოკლავთ!...

— ჩვენ სოფელში, ბატონო, ღორი არ არის, არც ახლომახლო სოფლებშია, — კიდევ გავუმეორე.

თუ ვინმემ გაგვაბრაზა „ღორი“ ხარო ვეტყვით, ან თუ ძალიან გაგვაბრაზეს მაშინ — „ღორისშვილო, ღორს“ ვუწოდებთ. თუმცა ჩვენს შორის სინამდვილეში, ეს თქვენ კარგად იცით, არავინ ღორი არ არის.

მუდირმა უჯრიდან რაღაც დიდი ქაღალდი გამოიღო.

— თქვენ რა გაუთლელი ვინმე ხართო, მითხრა, — სახელმწიფო თქვენზე ზრუნავს, თქვენ კი.... აი, ნახეთ რაები წერია აქა.

წერა-კითხვა იცით?

— არა!

— მერედა, უფროსი ლეიტენანტიც კი ყოფილხართ!

— ბატონო, ჩემი უცოდინარობით არავის ზიანს არ ვაყენებ.

— მომისმინე! აი რა წერია ქაღალდშიო, — მითხრა: სიმინდის ყანებისა და სიმინდის მოსავლის ყველაზე დიდი მტერი ღორი ყოფილა! სიმინდიც ქვეყნის მარჩენალი ყოფილა. გლეხებმა სიმინდის კარგი მოსავალი რომ მიიღონ ამისათვის... გესმის? თქვენი კეთილდღეობისათვის ღორების მოკვლა ყოფილა საჭირო. თქვენ თურქული გესმით თუ არა? ღორების მოკვლა ყოფილა საჭირო!

— გავიგე ბატონო-მეთქი, ვუთხარი. დიახ, მართლა ღორის მოკვლაა საჭირო. შენ გვანახე ღორი და ჩვენ კი მას მოვკლავთ. მაგრამ ჩვენ სიმინდს რომ არ ვთესავთ? მამაჩვენის მამებიც არ თესავდნენ მას. მამაჩვენის მამების მამებსაც თურმე არ მოჰყავდათ სიმინდი!

— რომ ზიხართ დათესოთ სიმინდი ის არ გირჩევნიათ? ზარმაცობთ, ზარმაცები ხართ. სიმინდს რომ დათესავთ, სიმინდზე ღორი მოვა, თქვენც მას მოკლავთ და ამით სახელმწიფო დავალებასაც შეასრულებთ.

— კი, ბატონო, ჩვენ სიმინდს კი დავთესავთ, მაგრამ ჩვენს მიწაზე სიმინდი არ მოდის. ზამთარი ხანგრძლივი იცის. ხან 6 და ხანდისხანს 8 თვესაც ზამთარია.

— რა ხალხია, ხედავთ?! ყველაფერს მიზეზს კი გამოუძებნიანო და იყვირა. ამერიკელ გლეხებს პოლუსზე ყინულზეც კი

მიხაკი მოჰყავთ და თქვენ კი თქვენ სოფელში სიმინდიც ვერ დაგითესიათ მხოლოდ „არა“ დაგისწავლიათ და მეტი არაფერი იცით.

...უკვე სული ყელში მომებჯინა:

მაშ, ჩვენს სოფელში წელს თოვლს ნუ მოიყვანთ და ჩვენც სიმინდს დავთესავთ, ღორები მოვლენ და მოვკლავთ.

— თქვენ იცით თუ არა, რომ ოფიციალური თანამდებობის პირის შეურაცხყოფისათვის ორი წელია.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ჩვენ ვინ ვართ, რომ თქვენ შეურაცხყოფის მიყენება გაგიბედოთ! მაგრამ ჩვენ სოფელში ღორი არ არის.

— თქვენ სოფელში ღორი, რომ არ არის ამის შესახებ შენ უკეთ იცი, თუ ამ ბრძანებულების დამწერებმა? ა, მითხარი ერთი?!

— ჩვენ, ბატონო, უვიცი ხალხი ვართ, მაგი საიდან გვეცოდინება, მაგრამ ჩვენ სოფელში, რომ ღორი არ არის ეს კი კარგად ვიცითქო ვუთხარი.

— ამ ბრძანებულების გამომცემლები რუკას უყურებენ, წიგნებს კითხულობენ და თქვენ სოფელში არის თუ არა ღორი ამით გებულობენ. შეიძლება ღორი არის, თქვენ კი ამის შესახებ არაფერი იცით, არ ნახულობთ! ალბათ არის, რომ ამბობენ, თვალები კარგად გაახილეთ და დაინახავთ.

— კი გავახელთ თვალებს, ბატონო, მაგრამ სოფელში ღორი არ არის!...

— რა უმადური ადამიანები ხართ, ნამდვილად სქელკანიანები ხართ, თქვენი სიკეთისათვის, თქვენი კეთილდღეობისათვის ვიბრძვით და ესეც არ გესმით. ეს ბრძანებულება შენ თუ იცი იმოდენა სოფლის მეურნეობის ვაქილმა დაწერა და ყველა ვილაიეთს გაუგზავნა. ვალიმაც (გუბერნატორი) კაიმაკამებს (ოლქის გამგებელი) დაავალა, კაიმაკამმაც — მუდირებს და მეც თქვენ გამოგიგზავნეთ, ყველა სოფელზე გავანაწილე და თქვენ კი 30 ღორის მოკლა გერგოთ.

— ბატონო მუდირო, უვიცებთან უვიცები გახლავართ, სულელებთან — სულელები, მაგრამ სოფელში ღორი არ არის-მეთქი ვუ-

თხარი. მუდირი გაწითლდა, მაგიდაზე მუშტი დაარტყა და იყვირა.

— ე. ი. თქვენ სოფელში ღორი რომ არ არის ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა, რომელიც ევროპაში მთელი რიგი წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სწავლობდა, არაფერი არ იცის, ვალიმ არაფერი არ იცის, კაიმაკამმა არაფერი არ იცის, მეც არაფერი არ ვიცი და მაშ, თქვენ იცით ჰა?! შეხედე რა ცუდია ეს უვიცობა? თქვენ გესმით თუ არა, ამით ვის აყენებთ შეურაცხყოფას? საქმე სანამდე მიდის. ჯერ მე მაყენებთ შეურაცხყოფას, შემდეგ — კაიმაკამს და შემდეგ კი — ვალს... და ბოლოს, ხედავთ საქმე სადამდე მიდის?

— ვალლაჰი (ღმერთმანი) ბატონო,

— მე ვალლაჰი ჰილლაჰი არ ვიციო — და ადგილიდან წამოდგა, დაჯდა...

სახელმწიფოს თქვენგან ღორი უფასოდ არ უნდა, მოკლული ღორის კუდები მე მომიტანეთ, მე კი თქვენ ხელზე ბერათს (ბარათი, ცნობა) მოგცემთ... ბერათს სოფლის მეურნეობის ვექილს (მინისტრს) უნდა დაამტკიცებინოთ, მერე ბანკში წახვალთ და თითოეულ ღორის კუდზე თორმეტნახევარ ყურუშს აიღებთ, მეტი რაღა გინდათ. თქვენზე სიკეთის გაკეთება კი არ შეიძლება! მთელს სახელმწიფოში ღორების წინააღმდეგ ბრძოლაა გამოცხადებული.

— მითხარი ერთი რა ღირს კილოგრამი ხორბალი.

— ბანკა რვა ყურუში.

— ხედავ. ერთი ღორის კუდი კილონახევარ ხორბალს აკეთებს. თქვენს მაგივრად რომ ვიყო, მე ღორებს მოვკლავდი, გავყიდდი და ფულებს გავაკეთებდი. ჰაიდა, მარშ!! ბევრს ნუ ლაპარაკობთ ბრძანება, ბრძანებაა! თუ თქვენ ღორს არ მოკლავთ ჟანდარმებს გავგზავნი სოფელში და გასწავლით როგორ უნდა ღორის მოკვლა!..

— ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეს-მეთქი! — მივაძახე და გამოვედი, დავბრუნდი სოფელში და ხალხს მუდირის ნათქვამი გადავეცი. ამის შესახებ გლეხებმა სხვადასხვა აზრი გამოთქვეს. ზოგმა თქვა, ღორი მოვაშენოთ და მუდირს ღორის კუდი მივართ-

ვათო, ზოგმა კი იყვირა – მაგ ბინძურ ცხოველს სოფელში არ შე-ვინახავთო.

გლეხებს შორის ერთი ჭკვიანი ვინმე იყო, რომელსაც ჯარში სამსახურის დროს ერთ ადგილას უნახავს ღორები.

სოფლელებმა მითხრეს, რომ „ისევ შენ, ბატონო, უნდა შე-იწუხო თავი და იქ, სადაც ღორებს ყიდიან უნდა წახვიდე და 30 ღორის კუდი უნდა იყიდო და მოიტანოო“. იმ ადგილამდე სადაც ღორის კუდი იყიდებოდა მატარებლით 2 დღის სავალი გზა იყო. ამხანაგებს უთხარი, რადგან ასეა, თუ იქ წავედი ღორის კუდს ბევრს ვიყიდი, მოვიტან და აქ გავყიდი ამით კი გზის ხარჯს მა-ინც ავინაზღაურებ.

შევთანხმდით. ბანკიდან ფული გამოვიტანეთ, ორი ტომარა ავ-იღე და გზას გაუდექი. ბევრი რომ არ გავაგრძელო ჩემი თანას-ოფლელების მიერ დასახელებულ ადგილას მართლაც ბევრი ღორი იყიდებოდა... მაგრამ ქვეყნად ჩემს გარდა, ეშმაკი ადამიანი არ არ-ის. თურმე ჩემსავით ღორის კუდის მყიდველი ამ ადგილას ბევრი ჩამოსულიყო. ბაზარში მთასავით იყო კუდი დახვავებული. ყველა ყიდულობდა... ცალი კუდი ერთ მეჯითად (ფულის ერთეულია 20 კურუშს უდრის).

– ჩვენ სახელმწიფოს კუდი თორმეტნახევარ კურუშად უნდა მივყიდოთ. თითო ღორის კუდზე შვიდნახევარ კურუშს ვაგებთ. გზის ფული რით ავინაზღაუროთ.

ბევრი დავიდარობის შემდეგ თითო კუდი 15 კურუშად 200 ცალი ვიყიდე. ნაყიდი კუდები ზოგიერთებს ვანახე.

– შე კაი კაცო, არასოდეს ღორის კუდი არ გინახავსო?

მითხრეს.

– რატომ, რა მოხდა, რაშია საქმე?

– ესენი ღორის კუდი კი არა, ძაღლის კუდიაო!!

თურმე უსინდისო ვაჭარს ძაღლებისათვის კუდები დაეჭრა, ზე-თში ამოევლო და ღორის კუდად გაესაღებინა ჩემთან.

— ახლა რა ვქნათ, რა მეშველება!...

— არაფერი, — მიპასუხეს, — შენ ესენი წაიღე, ბოლოები კიდევ წააჭარი ზეთში კვლავ ამოავლე და სოფლის მეურნეობის ვექილს მიუტანე, ვერაფერსაც ვერ გაიგებს.

ცხელი დარი იდგა, გზა კი გრძელი. გზაზე კუდი ამიმყრალდა... ხალხმა მატარებელში იყვირა:

— ფიუჰ, რა სუნიაო!

როგორც კი სოფელში მივედი დამახვედრეს ახალი ამბავი.

მითხრეს ახლა ყვავების წინააღმდეგ ბრძოლა ყოფილა გამოცხადებულიო. მუდირი 200 ყვავის თავს ითხოვსო.

— ყვავის მეტი რა არის, მოკალით და წაიღეთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ 15 დღის შემდეგ ალბათ კალიის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდება, ღმერთს შეევეედროთ, რომ კალიის თავები არ მოგვთხოვონ!!!

ჩვენს მეზობელ სოფელში გაიგეს, რომ ჩვენ ღორის კუდები გვაქვს გასაყიდი, ჩვენი სოფელი სალოცავად იქცა, ყველანი მოდიოდნენ და ყიდულობდნენ კუდებს. 30 კუდიც მუდირს წაუღე.

— ნახე რა ღორები ყოფილა თქვენს სოფელში, ერთი ამ კუდებს შეხედე, თანაც მსხვილ-მსხვილი, — ...ვინ იცის რა დიდი ღორები იქნებოდნენ ესენი.

იმ დღიდან ჩვენს სახლში არავინ არ მოდიოდა, ღორზე აქვს ხელი მონაკიდიო და ყველა გამირბოდა. მაშინ რამდენიმე კაცი გავიხმე და უთხარი ჩუმად: „ერთ საიდუმლოს გეტყვით, მაგრამ არ გამცეთ, იცოდეთ რომ ცოდვა მე არ მაძევს, ჩემი ბრალი არ არის, მე მაჭამეს... და მეც მიუერს ვაჭამე. ჩემს მიერ მოტანილი ნაყიდი კუდი ღორის კი არა, ძაღლის იყო!! შემდეგ მათ საქმის ვითარება გავაცანი. ერთი მოხერხებული კაცი საქმეს შეუდგა, აქაურობაში ძაღლებს კუდები დააჭრა, ქალაქში მიჰქონდა და ყიდდა.

ამას წინათ ვნახე ის კაცი. როგორ ხარ-მეთქი შევეკითხე, — მადლობა ღმერთს, ძაღლების წყალობით კარგად ვცხოვრობო!!! — მიპასუხა.

როგორ შეიძლება
გახდე ძალაქის თავი

არჩევნებში ორი ძირითადი პარტია, ორი მეტოქე გამოიკვეთა. ყავახანებში, დუქნებში, სოფლებში მათ შესახებ ქება და ლანძღვა დამთავრდა. ახლა პარტიების ლიდერების ხალხის წინაშე გამოსვლებზე იყო დამოკიდებული, ვინ როგორ ორატორულ ნიჭს გამოიჩენდა.

კანდიდატებს შორის ერთი ბეშირ ეფენდი, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, შემდეგ 30 წლის განმავლობაში ამ ქალაქში სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობდა. მისი მეტოქე გახლდათ მეაყლე ქაზიმ ეფენდი, რომელიც წლების განმავლობაში მუხთარად მუშაობდა. კითხვით ცოტაოდენი კითხულობდა, მაგრამ წერა არ იცოდა. თავისი დუქნის ანგარიშში თავს კარგად ართმევდა.

დადგა ამომრჩევლებთან შეხვედრის დღე. ორივე კანდიდატი, სასამართლოს თავმჯდომარე ბეშიქ ეფენდი და ძველი მუხთარი ქაზიმ ეფენდი მეგობრებივით ხელიხელჩაკიდებულნი კათედრასთან მობრძანდნენ. ბეშირ ეფენდიმ, დარწმუნებულმა, რომ ქალაქში ყველაზე ცნობილი პირი იყო, მიმართა თავაზიანად ქაზიმ ეფენდის:

— მობრძანდით, ქიზიმ ეფენდი, პირველმა თქვენ ბრძანეთ. ქაზიმ ეფენდიმ: — არა, როგორ გეკადრებათ, ჯერ თქვენ ბრძანეთ. სამჯერ ქალაქის თავად არჩეული სასამართლოს თავმჯდომარე კათედრაზე ავიდა. ხანგრძლივი წლების განმავლობაში აუდიტორიის წინაშე გამოსვლებში დაოსტატებულმა სასამართლოს თავმჯდომარემ დაიწყო:

— მოქალაქენო! სამჯერ ქალაქის თავად ამირჩიეთ; მეც თქვენი, ნდობის გამართლებისათვის ვიღვაწე. ახლა ახალი არჩევნები იწყება. არ გეუბნებით, აუცილებლად მე ამირჩიეთ-მეთქი, ძალიან ბევრი საქმე მაქვს, დავიღალე კიდევაც... მაგრამ თანაქალაქელთა თხოვნით არჩევნებში მივიღე მონაწილეობა. თუ გინდა მე ამირჩიეთ, თუ გინდათ სხვა... და ცალი თვალით ქაზიმ ეფენდის შეხედა. ახლა რამდენადაც შემიძლია უნდა მოგახსენოთ ის, თუ როგორი უნდა იყოს ქალაქის თავი: ქალაქის თავი მომწიფებული, გამოცდილი კაცი უნდა იყოს (ბეშირ ეფენდისა და ქაზიმ ეფენდ-

ის გარდა, სხვა კანდიდატურები ახალგაზრდები იყვნენ). ქალაქის თავობა მძიმე ტვირთია და ამიტომ 50 წელზე მეტი ასაკის ხნიერი, თმაგაცვენილი, ხელოვნური კბილებით და შვილიშვილების პატრონი კაცი ვერ ივარგებს (ქაზიმ ეფენდი მასზე 14 წლით უფროსი იყო, მელოტი და პროთეზიანი). ისეთს თუ აირჩევთ, რომელმაც კანონის დაწერა არ იცის, ვერაფერს გააკეთებს (ქალაქში მასზე უფრო კანონებისა და წესების მცოდნე არავინ იყო).

მე ამირჩიეთ-მეთქი არ გთხოვ, მაგრამ კარგად მოიფიქრეთ, არც წერა-კითხვის უცოდინარი არ აირჩიოთ! ქალაქის თავი ყველგან შედის, გამოდის, ხვდება სტუმრებს, ასეთ ადამიანს თუ არა აქვს შარვალი გაუთოებული, ქალაქის ღირსება დაეცემა (ქალაქში ბეშირ ეფენდის გარდა დაუთოებული შარვლით არავინ დადიოდა) ისეთ კაცს, რომელსაც ასეთი ფეტრის შლიაპა, როგორც მე მაქვს, თავზე არ ახურავს, ნუ აირჩევთ (ქალაქში სხვას ასეთი ქუდი არ ეხურა). მე ამირჩიეთ-მეთქი არ გეუბნებით, მაგრამ ისეთი კაცი აირჩიეთ, როგორიც დაგიხასიათეთ.

ბეშირ ეფენდი კათედრიდან ჩამოვიდა. ხალხმა ტაში დაუკრა, — მართალია, მართალიო.

— ცამდე მართალი კაცია, — ამ სიტყვებით კათედრაზე ავიდა ქაზიმ ეფენდი და განაგრძო:

— მე, ბატონებო, ორ სიტყვას ერთად ვერ გადავაბამ. ბეშირ ეფენდიმ ყველაფერი მოგახსენათ. ქალაქის თავად ასარჩევ კაცს ძვლის კბილებზე ოქრო უნდა ჰქონდეს გადაკრული ამასავით (ბეშირ ეფენდის ოქრო ჰქონდა გადაკრული კბილებზე), ქალაქის თავს თვალები ლურჯი უნდა ჰქონდეს (დარბაზში სიცილი), მარცხენა ლოყაზე ხალი უნდა ჰქონდეს (ბეშირ ეფენდი გაწითლდა), ქალაქის თავს, ამასავით (მიუთითა), ხელში ტროსტი უნდა ეჭიროს, ცხვირზე სათვალე... (დარბაზში ხარხარი).

ქაზიმ ეფენდი კათედრიდან ჩამოვიდა. ხალხი სიცილით იხოცებოდა. სირცხვილისაგან ჭარხალივით აწითლებული ბეშირ ეფენდი კბილით ულვაშებს იწიწკნიდა.

ქალაქის თავად ქაზიმ ეფენდი აირჩიეს.

ემნიონიდან კარაქოინში მივდიოდი, როგორც კი ხიდს მივუახლოვდი, ყვირილი შემომესმა, გაიქცა, გაიქცაო. აყვირდა სირენები, დაფაცურდნენ პოლიციელები, ხალხი აირია, ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა:

– რა არის? რა მოხდა?

– პოლიციელებს გიჟი გაექცათ.

ამ დროს ერთი კაცი მომიახლოვდა და მეუბნება:

– ვითომ ჩვენ ვიყოთ ჭკვიანები... გიჟი გაიპარაო და ქვეყანა შეძრეს...

არაფერი მითქვამს, სახეზე შევხედე, გავიღიმე და მასთან ერთად გზა განვაგრძე. ბევრი რამ მიამბო გიჟების შესახებ, ძალიან საინტერესოდ და ლამაზად საუბრობდა, ეტყობოდა, კარგი მოლაპარაკე იყო და ბევრიც მაცინა.

– იცით რა, ერთხელ თურმე ერთი გიჟისთვის უკითხავთ, საგიჟეთში რამდენი გიჟი ხართო, იმას უპასუხია, თქვენ გარეთ რამდენი ხართო. მერე დამანახა ჩვენ წინ მიმავალი კაცი და ჩაილაპარაკა, იქნებ გაქცეული გიჟი ისააო. შეიძლება-მეთქი, დავუდასტურე და დავაკვირდი წინ მიმავალს: იგი მარტო მიდიოდა, ხელებს უაზროდ იქნევდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა:

– აი, იმ ორი კაცის საუბარს დაუგდეთ ყური, – მითხრა თანამგზავრმა და მიმითითა ერთ მსუქან და ერთ გამხდარ კაცზე, რომლებიც საკმაოდ ხმამაღლა საუბრობდნენ:

– ლიმონი რა ღირს?

– 50 ყურუში.

– ნახე, რა უნამუსობაა; აქ, ამ ხიდზე უნდა ჩამოკიდო ისინი. ბევრი არ გინდა, ორი-სამი რომ ჩამოკიდო, ქვეყნად ასეთი სიძვირე მოისპობა. აი, თუნდაც კონა ოხრახუში რა ღირს?

– 10 ყურუში.

– ხედავ, რა უნამუსოდ ბევრს ამატებენ გადამყიდველები.

მეორე მოსაუბრემ თქვა, ჩემო ძმაო, ჯერ სოფლის მეურნეობაა საჭირო, შემდეგ კი – თავისუფლება. ქვეყნად დაუთესავი ერთი

მტკაველი მიწაც არ უნდა დარჩეს. აი, მაგალითად, მე ჩემი სახლის აივანზეც ხახვი დავთესე, ყველა რომ ასე იქცეოდეს, მაშინ ქვეყანაში ხახვის ნაკლებობა არ იქნება. ანდა, ყველა რომ თავის სახლში ქოთნებში თესავდეს ლობიოს და კიტრს, მაშინ ქვეყანას არც ლობიო და კიტრი გაუჭირდებოდა. ამათ კი, ჩემო ძმაო, მხოლოდ თავისუფლებას ჩასჭიდეს ხელი და მიდიან...

— კაცო, ქვეყანაში, რომელიც ლობიოს ნაკლებობასაც განიცდის, შეიძლება თავისუფლება იყოს?

მსუქანი და გამხდარი ერთმანეთს საუბარს არ აცლიდნენ. გამხდარი განაგრძობდა: „როზგია საჭირო, ჩემო კარგო, ჩვენს ხალხს ჯოხი სჭირდება, უიმისოდ კაცი ვერ დადგება“.

ვიფიქრე, ესენი ალბათ გიჟები არიან-მეთქი.

ხიდიდან მე და ჩემი უცნობი თანამგზავრი კიბით დავეშვით. გვერდით კიბიდან ამომავალმა ლამაზმა მანდილოსანმა აგვიარა. აქვე, მოშორებით ორი ახალგაზრდა იდგა. ერთმა თქვა: „ნახე, რა წიგნის ქაღალდივით თეთრი ქალია, გადაშალე და წაიკითხე...“ „ერთი მაგაზე გადამაგორა და“... — თქვა მეორემ.

ამ სიტყვების შემდეგ ორივენი იმ ქალს ეცნენ, ქალმა ხელჩანთა დაუშინა, რომ ვერაფერი გააწყო, ყვირილი მორთო...

— რას გავჩერებულვართ, — მეუბნება თანამგზავრი, პოლიციელებს გამოქცეული გიჟები უეჭველად ესენი არიანო და ნაბიჯს აუჩქარა. კიბიდან ჩამოვედით. დამშვიდებულმა უცნობმა თანამგზავრმა ისევ დაიწყო გიჟებზე ამბების მოყოლა, მე ვხარხარებდი.

ხიდიდან ქალაქში გადასვლისას ორმა პოლიციელმა ჩემს თანამგზავრს ხელი სტაცა: „კაცო, როგორ გაგვექეცი, აა!? აბა, ჩქარა წამოდი!“

— ნახვამდის, მეგობარო, — მომაძახა თანამგზავრმა.

ერთი კი გავიფიქრე, მეც გავყოლოდი მას... გადავიფიქრე და... ბედნიერად-მეთქი, მივაძახე.

სარჩევი

„ლაზეთი“ 3
გონიოს ციხე 11
ზოგიერთი შენიშვნა იური სიხარულიძის „ჭანეთზე“ 15
კიდევ ერთი ნაშრომი ლაზეთზე 20
ჩემი ხმა 28
ცხოვრობს სოფელში კაცი 29
პირველი ქართული სკოლა სარფში 34
ნაშრომი ეროვნული სკოლის პრობლემებზე 37
ლაზური ჟურნალის ფურცლებზე 41
საქართველო – თურქეთის ურთიერთობის ახალი ეტაპის შესახებ 50
თურქეთის ქართული დიასპორის შესახებ 63
ანატოლიის ეთნიკური მოდელი თურქი მეცნიერების თვალთახედვით 75
30 აგვისტო – ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთის გამარჯვების დღეა 82
ქემალისტების ბრძოლა თურქეთში ლაიცისტური დემოკრატიული რესპუბლიკის რეჟიმის დაცვისათვის 87
თურქი ხალხის მამა 94
ქემალიზმის კრიზისი თურქეთში 98
თურქეთის ახალი მთავრობა 102
თანამედროვე თურქეთი: კაპიტალიზმის შუქ-ჩრდილები 106
ქურთები 110
ასეთი იყო მათი ხვედრი 116
თურქეთის პრესა 122
ღმერთის მოციქული მუჰამედი და მისი მოძღვრება 131
ნაქშიდილ სულთნის საიდუმლოება 143
ცხოვრება ჰარემში 147
მოლა ნასრედინი 152
თარგმანები
„ჯერ ტერორისტებს გავანადგურებ, შემდეგ კი ეკონომიკას მივხედავ“ 156
ჟურნალ „ეფ პოლიტიკის“(„სულ პოლიტიკის“) ფურცლებზე 158
აზიზ ნესინი
ძაღლის კუდი 163
როგორ შეიძლება გახდე ქალაქის თავი 171
გიჟი 173

გამომც. რედაქტორი ლალი კონცელიძე
პოლიგრაფიული ცენტრის
პასუხისმგებელი რედაქტორი გულნაზ სამნიძე
მხატვრული რედაქტორი გურამ გუჯაბიძე
ტექნიკური რედაქტორი რობერტ ლომაძე
უფროსი კორექტორი ნანული წილოსანი
კორექტორები ლელა კვიტაიშვილი
მაგული ბუქიძე
დამკაბადონებელი ნატო ოსანაძე
ოპერატორი ხათუნა ვარშანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.09.2003
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8
ფიზიკური თაბახი 11
შეკვ. №34
ტირაჟი 400

ფასი სახელშეკრულებო

ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24

ს. ს. „გამომცემლობა აჭარის“ პოლიგრაფიული ცენტრი, ბათუმი, კოსტავას, 5